بسم الله الرحمن الرحيم

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა -803
სახალხო წიგნები -187
სიბრძნის სერია - 6
გამომცემლობის დირექტორი
დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი
ფარუქ გორგულუ
გამომცემელი
პროფ. ჰურიე მართი
საბოლოო რედაქტირება
იუსუფ თურქერი
რედაქტორი
რამაზან ოზალფდემირი
გრაფიკა და დიზაინი
ემრე ილდიზი
ბეჭდვა
აქთაშ ოფსეთის გამომცემლობა
0312 341 56 26
რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება: 24.06.2004/99
ისბნ
2018-34-წ-0003-626
ისბნ: 978-975-19-3602-8
სერთიფიკატის ნომერი: 12931
თ.რ. რელიგიის საქმეთა სამინისტრო
კომუნიკაცია
რელიგიური გამომცემლობის გენერალური სამმართველო
ბეჭდვური გამომცემლობის სახელმწიფო სამმართველო
უნივერსიტელერი. დუმლუფინარის ბულვარი
ნომერი: 147/1. 06800. ჩანქაია/ ანკარა
ტელ: 0312 295 72 93-94 ფაქსი: 0312 284 72 88
ელ-ფოსტა: diniyayinlar@diyanet.gov.tr

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

ეზნის არსი

ომერ ოზფინარი

ანკარა 2021

სარჩევი

ეზნის არსი 3

წარდგენა 7

წინასიტყვაობა 9

ეზნის წარმოშობა და პირველი ეზანი 13

ა. ლოცვის მიმართულების ქააბასკენ გადატანა 19

ბ. მუსლიმები სალოცავად მოხმობის საშუალებას ეძებენ. 23

გ. ღვთიური სიბრძნე გამოჩნდა და სალოცავად მოხმობის საკითხი გადაწყდა 26

დ. ეზნის ლეგიტიმურობის მნიშვნელობა 31

ეზნის სიტყვები 35

ა. თექბირები 37

ბ. შაჰადა 40

გ. ლოცვისკენ მოწოდება 43

დ. გადარჩენისკენ მოწოდება 45

ე. „ნამაზი ძილზე უფრო სასარგებლოა“ 47

ვ. ბოლო თექბირი 48

ეზნის ვედრება და ეზნის მიმართ პატივისცემა 51
ა. ეზნის ვედრება 54
ბ. ეზნის მიმართ პატივისცემა 58

ეზნისა და ნამაზის ერთი მთლიანობა 61
ეზნის გზავნილი და მისი როლი ცხოვრებაში 71
ა. ეზანი: მუსლიმთა არსებობის სიმბოლო 74
ბ. ეზანი და ცხოვრება 76
გ. ეზანი და დრო 77
დ. ეზანი მოწოდებაა რწმენისკენ 80

მუეზინი 87
ა. მუეზინის მნიშვნელობა 90
ბ. მუეზინის მახასიათებლები 91
გ. „შუამავლის მუეზინი“ ჰზ. ბილალი 93
დ. შეწყვეტილი ეზანი 95
ეზანი და ისლამური ცივილიზაცია 99

წყარო 105

წარდგენა

რელიგიის საქმეთა სამინისტრო, როგორც საზოგადოების სულიერი განათლების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ორგანიზაცია, თავისი დაარსების დღიდან ბეჭდვურ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სამინისტროს მიერ პირველი გამოცემა დაიწყო 1924 წელს, როდესაც აჰმეთ ჰამდი აქსექის პირველი წიგნი, "მორალის გაკვეთილები" დაიბეჭდა. იმ დღიდან მოყოლებული ამ ორგანიზაციის თაოსნობით რელიგიური შინაარსის წიგნების გამოცემა უფრო და უფრო ვითარდება და გამოცემული ლიტერატურე უფრო მრავალფეროვანია.

სამინისტრო დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და სხვა და სხვა გამოცემებს სთავაზობდა, მათ შორის საბავშვო გამოცემები, სახალხო და ა. შ. სამინისტრო ასევე საზოგადოებას სთავაზობდა ილუსტრირებულ და გახმოვანებულ ლიტერატურას. ჯანსაღი სასულიერო განათლების ძირითადი პირობა სწორი ინფორმაციის მიწოდებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მკითხველთა რაოდენობა სასურველი რაოდენობის არ გახლავთ, მატერიალური და ელექტრონული სახით მიწოდებული ლიტერატურა მაინც დღითიდღე იზრდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების განხილვის ფორმები და წერის მანერა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ მკითხველმა წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოს. ჯერ კიდევ იგრძნობა მძაფრი საჭიროება იმისა, რომ წიგნმა მკითხველის სულიერ სამყაროში შეაღწიოს და სასურველი ეფექტი იქონიოს. ადამიანებს სჭირდებათ ცოდნა, რომელიც ღვთისმსახურების ნამდვილ მიზანს გააგებინებს და მისი შესრულებისთვის გულწრფელ მოტივაციას შეუქმნის. სწორედ ამ მიზნითაა მომზადებული მრავალი წიგნი, სადაც ღვთისმსახურებაში არსებული სიბრძნე და მიზანია განხილული.

ყველა ღვთიური დებულება, რომელიც ღმერთმა დაგვიდგინა, ადამიანთა სასარგელოდაა მიმართული და მათი

დაცვა, როგორც ამქვეყნიური, ისე საიქიო ბედნიერებისკენ მიმავალ გზებს გვასწავლის. ყოველ ბრძანებასა თუ აკრძალულში უსასრულო სიბრძნე და სიკეთეა. სწორედ სამყაროს გამჩენია სიბრძნისა და სიკეთის წყარო. მას ტყუილუბრალოდ, უმიზნოდ, უშინაარსოდ არაფერი გაუჩენია. ადამიანებს მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებული უნარებით შეგვიძლია სამყაროს აღქმა და მხოლოდ იმ დოზით, რაოდენსაც თავად გამჩენი გვიწყალობებს.

წინამდებარე ნაშრომი "სიბრძნის სერიიდან" ერთ-ერთია. აღნიშნულ სერიაში მოცემული თემები ღვთისმსახურებას შეეხება და ისინი განხილულია მათში არსებული სიბრძნის თვალსაზრისით, რამეთუ მკითხველმა თითოეული ღვთისმსახურების არსი და შინაარსი გაიგოს. თითოეულ ნაშრომში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც ადამიანთა გრძნობებს ეხმიანება და მათ ფიქრისკენ, აზროვნებისა და შემეცნებისკენ წარმართავს. ამ სერიაში ასევე წარმოდგენილია შემდეგი წიგნები: მონოთეიზმის არსი, ლოცვის არსი, ყურანის გაგება, მსხვერპლშეწირვის არსი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში თითოეული სიტყვა მთელი გულისყურითაა შერჩეული და შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ აქ წარმოდგენილი გზავნილები მკითხველის გულსა და გონებას სწორი ფორმით შეეხმიანება. თანამედროვე ეპოქაში ძალიან რთულია შეიქმნას ისეთი წიგნი, რომელიც მკითხველს აიძულებს "ერთი ამოსუნთქვით" წაიკითხოს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენმა მწერლებმა ძალიან მოიმდომეს და ამ სირთულის გადალახვისათვის ყველაფერი გააკეთეს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა გულებისკენ გზას თავად გამჩენი კვალავს და გადარჩენაც მისი უზენაესი ნებაა. ჩვენ კი ვცდილობთ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. უზენაესს ვთხოვთ, ეს წიგნი სასარგებლო იყოს მკითხველებისთვის და მასში მოცემული გზავნილები მკითხველთა გონებაში სწორად აისახოს.

მცდელობა ჩვენგან, წყალობა კი გამჩენისგანაა.

რედაქციის საქმეთა საპატიმროში

წინასიტყვაობა

ღმერთის სახელით...

დიდება ღმერთს, ვლოცვათ და ვესალებით ძვირფას შუამავალს, მის ოჯახსა და მეგობრებს.

ღმერთმა ეს ყველაფერი, რაც ცასა და დედამიწაზეა, ადამიანისთვის გააჩინა. (იხ. ნაჰლ 16/13; ჯასიე 45/13). ადამიანი კი იმისთვის გააჩინა, რომ იწამოს ღმერთი და ეთაყვანოს მას. (იხ. ზარიათ 51/56). სწორად ცხოვრებისა და მსახურებისთვის ღმერთმა ადამიანებს შუამავლები და წმინდა წიგნები მოუვლინა. ამრიგად, ღმერთსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას არეგულირებს ღვთით დადგენილი კანონების ერთობლიობა, რომელსაც სარწმუნოება ეწოდება.

სარწმუნოება ადამიანის გაჩენიდან მოყოლებული ყველა ეპოქაში და ყველა სფეროში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იკავებდა. ისლამი, როგორც სარწმუნოება, ადამიანს და მის გარემომცველ გარემოს აერთიანებს და ამ გზით მისი ფიქრისა და ქცევის მიმართულებას განსაზღვრავს. ისლამს სურს, რომ ადამიანმა იცნოს საკუთარი თავი, მისი არსებობა, გამჩენი და ეს ყველაფერი ერთ მთლიანობაში აღიქვას. ისლამი ადამიანს უნაკლო მეგზურობას უწევს, რათა მან სრულყოფილი მსახურის ცხოვრებით იცხოვროს. ამრიგად, სარწმუნოება არის უნივერსალური მოძღვრება, რომელსაც ადამიანისთვის ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერება მოაქვს.

ისლამი და მისი დებულებები ადამიანსა და საზოგადოებას მაცოცხლებელ გარემოს უქმნის. ისლამი ადამიანს ასწავლის გზას, რომლის მიხედვითაც ადამიანს საკუთარ თავთან, ოჯახთან გარემოსთან და გამჩენთან ჰარმონიული ურთიერთობები უყალიბდება. ისლამი მთელ კაცობრიო-

ბას მიმართავს და ეს მრავალი აიათითაა დადასტურებული. სარმუნოება ადამიანისთვისაა. სარწმუნოება ადამიანის ბედნიერებისთვისაა. მორწმუნე ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებაში ადამიანი ამაღლებული და დაფასებულია.

ისლამში ღვთისმსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ზოგადი გაგებით ღვთისმსახურება ეს არის იმ ქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც ღვთიური ბრძანების შესაბამისად ადამიანმა უნდა შეასრულოს და ასევე მოიცავს იმ ქმედებებისგან შორს დგომას, რომლებიც ღვთიური ბრძანებების შესაბამისად აკრძალულია. ღვთისმსახურების ფორმები ადამიანის რწმენისა და ღვთისადმი მინდობის დემონსტრირებაა. ამრიგად, რწმენისა და ქმედების ერთობლიობა ღვთისმსახურების სახით ვლინდება.

ისლამის მიხედვით ყველა კეთილი საქმე და ქცევა ღვთისმსახურებად ითვლება. მათგან ზოგიერთი, ღვთიური ბრძანებისა და შუამავლის სუნას მიხედვით, კონკრეტულ ფორმებში ვლინდება. ღვთისმსახურების ეს ფორმები, მუსლიმების მხრიდან, ოდითგანვე დიდი გულისხმიერებით სრულდება და ასეა ახლაც. შესაბამისად, ნამაზი, მარხვა, ჰაჯი, ზექათი და სხვა მსგავსი ძირითადი ღვთისმსახურების ფორმები მუსლიმად ყოფნის მთავარი მოთხოვნებია. ისინი მნიშვნელოვანი ბრძანებებია და მათი შესრულების ფორმები შუამავლის სწავლების მიხედვითაა დადგენილი.

ღვთისმსახურება ისლამის აუცილებელი ნაწილია და ადამიანი მისი შესრულებით მადლს იღებს. ამავდროულად, მორწმუნე ადამიანი საზოგადოებაში სანდოობით სარგებლობს, რადგან ის პასუხისმგებლიანი პიროვნებაა. ღვთისმსახურება ადამიანს წრთვნის და მასში დადებით პიროვნულ თვისებებს ანვითარებს. მორწმუნე ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება მადლმოსილებითაა სავსე. ამგვარი საზოგადოება თავად ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ადამიანი იწრთვნება და ზნეობრივად კეთილშობილდება.

როგორც ცნობილია, ისლამის მიხედვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთისმსახურება ნამაზია. მორწმუნე მუსლიმი დღეღამის განმავლობაში ხუთი დროის ნამაზს ლოცულობს.

ხუთი დროის ნამაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ეზანია, სალოცავად მოხმობა, რომელიც მომლოცველებს ნამაზის დროის მოსვლას ამცნობს და სალოცავად უხმობს. ამრიგად, ნამაზი და ეზანი ერთ მთლიანობაში განიხილება და ფასდება. ნამაზის ასე დისციპლინირებულად, მოწესრიგებულად შესრულებაში ეზანი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ეზანი ლოცვად მოხმობაა. ეზანი სავალდებულო ნამაზის დროის მოსვლის მაუწყებელია. ეზანი შუამავალმა შეგვასწავლა და იმ დროიდან მოყოლებული იგივე ფორმით სრულდება. ეზანი, უპირველეს ყოვლისა, ნამაზისკენ მოხმობაა. ამასთანავე, ეზნის საშუალებით ხმამაღლა გაცხადება ხდება ისლამის საფუძვლებისა; ღმერთი ერთია და მუჰამმედი მისი შუამავალია.

ყველა სარწმუნოებას თავისი სიმბოლო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია. ეზანი ისლამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა. ამ თვალსაზრისით ეზნის მნიშვნელობა მუსლიმების მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულებაში ვლინდება.

თემერ თუფენსარი

ეზნის წარმოშობა
და პირველი ეზანი

აბდულლაჰმა ეზანი ბილალს
ასწავლა. ბილალი ფეხზე ადგა და თავისი
ლამაზი და მჭექარე ხმით დედამიწაზე
პირველი ეზანი იკითხა:
„ალლაჰუ ექბერ...
ალლაჰუ ექბერ...“

ეზანი მუსლიმების არსებობის სიმბოლოა. ეზანი ისლამისა და ნამაზისაკენ მოხმობაა. ეზანი ისლამური ცივილიზაციის მნიშნელოვანი სიმბოლოა.

ეზანი არის ხმამაღალი გაცხადება იმისა, რომ არსებობს ერთი ღმერთი და მუსლიმები ამას აღიარებენ. ეზნის წარმოშობის პერიოდში განსხვავებული გარემო და პირობები იყო. თუ ისტორიულ მოგზაურობას მოვაწყობთ, ეზნის წარმოშობა, ეს იყო მექაში წარმოქმნილი ნათელის მედინას ცაში გახმოვანება და ამ გახმოვანებით დრო და ადგილი წყალობის ნათელით შეიმოსა.

მექა ის ადგილია, სადაც ისლამი დაიბადა. მექა ქალაქთა შორის დედაქალაქია. დედამიწზე პირველი სალოცავი აქ არის აგებული. ამჯერად მექა შუამავლთა ჟაჭვის უკანასკნელი რგოლის, შუამავალ მუჰამმედის მასპინძელი ქალაქი გახდა. შუამავალ აბრაამის შემდეგ მექას ასეთი ღირსეული შვილი არ მოსწრებია. შუამავლის იქ მოვლინებამ და ერთი ღმერთის რწმენისათვის ხელახალმა ბრძოლამ, მექას სახელი და მნიშვნელობა წარმოუდგენლად გაზარდა.

იმ პერიოდში მექა დამწუხრებული იყო. ერთი ღმერთის რწმენის მედროშე ქალაქი ახლა ურწმუნოთა მმართველობის ქვეშ იყო. თავდაპირველად ურწმუნოთა მმართველობა ვერ გატეხეს და მექაში მდებარე ყველა სახლში ისლამის ნათელმა ვერ შეაღწია. პირიქით, ურწმუნოები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ეს ახალი ნათელი სათავეშივე ჩაექროთ.

მუსლიმები დიდ შევიწროებას განიცდიდნენ. ურწმუნოები სდევნიდნენ და აწამებდნენ. ისინი მუსლიმებს მხო-

ეზნის წარმოშობა, ეს იყო მექაში
წარმოქმნილი ნათელის მედინას ცაში
გახმოვანება და ამ გახმოვანებით დრო
და ადგილი წყალობის ნათელით შეიმოსა.

ლოდ იმისათვის იმეტებდნენ, რომ ერთი ღმერთის რწმენა ჰქონდათ. ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილი მუსლიმები თავიანთი რწმენის მოთხოვნებს ვერ ასრულებდნენ. „მე მუსლიმი ვარ“ ამის თქმა დიდ სიმამაცესა და ძალას მოითხოვდა. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეთიოპიელი მონა ბილალი არაადამიანურად აწამეს მხოლოდ იმისათვის, რომ ის ერთი ღმერთის რწმენას აღიარებდა. ისტორიის წიგნებიდან ვიცით, რომ აბდულლაჰ ბინ მესუდი იმისათვის აწამეს, რომ მან ქააბაში ყურანის აიათები ღიად წაიკითხა. თუნდაც იასირის ოჯახი... ჰაბბაბი, ებუ ზერი, ლუბეინე და მრავალი სხვა ურწმუნოთა მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდნენ. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი მუსლიმები დღეში ორჯერ, დილას და საღამოს ნამაზის ლოცვას და ყურანის კითხვას წარმოუდგენელი რისკის ფასად ძლივს ახერხებდნენ.

ურწმუნოთა ძალადობა უფრო და უფრო მეტ მასშტაბებს იღებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ისლამის მოვლინებიდან მეათე წელს მუსლიმები ერთ უბანში ჩაკეტეს და სრული ბოიკოტის გზით შიმშილისა და წყურვილისგან სიკვდილისთვის გაწირეს. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ შუამავლის საყვარელი ბიძა და მფარველი ებუ თალიბი და ასევე შუამავლის მეუღლე და დიდი მეგობარი ჰზ. ჰატიჯე გარდაიცვალნენ. შუამავალი რამოდენიმე დღის განმავლობაში სახლიდან არ გამოსულა. ურწმუნოებმა დრო იხელთეს, რადგან შუამავალს მფარველი ბიძა აღარ ჰყავდა და ზეწოლა უფრო და უფრო გააძლიერეს. შუამავალი ტაიფში

წავიდა, რათა ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან ცოტათი შვება მაინც ეგრძნო. სამწუხაროდ იქ უარესად დახვდნენ და ქვები დაუშინეს. შუამავალი უკიდურესად დამწუხრებული იყო, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. ის მალულად დაბრუნდა მექაში. ისლამის ისტორიაში ამ წელს „მწუხარების წელიწადი“ ეწოდა.

ისლამის მოვლინებიდან მეთერთმეტე წლის შუა პერიოდი იყო. ღმერთმა შუამავლის გამხნევება ინება და თავისთან იხმო. ეს იყო დიდი სასწაული. ამ სასწაულს ისრა და მირაჯი ეწოდა. ერთ ღამეს შუამავალი მექადან იერუსალიმში, ხოლო იქიდან ზეცად ამაღლდა. შუამავალმა ზეციდან დიდი იმედი, წყალობა და საჩუქრები ჩამოიტანა. მირაჯის საჩუქრებიდან უდიდესი საჩუქარი ხუთი დროის ნამაზი იყო.

ამიერიდან ნამაზი სავალდებულო გახდა, მაგრამ ურწმუნოები მუსლიმებს არათუ ნამაზის ერთად ლოცვის, არამედ ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევდნენ. მათი მხრიდან თავდასხმები უკვე გაუსაძლისი გახდა. შუამავალი საგონებელში ჩავარდა. ის უკვე ფიქრობდა, რომ მუსლიმების უსაფრთხოებისთვის მათი მშობლიური ქალაქიდან წასვლა იყო საჭირო. ის ეძებდა ადგილს, სადაც ახლადაღმოცენებული ისლამი ფესვს გაიდგამდა, გაიშლებოდა და გაძლიერდებოდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად შუამავალი ისლამის გადაგებას ინტენსიურად განაგრძობდა. შუამავლობის მოვლინებიდან მეთერთმეტე წლის ჰაჯის დროს იესრიბიდან (მედინა) ექვსიოდე კაცი ჩამოვიდა და შუამავლის ქადაგება მოისმინა. მათ მაშინვე ისლამი მიიღეს. მათ თქვეს, რომ მომავალ წელსაც ჩამოვიდოდნენ და მედინაში დაბრუნდნენ. შუამავალს იმედი მიეცა. ღმერთმა ამ შემთხვევით ისლამის ნათელის გასაცისკროვნებლად პატარა ნაპერწკალი აჩვენა. იესრიბში პირველი მარცვალი უკვე ჩაგდებული იყო. მომავალ წელს იესრიბიდან თორმეტი მუსლიმი ჩამოვიდა. მათ ისლამი აღიარეს და შუამავალს ერთგულება შეჰფიცეს. შუამავალმა ახალგაზრდა მუსლიმი, მუსაბ ბინ უმეირი იესრიბში მასწავლებლად მიავლინა. ჩაგდებულმა მარცვალმა ნაყოფი გამოიღ და მომავალ წელს იესრიბელი მუსლიმების რაოდენობამ სამოცდაათს მიაღწია. აქაბეში ფიცის დადე-

ბა ხელმეორედ გაიმართა. მათ შუამავალს შეჰფიცეს, რომ საკუთარი ოჯახისა და შვილების მსგავსად დაიცავდნენ და იესრიბში მიიწვიეს.

ამრიგად, ამ შემოთავაზებით მუსლიმებს ერთ საზოგადოებად ჩამოყალიბებისა და განვითარების საშუალება მიეცათ. ეთიოპიასა და ტაიფში წარუმატებელი მცდელობა ამჯერად ესრიბში დაბადებული იმედით შეიცვალა. იმ ღამით არამარტო აქაბე, არამედ სამყარო გაცისკროვნდა. იესრიბი უკვე მუსლიმების ახალი სამშობლო და რელიგიური ვალდებულებების თავისუფლად გამოხატვისთვის ხელსაყრელი ადგილი გახდა. იესრიბელებმა შუამავალი და მექელი მუსლიმები ძმებად მიიღეს და ამის გამო ენსარი, ანუ შუამავლისა და მუსლიმების დამხმარეები ეწოდათ.

იესრიბი უკვე მზად იყო იმისათვის, რომ შუამავალი მიეღო და მისი ქალაქი გამხდარიყო. აქაბეს მეორე შეფიცვის შემდეგ ყველა მუსლიმი ვალდებული გახდა საცხოვრებლად იქ გადასულიყო. ასე დაიწყოს ისლამის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა, ჰიჯრა.

ჰიჯრა... ეს იყო ღვთის გულისათვის, შუამავლისათვის, რწმენისა და თავისუფლებისათვის სამშობლოს მიტოვება და სხვაგან გადასახლება. მათ მშობლიური ქალაქის, მექას დატოვება მოუწიათ. მიატოვეს სახლები, ოჯახები, მშობლები, შვილები... მათ ქააბას დატოვება მოუხდათ.

ძნელი იყო, ძალიან ძნელი. მექას დატოვება დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. ეს საკმაოდ რთული გამოცდა იყო მათთვის. ისინი შუამავლის თანამებრძოლები იყვნენ, ამიტომ თვალიც არ დაუხამხამებიათ ისე წავიდნენ. ეს არ იყო გაქცევა ან მშვიდად ცხოვრების ძიება. ეს იყო რწმენის მოთხოვნილება, ღვთისმსახურებისთვის ხელსაყრელი გარემოს ძიება. ურწმუნოებისა და ძალადობისაგან გარიდება იყო საჭირო. მათ ახალი ატმოსფერო სჭირდებოდათ, სადაც წარსულის გადმონაშთი ჩვევები და ცრურწმენები არ ბატონობდა. ეს იყო წმინდა მოგზაურობა, რომელიც თავისუფლებისკენ სწრაფვისა და ისლამური საზოგადოების ჩამოყალიბების დასაწყისი გახდა. მუსლიმები მექადან უნდა წასულიყვნენ, რათა ჩამოეყალიბებინათ ისლამური საზოგადოება, სადაც

მათი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ყოფა თავისუფლებასა და თანასწორობაზე იქნებოდა დამყარებული. ყურანში ნაბრძანებია:

„და ვინც გადასახლდება ალლაჰის გზაზე, ის იპოვის დედამიწაზე აუარებელ გადასასახლებელ ადგილსა და სარჩოს“. (ნისა 4/100)

ასეც მოიქცნენ. ყველანი ჰიჯრით გამოწვეული განცდების ქვეშ იყვნენ. ბოლოს კი შუამავალმაც დატოვა მექა. გზა რთული იყო. უდაბნო, საფრთხე, მანძილი... ბოლოს, როგორც იქნა, იესრიბს მიაღწია. იესრიბელები დიდი მოლოდინით ელოდნენ. დღეების განმავლობაში გზას გაჰყურებდნენ, ქალაქგარეთ გადიდოდნენ და მაღალი ხეების კენწეროებიდან გზას აკვირდებოდნენ. ისინი ნანატრ შუამავალს ელოდნენ. ბოლოს ისიც გამოჩნდა. იესრიბელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მარტო მუსლიმები კი არა, იესრიბის ყველა მაცხოვრებელი უდიდეს სიხარულს განიცდიდა.

შუამავლის იესრიბში ჩასვლიდან ამ ქალაქს მედინა ეწოდა. ეს სახელი გულისხმობდა, რომ ამ ქალაქში უნივერსალური პროექტი მზადდებოდა, რომელიც ეპოქებს გასცდებოდა. მედინაში ჰიჯრა ახალი ცივილიზაციის დასაწყისი იყო. შუამავალი და მისი მეგობრები ამ ქალაქში ჩავიდნენ და ამის მიზეზი მხოლოდ მექელების მხრიდან წარმოუდგენელი შევიწროება არ გახლდათ. ესოდენ დიდი მოვლენა მხოლოდ ამ მიზეზით არ აიხსნება. ამ ყველაფრის უკან დიდი აზრი და დიდი მიზანი იდგა. ეს იყო სრულიად ახალი პროექტი, რომელმაც სრულებით ახალ ცივილიზაციას დაუდო დასაბამი და მთელი მსოფლიო შეცვალა.

არაბულად დინ-სარწმუნოება, მედენიეთ-ცივილიზაცია და მედინა საერთო მნიშვნელობის სიტყვებია. სარწმუნოება ცივილიზაციის აკვანია. უფრო მეტიც, სარწმუნოება თავადაა ცივილიზაცია, შუამავალი კი ამ ცივილიზაციის ფუძემდებელია.

იესრიბი უკვე შუამავალის ქალაქი, ანუ მედინა გახდა. მას მედინეი მუნევვერეს ეძახიან, რაც გასხივოსნებულ ქალაქს ნიშნავს.

მედინა ახალი ცივილიზაციის აკვანი გახდა. ისლამურ ცივილიზაციას საფუძველი აქ ჩაეყარა. მექაში წარმოქმნილი ნათელი მედინაში აკაშკაშდა და სამყარო მოიცვა. ისლამი ადამიანების ბედნიერების წყარო გახდა. ისლამური ცივილიზაცია კაცობრიობის ისტორიაში სამაგლითო გახდა. მედინაში „ბედნიერების ხანა“ დაიწყო. ისლამი სხვა აღმსარებლობას სრული შემწყნარებლობით უყურებდა. განსხვავებული წარმომავლობისა და აღმსარებლობის ადამიანები მშვიდობინად თანაცხოვრებდნენ. ევსისა და ჰაზრეჯის ტომის ხალხი საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს შორის იბრძოდნენ, ახლა კი მტრობა დასრულდა და მშვიდობამ დაისადგურა. მექადან მოსულ მუჰაჯირებს ადგილობრივი ენსარები ძმებივით შეხვდნენ და სარჩო გაუნაწილეს. მედინაში მცხოვრები არამუსლიმებიც მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებში იყვნენ და შეთანხმების საფუძველზე სამართლიანი უფლებებით სარგებლობდნენ. მედინა მშვიდობისა და ერთიანობის ქალაქი გახდა.

ამასთანავე ისლამი ინსტიტუტიონალიზაცია მიმდინარეობდა. შუამავალმა მედინაში ჩასვლისთანავე მეჩეთის აგება ბრძანა, რათა ეს მეჩეთი ახალი ცივილიზაციის შემადგენელი ელემენტების ცენტრი ყოფილიყო. ამ პროცესში მეჩეთის როლი განსაკუთრებული იყო. შუამავალმა ჯერ კიდევ მედინაში მიღწევამდე, გზაში ყოფნისას, ქუბაში მეჩეთი ააგებინა. მედინაში მეჩეთის მშენებლობაზე შუამავალი თავადაც მუშაობდა. მეჩეთის გვერდზე სასწავლებელი მიაშენეს. მშენებლობა სულ შვიდი თვე გაგრძელდა. ამის შემდეგ ისლამური ტიპის არქიტექტურული განაშენიანება სულ ამ სტილს იცავდა. ქალაქის ცენტრში მეჩეთი და სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. შუამავალი სალოცავსა და სასწავლებელს განუყოფლად მიიჩნევდა.

ა. ლოცვის მიმართულების ქააბასკენ გადატანა

მეჩეთის მშენებლობა უკვე დასრულებული იყო. შუამავალს ერთ ფიქრი არ ასვენებდა. მას სურდა, რომ ლოცვის მიმარ-

თულება ქააბა ყოფილიყო. მედინაში მუსლიმებს გარდა ებრაელები და კერპთაყვანისმცემლებიც ცხოვრობდნენ. თავდაპირველად მუსლიმებმა ლოცვის მიმართულებად იერუსალიმი აირჩიეს, რადგან იმ პერიოდში ქააბა კეპთაყვანისმცემლების ლოცვის მიმართულებად ითვლებოდა. თავდაპირველად იერუსალიმის არჩევა მედინელი ებრაელებისთვის, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ერთგვარი გზავნილი იყო.

შუამავალი ებრაელებს ახსენებდა, რომ ისლამი აბრაამის სარწმუნოების გაგრძელება იყო. ჰზ. აბრაამმა კერპთაყვანისმცემლებს ბრძოლა გამოუცხადა, მათი კერპები დაამხო და ერთი ღმერთის რწმენა გაავრცელა. სწორედ ამის სიმბოლოდ ააშენა მან ქააბა. შუამავალი მუჰამმედიც მექაში ყოფნისას „იბრაჰიმის ადგილას“ ლოცულობდა. ასეთ შემთხვევაში ის როგორც ქააბას, ისე იერუსალიმისკენ პირისახით იდგა. მედინაში გადასვლის შემდეგ, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, იერუსალიმისა და ქააბას ერთი მიმართულებით მოქცევა შეუძლებელი გახდა. აღნიშნული მდგომარეობა შუამავალსა და მუსლიმებს ძალიან აწუხებდა.

აღნიშნული მდგომარეობა კიდევ ერთმა ფაქტორმა გახადა გაუსაძლისი. ებრაელები ამ სიტუაციას ბოროტად იყენებდნენ და აცხადებდნენ, რომ ისინი ყველაზე მაღლა იდგნენ. მათი ეს დამოკიდებულება მუსლიმებს ძალიან აწუხებდა. არადა შუამავალი ახალი წმინდა წიგნის, ახალი სარწმუნოების, ახალი მიმდევრების შუამავალი იყო. ის სრულებით ახალ ცივილიზაციას და სრულიად განსხვავებულ საზოგადოებას აყალიბებდა.

მედინაში ჩამოსვლის შემდეგ შუამავალი ქმნიდა გარემოს, სადაც განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანები სრულ თავისუფლებას გრძნობდნენ და თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას თავისუფლად ახერხებდნენ. გარდა ამისა, შუამავლის სუნას ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სხვა რელიგიებისგან განსხვავებულობა იყო. ყველა პრინციპი, რასაც შუამავალი ქადაგებდა და რასაც ის მიმდევრებს ასწავლიდა ყურანისეული მოძღვრე-

ბიდან მომდინარეობდა. შესაბამისად სრულიად ახალი ინ-
დივიდები და საზოგადოება ყალიბდებოდა. ეს ყველაფერი
გაცხადებული და ღია იყო.

თუმცა, ლოცვის მიმართულების ანუ კიბლას ცვლილების
საკითხი შუამავალს არ გადაუწყვეტია. აქამდე იერუსა-
ლიმისკენ ლოცვა იქნებ იმის გამო იყო, რომ შუამავალს
წმინდა წიგნის ხალხის გულის მოგება სურდა, მაგრამ ებ-
რაელებმა ეს ყველაფერი არასწორად გაიგეს და არასასია-
მოვნო ინტერპრეტირების გზით ნეგატიური დამოკიდებუ-
ლება გამოამჟღავნეს. უკანსკნელი შუამავალი ახალ სარწ-
მუნოებას ქადაგებდა, მაგრამ ამავდროულად ზოგიერთი
საკითხის მისაღებად ჩათვლის გზით წმინდა წიგნის ხალხ-
თან სიახლოვეს ხაზს უსვამდა, რაც ებრაელების მხრიდან,
საბოლოო ჯამში, ისლამის საწინააღმდეგო პროპაგანდის
ხერხად იქნა გამოყენებული.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე შუამავალს ახლა
უკვე უფრო მეტად სურდა, რომ მუსლიმების ლოცვის მი-
მართულება ქააბა ყოფილიყო. ქააბა, რომელიც პირველი
სალოცავი იყო დედამიწაზე. ქააბა ხომ ჰზ. აბრაამის კიბლა
იყო. აბრაამმა ხომ ნემრუდის კერპები დაამსხვრია და ერთი
ღმერთის რწმენა იქადაგა. შუამავალსაც სურდა ქააბაში
არსებული კერპები დაემსხვრია და იქ ისევ ერთი, ჭეშმარი-
ტი ღმერთის რწმენა დაბრუნებულიყო. შუამავალი ღმერთს
ევედრებოდა, რომ ჭეშმარიტი გზა ეჩვენებინა და ამ დილე-
მისგან გათავისუფლებულიყო.

შუამავალი ხშირად ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა და
ღმერთს ევედრებოდა, რათა გამოსავალი ეპოვა და ღვთუ-
რი ბრძანების შესაბამისად მოქცეულიყო. ბოლოს ღმერთ-
მა თავისი რჩეულის ვედრება ისმინა და შუამავალს ესოდენ
ნანატრი გზავნილი მოევლინა.

„(ო, მუჰამმედ) ჩვენ დაგინახეთ, უკვე რამდენჯერ აღაპყარი
(მოლოდინით ვაჰისა) სახე ზეცისკენ და უეჭველად, ჩვენ მიგაბ-
რუნებთ ყიბლისკენ , მისით კმაყოფილი იქნები. მაშ, მიაბ-
რუნე სახე შენი მესჯიდი ჰარამისკენ და სადაც არ უნდა
იყოთ (ლოცვის დროს), მიაბრუნეთ სახე თქვენი მის მხარეს.
უეჭველად, რომელთაც ებოძათ წიგნი, დიახაც უწყიან, რომ

იგი ჭეშმარიტება მათი ღმერთისგანაა. და ალლაჰი უგულისყურო არ არის იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!“ (ბაყარა 2/144)

შუამავალი წამითაც არ შეყოვნებულა და აღნიშნული ბრძანების შესრულება დაიწყო. უფრო მეტიც, აღნიშნული გზავნილი ნამაზის ლოცვისას მოევლინა და მან მაშინვე უკან მდგარი მლოცველების თანხლებით ქააბას მიმართულებით შეტრიალდა.

ამრიგად, მუსლიმებს უკვე საკუთარი ლოცვის მიმართულება ჰქონდათ და ეს იყო ქააბა, რომელიც პირველი ადამიანისა და შუამავლის, ჰზ. ადამის მიერ იყო აგებული, როგორც პირველი სალოცავი დედამიწაზე. სწორედ ქააბა იყო ის სალოცავი, რომელიც ადამმა ააგო. შემდეგ აბრაამმა იგივე საძირკველზე სალოცავი ისევ განაახლა, ბოლოს კი მუსლიმებს ის კერპებისგან უნდა გაეთავისუფლებინათ და ერთი ღმერთის რწმენისათვის დაებრუნებინათ.

აღნიშნული მოვლენა ყველასათვის დიდი გამოცდა იყო; მუსლიმები იქნებოდნენ, ებრაელები თუ კერპთაყვანისმცემლები. ამ ამბავს თითოეული მხარე სათავისოდ განმარტავდა. ბოლოს ღვთის ნება აღსრულდა და ქააბა მუსლიმთა ლოცვის მიმართულებად დადგინდა.

შუამავალმა მუსლიმებს ახარა, რომ ქააბა მათი ლოცვის მიმართულება იყო. ეს ასევე ნიშნავდა იმას, რომ მალე ქააბა ურწმუნოთა ხელიდან გათავისუფლდებოდა და ისევ ერთი ღმერთის რწმენის სამსახურში ჩადგებოდა. მუსლიმების ჰიჯრა დიდი გათავისუფლებით უნდა დაგვირგვინებულიყო და ეს წმინდა ქალაქი, მექა ისლამის ნათელით შემოსილიყო.

ჰიჯრიდან პირველი ორი წლის განმავლობაში მედინაში ბევრი მნიშნელოვანი ცვლილება განხორციელდა. შეიცვალა ქალაქის სახელი, აშენდა მეჩეთი და სასწავლებელი, დადგინდა პარასკევის საყოველთაო ლოცვა, შეიცვალა ლოცვის მიმართულება და სხვა. ასევე შეიცვალა პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული სფეროები. მუსლიმების ძმებად გამოცხადება მათი ერთიანობისა და თანასწორობის საფუძველი გახდა. მოწესრიგდა ყო-

ველდღური და სავაჭრო ურთიერთბები. დადგინდა მარხვისა და ბაირამის დღეები. ამრიგად, ისლამის ცივილიზაციის საწყისები უკვე ჩამოყალიბდა და სწრაფი განვითარება დაიწყო.

ბ. მუსლიმები სალოცავად მოხმობის საშუალებას ეძებენ.

მუსლიმები უკვე ბედნიერები იყვნენ. მათ ჰქონდათ მშვიდი გარემო, სადაც რელიგიურ მსახურებას თავისუფლად აღავლენდნენ. ჰქონდათ სალოცავი და საკუთარი ლოცვის მიმართულება. მათი უსაყვარლესი შუამავალი მათ გვერდით იყო. ისინი შუამავლის ირგვლივ იყვნენ შეკრებილები და დედამიწაზე ყველაზე პროგრესულ საზოგადოებას ქმნიდნენ. ისინი ყველა დროის ნამაზზე მეჩეთში იკრიბებოდნენ და ერთად ლოცულობდნენ. ამ ყველაფრის მიუხედავად არსებობდა ერთი რამ, რაც მათ წუხილს იწვევდა. ნამაზის დროის მოსვლა დაბნეულობას იწვევდა და ზოგი მლოცველი ნამაზზე აგვიანებდა. საჭირო იყო ლოცვად მოხმობა, რათა ყველას გაეგო ნამაზის დროის მოსვლა და დროულად მისულიყვნენ მეჩეთში. ზოგი ადრე მიდიოდა და ელოდებოდა, ზოგიც კიდე აგვიანებდა და ალოდინებდა. აღნიშნული პრობლემა სერიოზული იყო, რადგან მუსლიმები ზუსტი დროის განსაზღვრასა და ნამაზის ერთად ლოცვას ძნელად ახერხებდნენ. საჭირო გახდა გამოსავალი ეძებნათ.

რა უნდა მოემოქმედათ, რომ ნამაზის დროის მოსვლა ყველასთვის ერთად გაეგებინებინათ?

ნამაზი ძალიან მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა. ასევე მნიშნელოვანია მისი დროულად და ერთად შესრულება. მედინაში მუსლიმების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა და მლოცველები მედინას სხვა და სხვა უბნებიდან უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მოდიოდნენ. შუამავალმა მორწმუნეებს აუხსნა, რომ ლოცვის ერთად შესრულება გაცილებით მეტი მადლი იყო, ვიდრე მარტო ლოცვა. მლოცველებს სურდათ, რომ ყოველთვის ერთად ელოცათ.

შუამავალმა მეგობრები შეკრიბა და უთხრა, რომ ნამაზზე მრევლის მოსახმობად რაიმე საშუალება უნდა გამოენახათ. შუამავალი გადაწყვეტილების მიღებისას ღვთურ ბრძანებას ელოდებოდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მეგობრებს შეკრებდა და ზოგ საკითხს კრებაზე წყვეტდა. ამგვარ კრებებს ბევრი დადებითი ჰქონდა. მრევლი გადაწყვეტილებების მიღებაში იღებდა მონაწილეობას და ამასთანავე ისინი ცოდნას იძენდნენ. შუამავალი ყველა მსურველის აზრს ითვალისწინებდა და ყველას უსმენდა. მას სურდა, რომ მუსლიმები ყველა საჭირბოროტო საკითხში ჩართული ყოფილიყვნენ და საკითხის აზრი გაეთავისებინათ. ყველას მოსმენის შემდეგ გადაწყვეტილებას კონსესუსის პრინციპით იღებდა.

ერთხელაც შუამავალმა ნამაზისთვის შეკრებილ მრევლს მიმართა და უთხრა, რომ ნამაზზე მოსახმობად რაიმე საშუალება უნდა მოაფიქრებინათ. ყველა გულისყურით ისმენდა. გამოთქვამდნენ აზრებს. ზოგი სხვა რელიგიების გამოცდილებას ეყრდნობოდა, ზოგი გარემო პირობებს ითვალისწინებდა. ზოგი ამბობდა ზარი დავრეკოთო, ზოგიც საყვირს ემხრობოდა, ზოგიც კიდე ცეცხლი ავანთოთო და ა.შ.

ყველა ამ მოსაზრების გაჟღერებას კეთილი ზრახვები ედო საფუძვლად, მაგრამ თითოეული ამ მოსაზრებათაგანი სხვა რელიგიებისთვის იყო დამახასიათებელი. ზარს ქრისტიანები იყენებდნენ, საყვირს-ებრაელები, ცეცხლსკი ცეცხლთაყვანისმცემლები. მუსლიმებს არცერთი მათგანი არ გამოადგებოდა. შუამავალიც და დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამას ეწინააღმდეგებოდა და შესაბამისად ყველა წინადადება უარყოფილ იქნა.

როდესაც მუსლიმები იერუსალიმისკენ ლოცულობდნენ, ებრაელები ამბობდნენ, რომ მუჰამმედი ჩვენს სარწმუნოებას არ აღიარებს, მაგრამ იერუსალიმისკენ ლოცულობსო. იგივეს იტყოდნენ, თუ მუსლიმები მლოცველების ლოცვაზე მოსახმობად სხვა რომელიმე რელიგიისათვის დამახასიათებელ სიმბოლოს გამოიყენებდნენ, ზარი იქნებოდა ეს, საყვირი, ცეცხლი თუ სხვა რამე.

საბოლოო ჯამში ამ შეკრებაზე გადაწყვეტილების გამოტანა ვერ მოხერხდა. შუამავალი დამწუხრებული იყო. მისი მეგობრებიც დამწუხრებული იყვნენ. მათ ხელები ზეცად აღაპყრეს და ღმერთს შველა შესთხოვეს. მათ სურდათ ისეთი განსხვავებული მოხმობა, რომელიც მხოლოდ მუსლიმების სიმბოლო იქნებოდა. როგორი უნდა ყოფილიყო ეს?

კრების დასასრულს ჰზ. ომარმა სიტყვა მოითხოვა. ისიც სხვებთან ერთად სხვა სარწმუნოების სიმბოლოების გამოყენების წინააღმდეგი იყო. ომარმა შუამავალს შესთავაზა, რომ ლოცვის დროის მოახლოებისას სპეციალურად შერჩეული პიროვნება გაეგზავნათ ქუჩებში და მას მოეხმო ადამიანების სალოცავად. შუამავალმა ეს რჩევა გაითვალისწინა და ამ მოვალეობის შესრულება ბილალს დაავალა. ამის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნამაზის მოახლოების დროს ბილალი ქუჩაში გადიოდა და ხალხს მეჩეთში წასვლისაკენ მოუწოდებდა.

თუმცა ეს მეთოდი გრძელვადიან პერსპექტივაში არ გაამართლებდა. პირველ რიგში ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ მუსლიმთა რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა და ყველა უბანში ჩამოვლა ძალიან ძნელი იყო. საკითხის მოგვარება უფრო ეფექტური და ხანგრძლივი პერსპექტივის გზით უნდა მოეხერხებინათ.

თათბირები ისევ გრძელდებოდა. ერთ-ერთ ასეთ თათბირზე მეგობრებმა შუამავალს ახალი იდეა მიაწოდეს. ნამაზის დროის მოსვლისას მეჩეთის სახურავზე დროშა აღემართათ, მლოცველები დაინახავდნენ და მოვიდოდნენ. აღნიშნულ შემოთავაზებაზეც ბევრი იმსჯელეს და დაიწუნეს, რადგან ეფექტური არ იყო.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ შუამავალი ყველას მოსაზრებას ისმენდა, საკითხად გაჰქონდა, მსჯელობდნენ, იწონებდნენ, იწუნებდნენ და თავად რაიმე ინიციატივით, რაიმე წინადადებით არ გამოდიოდა. არც ღვთიური გზავნილი მოდიოდა. ნეტა, ასე რატომ იქცეოდა? იქნებ სურდა, რომ ამ საკითხში მიმდევრების აზრი, მონდომება და გულისყური ყოფილიყო ჩართული. მისი ასეთ ქცევა რაღაცით ხომ უნდა ახსნილიყო.

დროშის აღმართვის იდეის დაწუნებამ შუამავალი ისევ დაამწუხრა. ზოგჯერ ასეთი განსაცდელი სიბრძნის საწინდარია. ამ დარდსა და გამოუვალ მდგომარეობას ისევ ღვთიური ჭეშმარიტება მოუძებნიდა გამოსავალს.

გ. ღვთიური სიბრძნე გამოჩნდა და სალოცავად მოხმობის საკითხი გადაწყდა

ლოცვად მოხმობის პრობლემის გადაუჭრელობის გამო ყველანი დადარდიანებული იყვნენ. მათ შორის ერთი განსაკუთრებით მოწყენილი იყო. ეს იყო ერთ-ერთი ადგილობრივი მედინელი, ჰაზრეჯის გვარის წარმომადგენელი, რომელიც პირველ მუსლიმთაგანი იყო და რომელმაც აქაბეში შუამავალს ერთგულება აღუთქვა. ის მედგრად იბრძოდა ბედირისა და უჰუდის ბრძოლებში.

იმ საღამოს, როდესაც ბოლო წინადადებაც უარყოფილ იქნა და ლოცვის მოახლოებისას მეჩეთზე დროშის აღმართვის იდეა დაიწუნეს. ხსენებული მედინელი მუსლიმი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. ის შუამავალზე დარდობდა და მის მოწყენილობას ვერ ეგუებოდა. ეს მედინელი მუსლიმი აბდულლაჰ ბინ ზეიდი გახლდათ. მას შუამავალი უსაზღვროდ უყვარდა. ასე დადარდიანებული შინ დაბრუნდა. მან ვახშამზეც უარი თქვა და დასაძინებლად წავიდა. ძილის წინ გამალებული ფიქრობდა, თუ რა უნდა ყოფილიყო გამოსავალი, რომ მუსლიმების სალოცავად მოხმობის საშუალება მოეფიქრებინათ. ამგვარ ფიქრებში წასული ბორგავდა და ე.წ. ძილ-ღვიძილის მდგომარეობაში იყო. ღმერთმა მისი ესოდენ გულწრფელი დამოკიდებულება და სურვილი გაითვალისწინა და სიზმრად ის გზა აჩვენა, რომელიც მუსლიმების ამ მდგომარეობას სრულებით გამოასწორებდა. იქნებ, ღმერთმა აბდულლაჰი შუამავლისადმი გულწრფელი სიყვარულისთვის დააჯილდოვა და ლოცვად მოხმობა მას ასწავლა.

აბდულლაჰმა სიზმრად მწვანე ტანისამოსში გამოწყობილი კაცი ნახა, რომელიც მას უახლოვდებოდა. კაცს ხელში ზარი ეჭირა. აბდულლაჰმა სთხოვა, ზარი მე მომყიდეო. რად გინდაო, ჰკითხა კაცმა. ლოცვად მოხმობის დროს დავრეკავო. მაშინ კაცმა უთხრა, რომ საამისოდ უკეთეს გზას ასწავლიდა. მწვანედ შემოსილი ადამიანი მეჩეთის სახურავზე დადგა და ეზნის სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა. შემდეგ იგივე სიტყვები ხელმეორედ გაიმეორა და ბოლოსკენ „ყედ ყამეთისსელაჰ“ დაუმატა, რომელიც ორჯერ გაიმეორა.

აბდულლაჰს გაეღვიძა. ყველაფერი, ყველა სიტყვა ზედმიწევნით ახსოვდა. თითქოს ეს სიზმარი იყო და თან არც იყო. მისი მთელი არსება განსაკუთრებულ სიმშვიდეს მოეცვა. ველარ დაიძინა. ან როგორღა დაიძინებდა?! ამდენი ხანია შუამავალი და მისი მეგობრები გამოსავალს ეძებდნენ, დარდობდნენ და სწუხდნენ, ახლა კი ეს გზა ღმერთმა მას აჩვენა. ნეტა შუამავალი რას იტყვისო, ფიქრობდა დილამდე.

აბდულლაჰი სრულად გათენებას არ დაელოდა და შუამავალთან გაიქცა. მლოცველები დილის ნამაზისთვის ჯერ კიდევ არ იყვნენ შეკრებილი. აბდულლჰმა ყველაფერი მოუყვა შუამავალს. შემდეგ კი ეზნის სიტყვები წარმოთქვა:

اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ .

أَشْهَدُ أَنْ لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ . أَشْهَدُ أَنْ لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ .

أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ . أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ .

حَيَّ عَلَى الصَّلَاةِ . حَيَّ عَلَى الصَّلَاةِ .

حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ . حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ .

اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ .

„ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ! (ოთხჯერ)

ეშჰედუ ელლაა ილაჰე ილლელლააჰ, ეშჰედუ ელლაა ილაჰე ილლელლააჰ.

ეშჰედუ ენნე მუჰამმედერრესულულლაჰ. ეშჰედუ ენნე მუ-ჰამმედერრესულულლაჰ.

ჰეიაღა ლესსელააჰ! ჰეიაღა ლესსელაჰ!

ჰეიაღა ლელ ფელაჰ! ჰეიაღა ლელ ფელაჰ!

ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!

ლაა ილაჰე ილლელლაჰ!“

შემდეგ აბდულლაჰმა თქვა, რომ მწვანედ შემოსილმა ადამიანმა, რომელიც მას სიზმარში გამოეცხადა, ნამაზის დაწყებისას ამ სიტყვებზე კიდევ ერთი წინადადების ორჯერ გამეორება ასწავლა. ეს სიტყვებია: „ყედ ყაამეთისსელათუ“.

ზემოთ ხსენებული ეზნისა და ყამეთის ფორმა საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა და დღეს ეზანი ისლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა. ყველა მუსლიმმა ეს სიტყვები იცის და დიდ მნიშნელობას ანიჭებს.

როდესაც აბდულლაჰი ამ ყველაფერს ყვებოდა, იმდენად ღელავდა, რომ თითქოს გული საგულედან უნდა ამოუვარდესო. მისი ყურადღება შუამავლის განწყობამ მიიპყრო. შუამავალი აბსოლუტურად მშვიდი იყო და გულდასმით უსმენდა. თითქოს მან იცოდა, რომ აბდულლაჰი მოვიდოდა და ამ ძვირფას სიტყვებს ეტყოდა. მის გამომეტყველებაში ეს იკითხებოდა. შემდეგ კი შუამავალმა ბრძანა: „ეს ჭეშმარიტი გამოცხადებაა. ეს სიტყვები ბილალს ასწავლე და იკითხოს. მისი ხმა უფრო ომახიანი და ლამაზია!“ (იხ. თირმიზი, „სალათ“ 25)

შუამავალმა აბდულლაჰის სიზმარი და იქ დასწავლილი ეზნის სიტყვები მისაღებად ჩათვალა და დაადასტურა. აბდულლაჰი ძალიან ბედნიერი იყო. ეს სიტყვები ხომ ქვეყნიერების დასასრულამდე ასეთ ფორმით იარსებებდა და მთელ დედამიწაზე გაისმოდა.

აბდულლჰმა ეზანი ბილალს შეასწავლა და ბილალმაც დედამიწაზე პირველი ეზანი იკითხა. მედინა დიდი მოვლენის მოწმე გახდა. ისლამის ესოდენ მნიშვნელოვანი სიმბოლო პირველად გაჟღედა. ბილალი ეზანს კითხულობდა. დილის ნამაზის დრო იყო. ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა. ყველანი განსაკუთრებული მღელვარებით უსმენდნენ. სახლებშ ვინც იყვნენ გაოცებული უსმენდნენ და ცდილობდნენ გამოეცნოთ, ეს რა იყო. თითქოს თვითონ ქალაქი მედინა ღვთის წინაშე იდგა და მის სადიდებელს წარმოთქვამდა.

ბილალის მიერ პირველად წაკითხული ეს სიტყვები მარტო მედინაში კი არა, მთელ დედამიწაზე იქნებოდა ქვეყნიერების დასასრულამდე. ამ ხმის გაგონებაზე ყველა მიხვდა, რომ სალოცავად მოხმობა, ეს წმინდა ძახილი უკვე აღმოცენილი იყო და ყველამ მაშინვე შეიყვარა. მუსლიმები მიხვდნენ, რომ სალოცავად უხმობდნენ და მეჩეთში გაეშურნენ. განუსაზღვრელი იყო მათი კმაყოფილება და სიხარული.

ეს რა საოცარი სიტყვები იყო! ყველა სიტყვა ერთი ღმერთის რწმენას, შაჰადას, ლოცვად მოხმობას, განწმენდისკენ მოწოდებას და ღვთის სადიდებელს გამოხატავდა. სწორედ ეს იყო ის სიტყვები, რომლებიც მუსლიმების რწმენას გამოხატავდა. სწორედ ამას ეძებდნენ და ამას ელოდნენ. ეს იყო საუკეთესო მოხმობა დედამიწაზე. ეს იყო წმინდა ძახილი! ეს იყო ეზანი!

ამ პირველი ეზნის ხმაზე ჰზ. ომარსაც გაეღვიძა. ეზნის გაგონებაზე გაოცდა, რადგან ეს სიტყვები მანაც ნახა სიზმარში. მას ზუსტად ახსოვდა ის სიზმარი და სიტყვებიც სრულად გაიხსენა.

ჰზ. ომარი მაშინვე ქუჩაში გავარდა. იმდენად ჩქარობდა, რომ ტანისამოსს გზადაგზა იცვამდა. რაც შეიძლება მალე უნდა მისულიყო შუამავალთან და ეს ამბავი ეცნობებინა. უნდა აეხსნა, რომ იგივე სიტყვები მანაც ნახა სიზმარში. სალოცავში მისულმა მოისმინა, რომ ის სიზმარი მხოლოდ მას არ ენახა. ცოტა მორიდებით ეახლა შუამავალს და უთხრა, რომ იგივე სიზმარი მანაც ნახა. შუამავალმა გაუღიმა და უთხრა: „მადლობა ღმერთს, შენი სიზმრით ეს საქმე უფრო განმტკიცდა“. (იხ. თირმიზი, „სალათ“ 25)

ისლამური წყაროებით ასევე ცნობილია, რომ აბდულლაჰსა და ზეიდს გარდა ეზნის შესახებ სხვამაც უწყოდა. ეს იყო შუამავალი. ანგელოზმა ჯებრაილმა შუამავალს ეზნის სიტყვები მანამდე გააცნო, სანამ აბდულლაჰი და ომარი სიზმარს ნახავდნენ.

ამრიგად, ჰიჯრიდან ჩვიდმეტი თვის შემდეგ მუსლიმები ისლამის ერთ-ერთ უდიდეს სიმბოლოს ეზიარნენ. მათ უკვე ეზანი ჰქონდათ.

პირველი ეზანი მედინაში, შუამავლის მეჩეთში, ჰზ. ბილალმა დილი ნამაზის ლოცვის წინ წაიკითხა. შუამავლისა და მიმდევრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამდენი ხნის ნალოდინები ეს წმინდა მოხმობა უკვე მიგნებული და დამტკიცებული იყო. ლოცვად მოხმობა ზუსტად ისეთი სტილის და შინაარსის იყო, როგორიც მათ სურდათ და როგორიც ისლამის სარწმუნოებას შეეფერებოდა. ისინი უსაზღვროდ მადლიერნი იყვნენ. ღმერთმა აქაც მოუვლინა სასწაული და ზუსტად ის უწყალობა, რაც ესოდენ სურდათ.

ამის შემდეგ შუამავალმა მეჩეთზე შემაღლებული ადგილი მიაშენებინა და ბილალი მუაზინად დანიშნა. ამის შემდეგ ყოველი დღე ბილალის მიერ წაკითხული ეზნით იწყებოდა და მთავრდებოდა. ბილალს საოცარი ხმა ჰქონდა. ეზანი ლოცვად მოხმობა იყო და ამისათვის ხმის ტემბრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეზანი ერთგვარი გზავნილი იყო და მუეზინი ამ გზავნილის ხალხთან მისატანად ელჩის მოვალეობას ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ ეზნის ლამაზი ხმით წაკითხვა შუამავლის სუნნეთად იქცა. მოგიანებით, როდესაც მუსლიმები მოგზაურობაში მიდიოდნენ, შუამავალმა ახლაგაზრდებიდან ებუ მაჰზურა შეარჩია, ეზანი შეასწავლა და მედინაში მუეზინად დატოვა.

როგორც მოგახსენეთ, სალოცავად მოხმობა, პირველად ბილალმა წაიკითხა. ბილალი პირველი მუსლიმთაგანი იყო და ჰიჯრამდე, მექაში ყოფნისას, ურწმუნოთა მხრიდან მრავალგზის გადაუტანია ძალადობა და წამება. ერთხელ მექელმა კერპთაყვანისმცემლებმა ბილალი უდაბნოში მცხუნვარე მზის ქვეშ დააწვინეს და სხეულზე უზარმაზარი ქვები დააწყვეს. ბილალმა ამ ყველაფერს გმირულად გაუძ-

ლო და დაამტკიცა, რომ მისი რწმენა ურყევი იყო. იქნებაც ასეთი გულწრფელი და მტკიცე რწმენისათვის ჯილდო იყო ის ფაქტი, რომ ბილალი ისლამის პირველი მუეზინი გახდა.

ბილალთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშნელოვანი ფაქტია ცნობილი. ერთხელ გამთენიისას ბილალმა დილის ნამაზის ეზანი იკითხა, მაგრამ შუამავალს არ გაღვიძებია. როდესაც ეს ბილალმა გაიგო, ეზანს შემდეგი სიტყვები მიამატა: „ესსალათუ ჰაირუნ მინენ ნევმ“, (ნამაზი ძილზე უფრო სასარგებლოა). შუამავალს გაეღვიძა და ბილალის ეს სიტყვები ძალიან მოეწონა. მან ბილალს უბრძანა, რომ ამის შემდეგ დილის ეზანზე ეს სიტყვები ყოველთვის წარმოეთქვა.

ამრიგად, ეზანმა სრულყოფილი სახე მიიღო და დღემდე იგივე ფორმით გრძელდება. ეზანი ნამაზის განუყოფელ ნაწილად იქცა.

დ. ეზნის ლეგიტიმურობის მნიშვნელობა

ამ თავში ეზნის ლეგიტიმაციის პროცესზე გავამახვილებთ ყურადღებას. ამ პროცესში მრავალი სიბრძნე და აღმზრდელობითი ფაქტორი გამოვლინდა.

ეზნის წარმოქმნის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია უკვე მოგაწოდეთ. როგორც ამ ინფორმაციიდან ცნობილია, ეზნის სიტყვებისა და ფორმის შექმნა პირდაპირ ყურანის გზავნილს არ ემყარება. ზოგიერთი მოსაზრებით ეზანი ღვთურ გზავნილს პირდაპირ უკავშირდება, მაგრამ ისლამის სწავლულთა უმეტესობა ამ მოსაზრებას სუსტად მიიჩნევს.

აღნიშნული მოსაზრების ავტორები შეიძლება ფიქრობენ, რომ ეზნის მსგავსი მნიშვნელოვანი სიმბოლო მხოლოდ ერთი რიგითი მორწმუნე საჰაბის სიზმარს არ უნდა ეყრდნობოდეს. თუმცა აქ გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტი, რომ აბდულლაჰ ბინ ზეიდი და ჰზ. ომარი გამორჩეული

და ნდობით აღსავსე პიროვნებები იყვნენ და ამასთანავე, რაც ყველაზე მთავარია, მათი ხილვა თავად შუამავალმა დაადასტურა. ამასთანავე ცნობილია, რომ ანგელოზმა ჯებრაილმა იგივე სიტყვები შუამავალს აცნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეზანი ღვთიური გზავნილის შედეგია.

ამავდროულად ცნობილია, რომ შუამავალი მუაზინებს ეზანს თავად ასწავლიდა. ერთ-ერთი მუეზინი ებუ მაჰზურე ამბობს, რომ შუამავლმა მას ეზანი თავად შეასწავლა. (იხ. მუსლიმ, „სალათ“ 6)

ამრიგად, ეზანი შუამავლის მიერაა დადასტურებული და შესაბამისად ის მნიშნელოვანი სუნნეთია. ისლამის სწავლება მრავალ ამგვარ პრაქტიკას გვასწავლის. ეზნის დადგენის პროცესი თათბირებით დაიწყო, შემდეგ იყო განსაკუთრებული სიზმარი და შემდეგ ამ ყველაფრის შუამავლის მხრიდან დადასტურება. ამით ის სუნნეთი გახდა. ის ასევე ეყრდნობა ყურანის არაპირდაპირ გზავნილს, რაც მის ლეგიტიმურობას საბოლოოდ ადასტურებს.

ეზნის წარმოშობის ამგვარ პროცესს გარკვეული შინაარსი გააჩნია. ეზანში მოცემულია შუამავლის სახელი და მისი შუამავლობის დამადასტურებელი ფრაზა. ნიშანდობლივია, რომ ეს სიტყვები სხვისი მხრიდან გაჟღერდა და არა თავად შუამავლის. ამასთანავე, შუამავალი ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომელთა შესახებ პირდაპირი ღვთური გზავნილი არ მოვლენილა, ყოველთვის სათათბიროზე წყვეტდა. ამგვარ თათბირებში ჩართვის გზით შუამავალი მის მეგობრებს რელიგიურ სიბრძნეს ასწავლიდა. ამ გზით მორწმუნენი საკითხებს უფრო გულისყურით ეკიდებოდნენ და უფრო მეტი მონდომებით ითვისებდნენ. ამგვარი მოქმედება ყურანისეული ბრძანება და შუამავლის სუნაა. ყურანში თათბირსა და ერთიანი გადაწყვეტილების მიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება:

„და რომელთაც შეისმინეს თავიანთი ღმერთის, ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა და საქმე მათი ბჭობაა ერთმანეთ შორის და რაც ვუწყალობეთ, გაიღებენ იქიდან“. (შუარა 42/38)

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრან 3/159)

ეზნის წარმოშობის პროცესთან დაკავშირებით ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეზანი ყველა თავისი ატრიბუტით, ფორმითა და შინაარსით მუსლიმთათვის დამახასიათებელ მოვლენა და ისლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოა. მანამდე არცერთ რელიგიაში მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს აღიარეს მედინაშ მცხოვრებმა ებრაელებმაც.

ეზნის სიტყვები

მუსლიმებისთვის ეზანი
რწმენის განახლება,
კაცობრიობისათვის კი
ჭეშმარიტების გაცხადებაა.
ის ყველასათვის ერთგვარი
გაფრთხილებაა
კარგი რჩევა-დარიგებაა.

როგორც მოგეხსენებათ, ეზანი პირველად ჰზ. ბილალმა წაიკითხა და იმ დღიდან მოყოლებული ეზნის სიტყვები და ფორმა არ შეცვლილა. ეზანი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღემდე ასე მოაღწია. იმ დღიდან მოყოლებული ყოველი დილა ეზნით იწყება, დღის განმავლობაში ეზანი ისმის და დღეც ეზნითვე მთავრდება. სასაათო სარტყლების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეზანი მთელ დედამიწაზე დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში ისმის. ანუ დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რომელიმე ქვეყანაში, რომელიმე სასაათო ზოლში ეზნის კითხვა მიმდინარეობს.

სანამ ეზნის სიტყვების მნიშნელობას სათითაოდ განვიხილავდეთ, მანამდე ეს წმინდა ძახილი კიდევ ერთხელ გავიმეოროთ:

اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ .

أَشْهَدُ أَنْ لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ . أَشْهَدُ أَنْ لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ .

أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ . أَشْهَدُ أَنَّ مُحَمَّدًا رَسُولُ اللّٰهِ .

حَيَّ عَلَى الصَّلَاةِ . حَيَّ عَلَى الصَّلَاةِ .

حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ . حَيَّ عَلَى الْفَلَاحِ .

اَللّٰهُ أَكْبَرُ . اَللّٰهُ أَكْبَرُ . لَا إِلٰهَ إِلَّا اللّٰهُ .

ეზანი წმინდა მოწოდებაა;
სიწმინდისკენ მოწოდება,
გადარჩენისკენ მოხმობა,
ლოცვის დროის გაცხადება.

„ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ! (ოთხჯერ)

ეშჰედუ ელლაა ილაჰე ილლელლააჰ, ეშჰედუ ელლაა ილაჰე ილლელლააჰ!

ეშჰედუ ენნე მუჰამმედერრესულულლაჰ. ეშჰედუ ენნე მუ-ჰამმედერრესულულლაჰ!

ჰეიაღა ლესსელააჰ! ჰეიაღა ლესსელაჰ!

ჰეიაღა ლელ ფელაჰ! ჰეიაღა ლელ ფელაჰ!

ალლაჰუ ექბერ! ალლაჰუ ექბერ!

ლაა ილაჰე ილლელლაჰ!“

ა. თექბირები

ეზანი იწყება თექბირებით. თექბირი შემდეგი სიტყვების-გან შედგება: „ალლაჰუ ექბერ!“ ეზნის დასაწყისში თექბირი ოთხჯერ მეორდება. თექბირი ქართულად ნიშნავს „ღმერთი დიადია“. ანუ ეზნის დასაწყისშივე ღმერთის სადიდებელი სიტყვები ოთხჯერ მეორდება. ეს სიტყვები ნიშნავს, რომ ღმერთი ყოვლად დიადია და მის გარდა სხვათა განდიდება გამორიცხულია. ეს არის უზენაესი არსების აღიარება და ამავდროულად გაცხადება იმისა, რომ ის ყველა და ყვე-ლაფერზე მაღლა დგას. მისი სიადიადე და ძლიერება ყვე-ლაფერს მოიცავს. ეს არის ღმერთის ერთადერთობისა და სიდიადის მკაფიო და ხმამაღალი გაცხადება.

მიწიერ სამყაროში სიდიდე და უპირატესობა ყოველთვის შედარებითია. თუ ერთი რამე მეორეთან შედარებით დიდია, მესამე რაიმესთან შედარებით პატარა იქნება. ეს ასე გრძელდება. რაც შეეხება ღმერთის სიდიადეს, მისი სიდიადე აბსოლუტურია და ვერაფერს შევადარებთ. თუ რამ მიწიერი რაიმე ნიშნით დიდია ანუ უპირატესია, ესეც ღვთიური წყალობაა. სამყაროში არსებული ყველაფერი ფორმასა თუ შინაარსს ღმერთისგან იღებს. თუ ადამიანს გონება გამოარჩევს, ამ გონების მწყალობელი ღმერთია. თუ ვინმეს თანამდებობა განადიდებს, ესეც ღვთის წყალობაა და როგორც წესი, დროებითია. არსებობს მრავალგვარი ნიჭი, რითიც ცალკეული ადამიანები არიან დაჯილდოებული. თითოეული ნიჭისა და უნარის მომნიჭებელი ღმერთია. ყურანში ნაბრძანებია:

„თქვი: ღმერთო ჩემო, ქონების ბატონ-პატრონო! უბოძებ ქონებას, ინებებ ვისაც, და ართმევ მას, ინებებ ვისაც, და აამაღლებ, ინებებ ვისაც, და დაამდაბლებ, ინებებ ვისაც; სიკეთე ხომ მხოლოდ შენს ხელთაა, უეჭველად, შენ ყოვლისშემძლე ხარ!“ (ალი იმრან 3/26)

ამრიგად, ყველაფერი რაც სამყაროშია, დამოკიდებულია ღმერთზე და ღმერთის წყალობით ინარჩუნებს ფორმასაც და შინაარსსაც. ეზნის დასაწყისშ წარმოთქმული „ალლაჰუ ექბერ!“ ამ ყველაფერს გულისხმობს.

თექბირი ღმერთის არსებობას, მის არსებობასა და ყოვლისმომცველ ძლევამოსილებას ერთდროულად გამოხატავს. სწორედ ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ ეზანი თექბირით იწყება.

თექბირი, ეს არის ხმამაღლა აღიარება იმისა, რომ სიდიადე მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის შესაფერისი თვისებაა. ის ერთადერთია. არცა შობილა და არც უშვია. არ ჰყავს ტოლი და სწორი. მხოლოდ მას ეკუთვნის სამყაროში მეუფება და მისი შესაძლებლობები ამოუწურავია.

ყურანში ნაბრძანებია:

„და თქვი: „ქება-დიდება ალლაჰს, რომელსაც არ დაუდგენია ძე, და არც ყოლია მას თანამოზიარე ხელმწიფებაში , არ არს მისდა უმწეობა და არც სჭირდება მეოხე.“ და თექბირით განადიდე იგი!“ (ისრა 17/111)

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა. ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის, რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ, ახარე სიკეთისმქმნელთ!“ (ჰაჯი 22/37)

ამრიგად, ეზნის ამ სიტყვებით დაწყებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ცხოვრების დინებას აყოლილი ადამიანი შეიძლება რაიმე ცდომილებაში იყოს და როდესაც ამ სიტყვებს მოისმენს, ის უმალ მიხვდება თუ რა არის მთავარი, რა არის უპირველესი, რისი უნდა სჯეროდეს და რას უნდა აღიარებდეს. ეზნის ამ ზიტყვების ეფექტს ადამიანი აზრზე მოყავს. ის ხვდება ვინ არის ეზენაესი ავტორიტეტი და ვინ მართავს სამყაროს. ამ ორი სიტყვით ეზანი ადამიანის სინდისსა და გონებას ეხმიანება. ეს არის საყოველთაო განაცხადი, ყველას მიმართ ხმამაღალი მიმართვა, რომ ვინც არ უნდა იყო, რასაც არ უნდა წარმოადგენდე, ღმერთი დიადია. ის არის უდიდესი და მხოლოდ მისი სიდიადეა ჭეშმარიტი. სხვა ყველაფრის სიდიდეც მხოლოდ და მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული. ეს არის სამყაროს საიდუმლო, უალტერნატივო ჭეშმარიტება.

სწორედ ერთადერთი ღმერთია გამჩენი, მაცოცხლებელი, სარჩოს მბოძებელი და მფარველი. ის არის ყოვლად დიადი. მასთან შედარებით სხვა რაიმე სიდიდეზე საუბარიც კი უაზრობაა. „ალლაჰუ ექბერ“ -ეს ის სიტყვებია, რომლებიც მრავალ ისეთ შეკითხვას პასუხობს, რომლებიც შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს. ამ ჭეშმარიტების აღიარებით ადამიანი აზროვნების მაღალ საფეხურზე ადის. ამ ჭეშმარიტების აღიარებით ადამიანი თავისუფლდება ყველა იმ დემაგოგიისა და ცრუ იდეოლოგიისგან, რომლებიც კაცობრიობის ისტორიას მუდმივად თან სდევს. მისი აღიარებით მორწმუნე ჭეშმარიტ გზას პოულობს და სიმშვიდე ეუფლება.

ბ. შაჰადა

შავადა დანახვა, ცოდნა, აღიარება და დამოწმებაა. შაჰადა რწმენის ფორმულაა, რომელიც გამოხატავს, რომ ღმერთი არსებოს და ის ერთია და ასევე მუჰამმედი მისი შუამავალია. ეს ორი პუნტი რწმენის ფორმულის შემადგენელი ნაწილია და ზოგადად რწმენის ძირითადი პრინციპია. ადამიანი, რომელიც ამ პრინციპებს არ აღიარებს, მუსლიმი ვერ გახდება. ამრიგად, შაჰადა სარწმუნოების გასაღებია.

სრულყოფილი რწმენისათვის მორწმუნე ვალდებულია აღიაროს, რომ ღმერთი არსებობს და ის ერთადერთა, ხოლო მუჰამმედი მისი შუამავალია. რწმენის საფუძველი და საწყისი ეს პრინციპია. ყველა დანარჩენი პირობები და ვალდებულებები ამ პრინციპიდან გამომდინარეობს.

შაჰადა ნიშნავს, რომ არ არსებობს სხვა სათაყვანო, გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია. ეს სიტყვები გამოხატავს, რომ ადამიანი ამ ყველაფერს აღიარებს, სჯერა, სწამს და ადასტურებს. ახლა კი შაჰადას ორივე ნაწილი ცალკ-ცალკე განვიხილოთ.

1. ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ

შაჰადას ეს პირველი ნაწილი გულისხმობს, რომ მორწმუნე ადასტურებს ღმერთის არსებობას, აღიარებს, სწამს და სიტყვიერადაც ამბობს, რომ ღმერთი არსებობს და ის ერთა. ამით მორწმუნე უარყოფს ყველა სხვა შესაძლებლობას, რომ ღმერთის გარდა სხვა რაიმე სათაყვანო არსებობს. ღმერთი ერთია და ის ჭეშმარიტად არსებობს, ეს არის შაჰადას პირველი ნაწილის მთელი არსი. ასევე ეს არის დადასტურება იმისა, რომ მის გარდა სხვა ღვთაება არ და ვერ იარსებებს.

ეზანში თექბირის შემდეგ შაჰადა მოდის და ესეც უკიდურესად მნიშვნელოვანია. მორწმუნე ამბობს, რომ ღმერთი უდიდესია და მის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს. ეზნის ეს სიტყვები მთელ მატერიალურ თუ სულიერ სამყაროს აცნობს, რომ სამყაროს გამჩენი ღმერთია და ის ერთადერთია.

არ არსებობს მისი ტოლი და სწორი. ეს არის რწმენის პირობა და სრული ჭეშმარიტება.

რწმენისა და მსახურების უმნიშვნელოვანესი პირობა ისაა, რომ ღმერთის გარდა სხვა სათაყვანო არ გავიჩინოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება უდიდესი უსამართლობა და უდიდესი ცოდვა. ამიტომაა, რომ ამ გაცხადებით ყოველთვის ვადასტურებთ, რომ ღმერთი ერთია და თაყვანისცემა მხოლოდ მისდამია შესაფერისი. ეს არის ოდითგანვე მიცემული შეფიცვის სისტემატიური განახლება, რომელიც გულისხმობს, რომ ჩვენი გამჩენი ერთადერთი ღმერთია და მას არ ჰყავს თანაზიარი.

ამ ჭეშმარიტების აღარება და ხალხზე შესწავლება ყველა შუამავლის უპირველესი მოვალეობა იყო. ყველა შუამავალი ადამიანებს სოწრედ ამას უქადაგებდა. პირველი ადამიანი და შუამავალი, ჰზ. ადამიც ამას ქადაგებდა და მის შემდეგ ყველა შუამავალი იგივე ვალდებულებით იყო მოვლენილი. ეს ყველაფერი ეზანის საშუალებით სისტემატიურად ისმის და ამ ჭეშმარიტებას მუდმივად გვახსენებს.

2.ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ

შაჰადას მერე ნაწილი ასევე უცილო ჭეშმარიტებას შეიცავს. მორწმუნე ამბობს, „ვიფიქრე, გავიგე, ვაღარე, მწამს და ვადასტურებ, რომ მუჰამმედი ღმერთის შუამავალია.

მუჰამმედი უკანასკნელი შუამავალია, რომელიც ღმერთმა თავისი გზავნილის გასავრცელებლად შეარჩია. დღეს მსოფლიოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს თუ სურს, რომ სწამდეს ჭეშმარიტება და ასევე სურს, რომ საიქიო ბედნიერებას ეზიაროს, მაშინ მან უნდა იწამოს შუამავლისა და მის მიერ ნაქადაგები სარწმუნოებისა. ეზანი სწორედ ამის ხმამაღალი განაცხადია.

შაჰადას მეორე ნაწილის წარმოთქმა ნიშნავს, რომ მორწმუნე მუჰამმედის შუამავლობას აღიარებს და ასევე აღიარებს ყველა იმ რელიგიურ ვალდებულებას, რაც შუამავალმა შეგვასწავლა. ეს არის დადებული პირობა, რომელიც შუა-

მავლის მიერ მოტანილი მოძღვრების აღიარებასა და მისდამი მორჩილებას გულისხმობს. რწმენა მორჩილებას მოითხოვს. შუამავალი ის სამაგალით ადამიანია, რომელიც ღმერთმა მოგვივლინა, რათა სწორად ცხოვრება ვისწავლოთ. ღვთის წინაშე სრულყოფილი სარწმუნოება ისლამია. ყურანში ნაბრძანებია:

„და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულთა შორის“. (ალი იმრან 3/85)

ამრიგად, მორწმუნე მუსლიმი აღიარებს, რომ ისლამის გარდა სხვა სარწმუნოება არ მიიღება და შუამავალი მუჰამმედი ამ სარწმუნოების გამავრცელებელი და მასწავლებელია. მან შეგვასწავლა რწმენა და ღვთსმსახურება. ჩემი შუამავალი მუჰამმედია. მე მისი მიმდევარი ვარ. მე ვიცი ჩემი შუამავალი, ვაღიარებ მას, მიყვარს და მისი მწამს. მე ვაღიარებ ყველაფერს, რაც მან გვასწავლა.

გადარჩენისა და სამოთხის დამკვიდრებისათვის საჭიროა გვწამდეს შუამავლისა და მის მიერ მოტანილი ღირებულებებისა. ამგვარი რწმენითა და დასტურით ადამიანი მუსლიმი გახდება. გზა, რომელიც შუამავალ მუჰამმედის გარეშეა, გზა არ არის. მის გარდა სხვა მეგზური არ მიიღება. ადგილი, სადაც ადამიანი მის გარეშე მოხვდება, სამოთხე არ იქნება. ჩვენ შუამავლისა უნდა გვწამდეს და ის უნდა გვიყვარდეს, რათა ღმერთის კმაყოფილება მოვიპოვოთ. ყურანში ნაბრძანებია:

„უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი, გამომყევით მე,რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია! (ალი ირან 3/31)

როდესაც მორმუნე ერთ ღმერთის რწმენას აღიარებს, მან ასევე უნდა აღიაროს, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია. ეზანი დღეში ხუთჯერ ისმის. ეზნისეული მოწოდება ყველას ეხება და მიზეზი არავის ექნება, რომ ეს მოწოდება არ გაუგონია. ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„იგია, რომელმაც წარმოგზავნა თავისი შუამავალი ჭეშმარიტი გზითა და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა აღმატებულ ჰქმნას იგი ყველა რწმენაზე , რამეთუ კმარა ალლაჰი მოწმედ!“ (ფეთჰ 48/28)

ამრიგად, შაჰადა ეზნის ერთ-ერთი ნაწილია, რაც იმას მოწმობს, რომ ის დღეში მრავალგზის უნდა გავიმეოროთ. ეს არის რწმენის მანიფესტაცია, რომელიც ამგვარ სისტემატიურ დინამიკას ინარჩუნებს. ეს არის ყველაზე პრაქტიკული ქადაგება. ის სისტემატიური და პირდაპირი ქადაგებაა.

შაჰადა ერთი მთლიანობაა. მხოლოდ ერთი ნაწილის რწმენა და მეორის უარყოფა მიუღებელია. ამიტომ, სრულყოფილი რწმენისათვის მორწმუნემ ჯერ უნდა აღიაროს, რომ ღმერთი არის და ის ერთია, ხოლო შემდეგ უნდა იწამოს, რომ მუჰამმედი მისი შუამავალია. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ . და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი !“ (ენფალ 8/24)

„უთხარი შენ (მუჰამმედ): დაემორჩილეთ ალლაჰს და (მის) შუამავალს! ხოლო თუ ზურგს აქცევენ, უეჭველია, რომ ალლაჰს არ უყვარს ურწმუნონი“. (ალი იმრან 3/32)

ამრიგად, შაჰადას აქვს შინაარსი, რომელიც ადამიანის მაცოცხლებელი და მასზე თავისუფალი სულის მომნიჭებელია. ეზნის საშუალებით ეს ფრაზები დღეში მრავალგზის ისმის, ეს კი კაცობრიობისათვის გადარჩენის, სიმშვიდისა და ბედნიერებისკენ მოწოდებაა.

გ. ლოცვისკენ მოწოდება

შაჰადას შემდეგ ეზანი ლოცვისკენ მოწოდებით გრძელდება. „ჰეიაღა ლესსელაჰ“, მოდით ნამაზზე, მოგვიზოდებს ეზანი. მოდით ნამაზზე, რათა თავისუფალმა სულმა სეჯდეს ეზიაროს და მირაჯის მსგავსად ზეცად ამაღლდეს.

შაჰადა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ისლამის არსს და რწმენის საფუძველს წარმოადგენს. რწმენა ქმედებაში უნდა აისახოს. ისლამში რწმენა და ქმედება განუყოფელია. ისინი ერთმანეთს კვებავენ და ერთ მთლიანობას ქმნიან. რწმენის შემდეგ ეზანი ქმედებისკენ, კონკრეტულად კი ნამაზის ლოცვისკენ მოგვიწოდებს. მორწმუნის ქმედებათა ერთობლიობა ამ შემთხევაში ნამაზითაა გამოხატული. ნამაზი ღვთისმსახურების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულება და მსახურების საუკეთესო სიმბოლოა. ნამაზი სარწმუნოების დედაბოძია. შუამავლის ბრძანებით კი ნამაზი „თვალის ჩინია“. ამრიგად, ეზანი შაჰადას შემდეგ ნამაზისკენ მოგვიწოდებს, ანუ რწმენის შემდეგ ღვთისმსახურებისკენ გვეძახის.

შაჰადა რწმენას, ხოლო ნამაზი ქმედებას გამოხატავს. რწმენა, რომელიც ქმედებაში არ აისახება სრულყოფილად ფუნქციას ვერ შეასრულებს. ამიტომაა, რომ ეზანში რწმენისკენ მოწოდების შემდეგ ქმედებათა შორის ყველაზე თვალსაჩინო, ნამაზია მოხსენიებული. ნამაზი სარწმუნოების დედაბოძია და ამავდროულად ის ვალდებულებაა, რომლის გამოც საიქიოში აუცილებლად განვიკითხებით.

„ჰეიაღა ლესსელაჰ“ ის მოწოდებაა, რომელიც მომლოცველებს ნამაზის ლოცვისკენ უხმობს. ეს არის კეთილი საქმისკენ მოწოდება და ამ მოწოდებაში ასევე იგულისხმება, რომ ნამაზზე უნდა ვიჩქაროთ. ამგვარი ეტიმოლოგიური თვალსაზრისის გათვალისწინებით ეზნის ეს ნაწილი შეგვიძლია შემდეგნაირად გავიგოთ. რადგან ღმერთის არსებობას, მის ერთობასა და სიდიადეს აღიარებ და გწამს, რადგან აღიარებ და გწამს, რომ მუჰამმედი ღვთის შუამავალია, მაშინ რწმენის შესაბამისად უნდა მოიქცე და ნამაზი ილოცო. უნდა მიაშურო სალოცავს და ნამაზზე დადგე.

ნამაზი მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება და ამავდროულად მსახურების უმაღლესი ფორმაა. ეს არის მუსლიმობის ნიშანი და განწმენდის საშუალება. ნამაზი ურწმუნოების წინააღმდეგ ჯავშანის მოვალეობას ასრულებს. ნამაზი საუკეთესო თაყვანისცემისა და ვედრების ფორმაა. ის არის გულის განმანათლებელი და სულის დამამშვიდებელი. ყუ-

რანში ნაბრძანებია:

„წაიკითხე ის, რაც შთაგეგონა წიგნიდან და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ!“ (ანქებუთ 29/45)

ეზნის წარმოშობის მიზეზი ნამაზია. ნამაზი ის ღვთისმსახურებაა, რომლის შესასრულებლადაც ეზანი გვიხმობს. მხოლოდ ესეც საკმარისია გავიგოთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა ნამაზი. ღვთისა და შუამავლის მორწმუნე მუსლიმი ნამაზზე უნდა მივიდეს. ამ მოწოდებით ცხადია, რომ რწმენა და ნამაზი განუყოფელია.

მოდით ნამაზზე, მოგვიწოდებს ეზანი, სადაც ჩანს თუ რაოდენ დიდი ვალდებულებისკენ გვიხმობს. ეს მოწოდება სალოცავში მისვლასა და ღვთის წინაშე წარსდგომის მნიშვნელობას გვაცნობს.

დ. გადარჩენისკენ მოწოდება

ფელაჰ გადარჩენას, ხსნას ნიშნავს. „ჰეიაღა ლელ ფელაჰ“, მოგვიწოდებს ეზანი და გვეუბნება, რომ უნდა ვიჩქაროთ ნამაზზე, რათა გადავრჩეთ, რათა განვიწმინდოთ. გადარჩენისკენ მოწოდება გულისხმობს, რომ ჩვენი გადარჩენის გზა რწმენასა და კეთილ საქმეებზე გადის.

ნამაზზე მდგომი მორწმუნე გამჩენის წინაშეა წარმდგარი. მას სწამს და ქმედებითაც ამ რწმენას განამტკიცებს. ეს არის სიცოცხლის არსი. სარწმუნოება ადამიანს გადარჩენის ერთადერთ გზას სთავაზობს. როგორც სხეულს საკვები სჭირდება, ისეთივე კვება სჭირდება სულსაც. სულის საკვები რწმენაა, ღვთისმსახურებაა. სულიერი საკვების სათავეში ნამაზი დგას.

ლოცვა და რწმენა ადამიანს ყოველგვარი ბოროტებისა და არაადამიანური ქმედებებისგან გვიცავს. თუ ადამია-

ნი ჭეშმარიტი ხსნის ძიებაშია, მაშინ ამ მოწოდებას ყური უნდა დაუგდოს და მიჰყვეს. წამოდით გადარჩენისაკენ, მოგვიწოდებს ეზნის ეს ნაწილი და ეს არის პასუხი ადამიანის ყოველგვარი ძიებისა. ეს არის გზა, რომელიც ადამიანს გადარჩენამდე მიიყვანს.

ნამაზი თაყვანისცემისა და ღვთისმსახურების უმაღლესი ფორმაა.ეს არის მუსლიმობისა და განწმენდის ნიშანი. ისლამს სურს, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს და კეთილდღეობა მოიპოვოს. ამიტომაა, რომ ისლამი ადამიანისგან გულის სიწმინდეს, სინდისის სისუფთავეს, ყოველგვარი სულიერი და ფიზიკური ლაქისაგან გათავისუფლებას ისახავს მიზნად. ამგვარი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება სიმშვიდისა და სტაბლურობის გარანტია. ასეთ საქოგადოებაში მუდმივად სიკეთე მეფობს და ბოროტებას გასაქანი არ ეძლევა. ისლამი ხომ ხსნაა და ეს მოწოდებაც ამის ნიშანია.

დიახ, სარწმუნოება ადამიანისთვისაა და მისი ყველა გზავნილები ადამიანს ეხება. სარწმუნოება რწმენისა და ღვთისმსახურების სახით ადამიანს გადარჩენის რეცეპტს სთავაზობს. ადამიანის ხსნისთვისაა სარწმუნოება, ისლამი, შუამავალი, წმინდა წიგნი, ეზანი... ამის დასტურად ეზნის ეს ნაწილი მოგვიწოდებს: „წამოდით გადარჩენისთვის!“

ფენაჰ განწმენდას, გასუფთავებას, გადარჩენას, ხსნას ნიშნავს. მას ასევე აქვს შემდეგი მნიშნელობები: მიზნის მიღწევა, ბედნიერება და სხვა. ამგვარ მოწოდებაში მორწმუნეთათვის არის გადარჩენის გზის ჩვენება და ამასთანავე სასიხარულო ამბავი, რომ თუ ისინი ამ მოწოდებას გაჰყვებიან, გადარჩენას ეწევიან.

მორწმუნე, რომელსაც ღმერთის ბრძენებების მიმართ სრული მორჩილება გააჩნია და ამქვეყნიურ ცხოვრებაში მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოპოვებისთვის იღწვის, ეზნის ამ მოწოდებას გულგრილად ვერ გაატარებს და გადარჩენის ამ ერთადერთ გზას მთელი არსებით ჩაებღაუჭება. ამრიგად, ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების ერთადერთი გზა ისლამია.

ე. „ნამაზი ძილზე უფრო სასარგებლოა“

ეზნის ეს ნაწილი მოხლოდ დილის ნამაზის დროს გამოიყენება და ამით ადამიანებს აფრთხილებს, რომ ლოცვა ძილზე უფრო სასარგებლოა. ეს არის შეხსენება, რომ კიდევ ერთი ახალი დღე იწყება, რომელიც ისევ ღვთისმსახურებასა და სხვა კეთილ საქმეებში უნდა გავატაროთ. როდესაც ადამიანი ახალად იღვიძებს ეზანი ახსენებს, რომ ღმერთმა კიდევ ერთი დღე უწყალობა და ეს დღე სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. თუ ადამიანი დაძინებამდე რწმენითა და ღვთისმსახურების სურვილით იყო განმსჭვალული, ის ამ მოწოდებას მაშინვე მიიღებს და დილაუთენია ისევ ღვთის წინაშე წარსადგომად მიაშურებს.

ამ მოწოდებით ეზანი ადამიანებს არამარტო ლოცვისკენ მოუწოდებს, არამედ სასიხარულო ამბავს ატყობინებს. ეს არის ყველაზე სასიკეთო საქმე, რომელსაც ის გააკეთებს და დღეს შინაარსიანად დაიწყებს.

სიკეთისა და გადარჩენისთვის საჭიროა გამოვიფხიზლოთ და ღმერთის მიერ ნაწყალობევი კიდევ ერთი დღე ლოცვით დავიწყოთ. დროა ავმოძრავდეთ და სიცოცხლის კიდევ ერთი დღისთვის მადლიერება გამოვხატოთ. მოძრაობა სწორი მიმართულებით უნდა დავიწყოთ. სწორი გზით უნდა ვიაროთ. საამისოდ კი დღის პირველივე ინსტრუქცია მოგვდის. დიახ, ნამაზი ძილზე უფრო სასიკეთოა. ამ დროს ძილი დაკარგული დროა, ცდუნებებთან დამარცხების ნიშანია. ჰადისების მიხედვით ძილი ერთგვარ სიკვდილთანაა გაიგივებული. ძილი უმოძრაობაა. ყოვლი გაღვიძება ახალი სიცოცხლის დასაწყისია. ეზანი ამ ახალი სიცოცხლის დაწყებას გვამცნობს და ლოცვისკენ მოგვიწოდებს.

როდესაც მუსლიმი ამ მოწოდებას გაიგონებს და მაინც ძილს გააგრძელებს, ეს ნიშნავს, რომ მას ცოდვილობის ძილი აწევს და ცდუნებებთან დამარცხდა. დილის ნამაზის ეზანს ეს ფრაზა ახლავს, რათა ადამიანებს შეახსენოს, რომ დროა გაიღვიძონ და ღვთის სამსახურში ჩადგნენ. დილის ნამაზი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ყურანში ნაბრძანებია:

„ლოცვა აღავლინე შუადღის დადგომიდან ღამის დაბინდებამდე და იკითხე ყურანი გამთენიისას. და ილოცე დილის ლოცვა, უეჭველად, დილის ლოცვა მოწმეობაა! (ისრა 17/78)

3. ბოლო თექბირი

ეზნის ბოლო ნაწილში მუეზინი წარმოთქვამს: „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილაჰე ილლელლაჰ“ და ამით ეზანი მთავრდება. ეზანი ღვთის სადიდებლით იწყება და ასევე იგივეთი სრულდება. ბოლოს კი ეს წმინდა მოწოდება ისევ და ისევ მისი სახელის ხსენებით სრულდება და ეზანი კიდევ ერთხელ ახსენებს მორწმუნეებს, რომ მის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს.

ღმერთი დიადია არმოთქვამს მუეზინი და ამით თითქოს ყველა მუსლიმის სათქმელს ამბობს. ამ დროს ის უალტერნატივო ჭეშმარიტების გამხმოვანებელია. მისი ეს მიმართვა ყველა ადამიანს, მთელ კაცობრიობას, მთელ სამყაროს სწვდება. „ღმერთი უდიდესია. არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა“.

ეს სიტყვები გამოხატავს იმ ჭეშმარიტებას, რომ რწმენა და ღვთისმსახურება, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთისადმია შესაძლებელი. თუ ვინმე ღმერთს არ იწამებს და მისდამი ღვთისმსახურებას არ აღავლენს, სხვა სატაყვანოს ისედაც ვერ იპოვის. სხვა სათაყვანო არ არსებობს. მხოლოდ ისაა ყველა და ყველაფრის გამჩენი და მაცოცხლებელი. ის ყველა და ყველაფერს მოიცავს და ყველაზე მაღლა დგას.

ეზანი კაცობრიობას მიმართულებას აძლევს, ჭეშმარიტ გზას უჩვენებს და არსებობის მიზანს აცნობს. ამდენად, ეზანი არამარტო ლოცვად მოხმობაა, არამედ ეს არის მოწოდება რწმენის, ისლამის და ჭეშმარიტების აღიარებისაკენ. ეზანი ყველა ადამიანს მოუწოდებს იწამონ ერთადერთი სარწმუნოება, იწამონ ერთადერთი ღმერთი და მისი გზავნილები. ყველა შუამავალი იგივეს გადაგებდა, ერთი ღმერთის რწმენას. ამდენად ეზანი არა მხოლო მუსლიმებს, არამედ მთელ კაცობრიობას მიმართავს.

ამრიგად, ეზანი თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით არამხოლოდ მორწმუნეთა ლოცვად მოხმობაა, ის ამავდროულად მოწოდებაა ისლამისკენ. ეზანი ისლამის ძირითად საფუძვლებს ახმოვანებს. ეზანში ყველას გასაგონად გაცხადებულია, რომ ღმერთი უდიდესია, ის ერთადერთა და მის გარდა სხვა ღმერთი არ არსებობს, მუჰამმედი მისი შუამავალია, ასევე ეზანში მოწოდებაა ლოცვისა და განწმენდისაკენ, რაც საბოლოო ჯამში ადამიანთა ხსნისა და ბედნიერების ერთადერთი გზაა. ეზანი ყველა ადამიანს ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისაკენ უხმობს.

მორწმუნე მუსლიმი ეზნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობით ცხოვრობს. ეზნის სიტყვები მხოლოდ კი არ ესმის, არამედ გულით გრძნობს და განიცდის.ეზანი ისმის ყველაგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ეროვნების ხალხში და ის ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ყოველმა ადამიანმა იცის, თუ რა არის ის. ყოველმა მორწმუნემ იცის რას მოგვიწოდებს ეზანი და რა შინაარსის მატარებელია. ეზანი წმინდა მოწოდებაა, სიწმინდისკენ მოწოდებაა, გადარჩენის გზისკენ მოხმობაა. ამიტომაა, რომ მორწმუნე მის გასაგებად სხვა ენას არ საჭიროებს. ის ყველამ იცის. ეზანი ისეთივე შინაარსსა და ფორმას ინარჩუნებს, როგორიც ის პირველად შესრულდა. ის ისეთივეა, როგორიც შუამავლის ბრძანებით ბილალმა პირველად შეასრულა. იმ დღიდან მოყოლებული ეზანი მუდმივად ისმის და მუდმივად მორწმუნეთა წმინდა მოწოდების ფუნქციას ასრულებს. ეზანი, რომელიც დედამიწის ზურგზე ყოველთვის ისმის, ისეთივე ახალი და ეფექტურია, როგორიც იმ პირველი დაძახებისას, როდესაც შუამავლის ბრძანებით ბილალმა ის პირველად წაიკითხა.

ეზნის ვედრება
და ეზნის მიმართ
პატივისცემა

ეზანი ერთის მხრივ მუსლიმთა გულებს ღვის წინაშე წარსადგომად ეპატიჟება, ხოლო მეორეს მხრივ ყველას გადარჩენისა და ბედნიერების გზას სთავაზობს. გამომდინარე აქედან, ყველა მუსლიმი, რომელიც ეზანს გაიგონებს გულგრილი არ რჩება.

„ღმერთო, ვერავინ აღუდგება მას, რასაც გვიწყალობებ. ასევე ვერავინ მოგვცემს იმას, რასაც შენ აღუდგები“.

(იხ. ბუჰარი, „დეავათ“ 18)

ვედრება არის მუდარა, რომელსაც მონა თავის გამჩენის მიმართ აღავლენს. ზოგჯერ ვედრება შეიძლება ერთი წვეთი ცრემლი იყო, ან გულის წუხილი, ან კიდევ ობლის თავზე მოფერება. ვედრება ღვთის წინაშე უმწეობის გამოხატულებაა. ყურანში ნაბრძანებია:

„შეევედრეთ ღმერთსა თქვენსა ქენებითა და ჩუმად. უეჭველად, არ უყვარს მას ზღვარგადასულნი! (ეღრაფი 7/55)

„და არ არიოთ ქვეყანა მისი კეთილმოწესრიგების შემდგომ . და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით . უეჭველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან“. (ეღრაფი 7/56)

მორწმუნე ადამიანმა იცის, რომ უნდა სწამდეს და ასევე იცის, ვის უნდა შეევედროს. ამ მდგომარეობას მიღწეული მორწმუნეები მთელი გულწრფელობით განადიდებენ ღმერთს და ასევე მთელი გულწრფელობით აღავლენენ ვედრებას.

„და თუ შეგეკითხებიან შენ (მუჰამმედ) ჩემი მსახურნი ჩემს შესახებ, უეჭველად, მე ახლოს ვარ, შევისმენ მლოცველის ვედრებას, როცა ის შემევედრება. მაშ, შეისმინონ ჩემი და მირწმუნონ მე, ეგებ სწორი გზით წავიდნენ!“ (ბაყარა 2/186)

„მხოლოდ შენ გცემთ თაყვანს და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას!

გვატარე სწორი გზით ! (ფათიჰა L-5)

ეზანი, თექბირი, შაჰადა და ნამაზისკენ
მოწოდება რწმენის განახლებაა. რწმენისა
და კეთილი საქმეების ერთობლიობა
კი საიქიო ბედნიერების საწინდარია.

ამ თვალსაზრისით ვედრება რწმენის სიტკბოების განცდაა. ეს არის შინაგანი გააზრება იმისა, რომ ღმერთი ერთია, უდიდესია და მხოლოდ მას უნდა ვევედროთ, რადგან ვედრების აღსრულება მხოლოდ მას შეუძლია. ის არის ერთადერთი ნავსაყუდელი, სადაც რეალური თავშესაფარია და სადაც ნამდვილი ხსნაა. ვედრება ღმერთსა და ადამიანს შორის მნიშვნელოვანი კომუნიკაციის ფორმაა. ღმერთი ბრძანებს:

„და ბრძანა თქვენმა ღმერთმა: „შემევედრეთ და შევისმენ თქვენს ვედრებას. უეჭველად, რომელნიც მედიდურობას ავლენენ ჩემდამი მსახურებაში, შევლენ ჯოჯოხეთში დამცირებულნი“. (მუმინ 40/60)

მსახურება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის წინაშე უნდა შესრულდეს და ვედრებაც მისადმი უნდა აღევლინოს.

ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„ჭეშმარიტი ვედრება მხოლოდ მას ეკუთვნის. და რომელნიც შესთხოვენ მის ნაცვლად , რომლებიც ვერაფერს შეისმენენ მათსას, მხოლოდ მსგავსია იმისა, ვინც პეშვს წყლის-

კენ იწვდის, რათა პირს მიიწვდინოს , მაგრამ იგი არასდროს მიწვდება მას . და მეტი არაფერია ურწმუნოთა ვედრება , გარდა ცდომილებისა“. (რად 13/14)

ვედრება ადამიანისთვის დიდი სარგებელის მომტანია. ვედრება წყალობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ასევე ვედრების შედეგად შეიძლება ღმერთმა ადამიანს მრავალი უბედურება აარიდოს. ადამიანი ვედრების შედეგად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მორწმუნეა და უზენაესი გამჩენის მიმართ გულწრფელი რწმენა გააჩნია.

ადამიანისთვის ყველა მდგომარეობასა და პირობებში მთავარი მხსნელი და შემწე ღმერთია. მორწმუნე ადიდებს ღმერთს და შემწეობას სთხოვს. მორწმუნე ასევე ცდილობს მოიპოვოს ღმერთის კმაყოფილება და შესაბამისად იქცევა.

გამომდინარე აქედან, მორწმუნე მუსლიმი ეზნის დროსაც ვედრების მდგომარეობაში უნდა იყოს. ესოდენ მნიშვნელოვანი მომენტი ვედრებაში უნდა გავატაროთ.

ა. ეზნის ვედრება

ეზანი თავისი ფორმითა და შინაარსით რწმენისა და ქმედების ერთობლიობას გამოხატავს. ეზანი მორწმუნეებს ღვთის წინაშე წარსადგომად მოუწოდებს და ამასთანავე განწმენდისა და გადარჩენის გზას სთავაზობს. შესაბამისად, ყოველი მუსლიმი, რომელიც ეზანს გაიგონებს, გულგრილი არ უნდა დარჩეს და სათანადოდ უნდა მოიქცეს. ეზანი ისლამის ხმოვანი დროშაა და მის გაგონებაზე მუსლიმები პატივისცემით უნდა განიმსჭვალონ, რაც უპირველეს ყოვლისა, მათთვის იქნება სასარგებლო. ეზანი რწმენის დეკლარირებაა და ამასთანავე გაცილებით დიდი და ღრმა შინაარსის მატარებელია.

ამრიგად, ეზნის ყურადღებითა და მოკრძალებით მოსმენა, მომრწმუნე მუსლიმისთვის შესაფერის საქციელია. ამ წმინ-

და მოწოდების გაჟღერებისას უყურადღებობის გამოჩენა, გულგრილობა და არაფრად ჩაგდება, მუსლიმისთვის შესაფერისი საქციელი არ გახლავთ.

მორწმუნე მუსლიმმა ეზანი უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს. მან უნდა იცოდეს, რომ ეს წმინდა მოწოდება მას ეხება. მორწმუნემ უნდა გაანალიზოს, რომ ეზნის კითხვისას სხვა შედარებით უმნიშვნელო საქმით დაკავება მიუღებელია. ეზანი მორწმუნეს სალოცავად ეძახის, ლოცვა კი ღვთის წინაშე წარდგომაა. ამიტომ, მორწმუნე მუსლიმმა ეზნს მთელი გულისყურით უნდა მოუსმინოს.

ეზანზე გულისყურით მოსმენა და ეზნის მოწოდებისამებრ მოქცევა შუამავლის სუნნეთი და მორწმუნეობრივი ვალდებულებაა. როდესაც შუამავლის მუეზინი ბილალი ეზანს კითხულობდა, შუამავალიც და მისი მეგობრებიც მთელი გულისყურით უსმენდნენ.

ეზანი მორწმუნეთა გულებში ბოლომდე უნდა იგრძნობოდეს. ეზანმა ადამიანთა გულის სიღრმეებში უნდა შეაღწიოს. ამგვარად მოსმენილი ეზანი ადამიანის გულში სათანადო ეფექტს გამოიწვევს.

გარდა ამისა, შუამავალი ბრძანებდა, რომ ვინც მუეზინთან ერთად ეზნის სიტყვებს გაიმეორებს სამოთხეში შევაო (იხ. მუსლიმ, სალათ“ 12; ბუჰარი, „ეზან“ 7)

ამრიგად, ეზნის მოსმენის წესი და შესაბამისი ჯილდო შუამავალმა გვახარა. შუამავალი გვმოძღვრავს, რომ ეზნის გულისყურით მოსმენა და ამ გზით სვლა საბოლოო ჯამში სამოთხეში შეგვიყვანს. ეზანი ამქვეყნიური და საიქიო ხსნის განაცხადია. ეზნის მიმართ გამოხატული პატივისცემა, ამ წმინდა ძახილზე მიყოლა და შესაბამისად ცხოვრება მორწმუნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო დასტურია.

ეზნის მოსმენისას მორწმუნე თექბირებს, შაჰადას და თევჰიდის გამომხატველ ფრაზებს იმეორებს, ხოლო ლოცვასა და გადარჩენისთვის მოწოდებაზე შემდეგ ფრაზას წარმოთქვამს: „ლაა ჰევლე ვე ლაა ყუვვეთე, ილლა ბილლაჰ“.

ამგვარი სადიდებლების წარმოთქმა მორწმუნის შესაბამის განწყობას გამოხატავს.

„ლაა ჰევლე ვე ლაა ყუვვეთე, ილლა ბილლაჰ“. - ამ ფრაზის წარმოთქმით მორწმუნე ამ წმინდა მოწოდების მიმართ მორჩილებას და სრულ მიმღეობას გამოხატავს. მორწმუნე გამოხატავს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. მან რომ არ ინებოს ადამიანი თვალსაც ვერ დაახამხამებს. მორწმუნე მადლიერია ამ მომენტისა, როცა მას საშუალება ეძლევა ეზნის მოწოდებაზე სალოცავში წავიდეს და ღვთის წინაშე წარსდგეს. მორწმუნე სრულად მინდობილია გამჩენზე და მის უზენაეს ნებას სრულად აღიარებს.

ასევე სუნნეთია დილის ნამაზის ეზნის დროს მუეზინის მიერ წარმოთქმულ ფრაზაზე, „ესსელათუ ჰარუნ მინენ ნევმ“, დათანხმება. მორწმუნე უნდა დაეთანხმოს, რომ მუეზინი მართალს ამბობს. დიახ, ნამაზი ძილზე უფრო სასარგებლოა. მართლაც და, ღვთისმსახურებაზე უკეთესი განა რა შეიძლება იყოს?!

ეზანზე ამგვარად მოსმენის შემდეგ ეზნის ვედრებასაც გავეცნოთ. შუმავალი ბრძანებს, რომ ეზნის წესისამებრ მოსმენის შემდეგ აღვლენილი ვედრება ღვთის წიაღ მიღებული იქნება. (იხ.ებუ დავუდ, „სალათ“ 36). მართლაც საოცარი კომუნიკაციის ფორმაა. ეზანი მორწმუნეებს ლოცვისაკენ მოუწოდებს, მორწმუნეებიც უსმენენ და ბოლოს ვედრებას აღავლენენ. ამგვარი პასუხი მოწოდების მიმართ გულწრფელ თანხმობას გამოხატავს. ეზნის დასრულებისას მსმენელები ვედრებას აღავლენენ. ეზნის ვედრება შემდგია:

اللَّهُمَّ رَبَّ هَذِهِ الدَّعْوَةِ التَّامَّةِ وَالصَّلاَةِ الْقَائِمَةِ آتِ مُحَمَّدًا الْوَسِيلَةَ وَالْفَضِيلَةَ وَابْعَثْهُ مَقَامًا مَحْمُودًا الَّذِى وَعَدْتَهُ

„ალლაჰუმმე რობბე ჰაზიჰი დაღვეთით თამეჰ, ვესსელათილ ყაიმეჰ, აათი მუჰამმედილ-ვესილეთე ველ ფედილეთე, ვებღესეჰუ მეყამენ მეჰმუდენილლეზი ვეღედთეჰ“.

აღნიშნული ვედრების მნიშვნელობა კი შემდეგია:

„ღმერთო, რომელიც ხარ ამ უნაკლო მოწოდებისა და შემდგომ სალოცავი ნამაზის გამჩენი! მიეც მუჰამმედს მადლმოსილება. აიყვანე უმაღლეს საფეხურზე, როგორც მისთვის დაადგინე“.

შუამავალი ბრძანებს, რომ ეზნის წესისამებრ მოსმენის შემდეგ ამ ვედრებას ვინც აღავლენს, შუამავალი მას შემწეობას გაუწევს. (იხ. ბუჰარი, „ეზან“ 8; თირმიზი, „სალათ“ 43). ვედრება, რომელიც ზევით შემოგთავაზეთ ფართოდაა გავრცელებული. ასევე ცნობილია, რომ არსებობს სხვა შინაარსის ვედრებებიც. ისინი ჰადისის წყაროებშია მოცემული და მორწუნეებს შეუძლიათ ეზნის მოსმენის შემდეგ აღავლინონ.

ეზნის ვედრების შინაარსი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეზანი მოწოდებაა და ვედრებაში ეს მოწოდება „უნაკლო მოწოდებადაა“ მოხსენიებული. ეზანში რწმენის ძირითადი საფუძვლებია მოცემული. არის ასევე ღვთის სადიდებელები და ლოცვისკენ მოწოდება. მორწმუნე მუსლიმი ეზნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობით ცხოვრობს. ეზნის სიტყვები მხოლოდ კი არ ესმის, არამედ გულით გრძნობს და განიცდის. ეზანი ისმის ყველაგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ეროვნების ხალხში და ის ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ყოველმა ადამიანმა იცის, თუ რა არის ის. ყოველმა მორწმუნემ იცის რას მოგვიწოდებს ეზანი და რა შინაარსის მატარებელია. ეზანი წმინდა მოწოდებაა, სიწმინდისკენ მოწოდებაა, გადარჩენის გზისკენ მოხმობაა. ამიტომაა, რომ მორწმუნე მის გასაგებად სხვა ენას არ საჭიროებს. ის ყველამ იცის. ეზანი ისეთივე შინაარსსა და ფორმას ინარჩუნებს, როგორიც ის პირველად შესრულდა. ის ისეთივეა, როგორიც შუამავლის ბრძანებით ბილალმა პირველად შეასრულა. იმ დღიდან მოყოლებული ეზანი მუდმივად ისმის და მუდმივად მორწმუნეთა წმინდა მოწოდების ფუნქციას ასრულებს.

ეზნის ვედრების აღვლენისას მორწუნენი ღმერთს ევედრებიან, შუამავალი შეპირებულ საფეხურზე დაამკვიდროს, რათა მან მორწმუნეებს შემწოება გაუწიოს. შესაბამისად,

ამ ვედრებით მორწმუნეები საკუთარი თავისთვისაც ევედრებიან.

ბ. ეზნის მიმართ პატივისცემა

ეზნის მიმართ პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა მის წესისამებრ მოსმენაში, მუეზინზე მიყოლასა და სალათუსსალამის შემდეგ ეზნის ვედრების აღვლენაში გამოიხატება. ამგვარად მოქცევა შუამავლის სუნნეთია. შუამავალი ეზნის გაგონებისთანავე გულისყურით მოსმენას იწყებდა, სიტყვებს იმეორებდა, ბოლოს კი ვედრებას აღავლენდა. შემდეგ ის ამ მოწოდების შესაბამისად ნამაზზე მიდიოდა და ნამაზს ლოცულობდა. ამრიგად, ეზნის მიმართ პატივისცემა და ზოგადად ამ დროს საჭირო ქცევები თავად შუამავალმა შეგვასწავლა.

ეზნის სიტყვების გამეორება და ამ მოწოდებაზე გულისხმიერი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ეზნის მიმართ სწორი დამოკიდებულების ქონა და მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა იმედნივე მადლს მოგვიტანს, თითქოს მუეზინის მოვალეობას ვასრულებდეთ. შუამავალთან მისულ დაინტერესებულ პირს შუამავალმა ურჩია, რომ ეზნის სიტყვები გაემეორებინა და ბოლოს ეზნის ვედრება აღევლინა. (იხ. ებუ დავუდ, „სალათ“ 36 და სხვ)

ყველა ამ მიზეზიდან გამომდინარე, ეზნის მსგავსი მაღალი მნიშვნელობის სიტყვების გაგონებაზე, მორწმუნე უნდა ეცადოს რომ ეზნის მიერ შექმნილი მადლიანი ატმოსფერო შეიგრძნოს და ამისათვის მუეზინის ნათქვამი უნდა გაიმეოროს, წარმოთქმულ მოწოდებებს შინაგანად დაეთანხმოს და ეზნის დასრულების შემდეგ ვედრება აღავლინოს. ისლამის სწავლულებიც გვასწავლიან, რომ ეზანს გულისწყურით უნდა მოვუსმინოთ.

ეზნის პირველივე ფრაზის გაჟღერებისთანავე მორწმუნე მუსლიმი შინაგანად მობილიზდება და სმენასთან ერთად

გულსაც ეზნისკენ მიაპყრობს ხოლმე. მორწმუნე მთელი მღელვარებით, მონდომებითა და გულისხმიერებით უსმენს ამ წმინდა მოწოდებას. მისი მდგომარეობა მოკრძალებულია და ეზნის მიმართ პატივისცემითაა განმსჭვალული. მორწმუნე მოსმენისას ეზნის სიტყვებს გულითადად ეთანხმება და იგივეს იმეორებს. შემდეგ შუამავლისათვის ღმერთს შეევედრება. მორწმუნე ეზნის მოწოდებებს ითავისებს, იაზრებს, აღიარებს და მოწოდებისამებრ ნამაზისკენ მიიჩქარის. ამგვარი ქცევით ის ეზნის მიმართ სათანადო პატივისცემას გამოხატავს.

ეზნისა და
ნამაზის ერთი მთლიანობა

ნამაზი რწმენის ქმედებაში
განხორციელების ყველაზე
მნიშვნელოვანი
მაჩვენებელია.
ეზანში წარმოდგენილი
მოწოდებების ხორცშესხმა
ნამაზის საშუალებით ხდება.

შუამავალი ბრძანებს:

ჩემთვის დედამიწა სალოცავად და წმინდად არის დადგენილი. ჩემი მიმდევრებიდან ნებისმიერმა ლოცვის დროს სადაც მოუსწრებს, იქ ილოცოს".

(უჰარი, "სალათ" 56)

შუამავალი ბრძანებს:

„ჩემთვის დედამიწა სალოცავად და წმინდად დადგინდა. ჩემი მიმდევრებიდან ნებისმიერმა ნამაზის დრო სადაც მოუსწრებს, იქ ილოცოს".

ნამაზი შუამავლის ყველაზე საყვარელი ღვთისმსახურება იყო, რომელსაც მან „თვალის სინათლე" უწოდა. (იხ. იბნ ჰანბელ, მუსნედ, 3, 128 და სხვ.)

ნამაზი არის თაყვანისცემისაკენ მოწოდების მიმართ დასტური და ღვთისადმი მორჩილების გამოხატულება.

ნამაზი ღვთისმსახურების ყველა ფორმას მოიცავს და ის მორწმუნეთათვის სულიერი გასხივოსნება და ამაღლებაა.

ნამაზი ეს არის გამჩენთან დამაკავშირებელი საუკეთესო „ურთიერთობა". ეს არის დრო, როდესაც მორწმუნე ღმერთთან საუბრობს. მორწმუნე თვით ღმერთის წინაშე დგას და ამას მთელი გულითა და სულით გრძნობს.

ნამაზის საწყისი თექბირის შესრულებით, მორწმუნე ყველაზე დიადის წინაშეა და ყველა დანარჩენს უკან იტოვებს. მის ირგვლივ საოცარი სულიერი ატმოსფერო იქმნება. ის რწმენის საფარველშია გახვეული. წესისამებრ ნალოცი ნამაზი მორწმუნის სულიერი ამაღლებაა. ასეთი ლოცვა მორწმუნის გულში ამაღლებულ გრძნობებსა და ჯანსაღ აზრებს წარმოშობს.

შუამავალი ბრძანებს, რომ ნამაზი ადამიანს დღეში ხუთჯერ ასუფთავებს. ეს არის ულევი წყარო, რომელიც მლოცველს უსასრულობისა და სამოთხის ატმოსფეროში შეიყვანს.

ეზანი წმინდა მოწოდებაა, რომელიც ადამიანს ნამაზისთვის ამზადებს და სულიერად ამაღლებს. ეს არის ზიქრი, რომელიც ადამიანის რწმენის განახლებას უზრუნველყოფს.

ნამაზი ჩადენილი ცოდვების განწმენდის საშუალებაა, ბრძანებს შუამავალი. ყურანში კი ნაბრძანებია, რომ ნამაზი იმ სიკეთეების სათავეში დგას, რომლებიც ბოროტებას ანადგურებს.

„და დადექი ლოცვად დღის ორივე კიდეში და ღამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს . ეს არის შეგონება გონიერთათვის“ (ჰუდ 11/114)

„წაიკითხე ის, რაც შთაგეგონა წიგნიდან და აღავლინე ლოცვა. უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიხართ!“ (ანქებუთ 29/45)

ნამაზი ღმერთსა და ადამიანს შორის განსაკუთრებული კომუნიკაციის ფორმაა, რომელიც ადამიანს მანკიერების ჭაობიდან ამოიყვანს და ყოველგვარი უკეთურობისგან დაიცავს. ნამაზი ადამიანის სულიერების მცველია, რომელიც არამარტო განმწმენდია, არამედ პრევენციული ეფექტიც გააჩნია. ნამაზი ადამიანს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურადაც აჯანსაღებს. მოკლედ, ნამაზი ადამიანს ადამიანად აყალიბებს.

ნამაზი რწმენის ქმედებაში ასახვის საუკეთესო ფორმაა. ეზნის მოწოდებებში მოცემული ღვთის სადიდებლები, შაჰადა, რწმენის საფუძვლები ნამაზის ლოცვისკენ მოწოდებებით გრძელდება. ამრიგად, ნამაზის საშუალებით რწმენა ქმედებაში აისახება.

ნამაზი მუდმივი განწმენდის, საკუთარი თავის პოვნისა და გამჩენისკენ სწრაფვის მცდელობის გამოხატულებაა. ის რწმენასა და ურწმუნოებას შორის თვალსაჩინო განსხვავების ნიშანია. შესაბამისად, ის მხოლოდ ვალდებლებად კი არ უნდა ჩავთვალოთ, ამავდროულად ის გამჩენთან კომუნიკაციის საშუალებაა. ნამაზის დროს გარე ფაქტორები ვეღარ მოქმედებენ და ვგრძნობთ რაოდენ ახლოა ღმერთი ჩვენთან.

„და ვფიცავ, გავაჩინეთ ადამიანი და ვუწყით რას სჩურჩულებს მას სული (არსი) მისი და ჩვენ მასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე აორტა!“ (ქაფ 50/16)

მრავალი ჰადისის მიხედვით შუამავალი ბრძანებს, რომ ისლამი ხუთ ძირითად საფუძველზეა დამყარებული. აღნიშნული ჰადისების მიხედვით რწმენის შემდეგ მაშნვე ნამაზის ლოცვაა ნახსენები. (იხ. ბუჰარი, „იმან“ 1; მუსლიმ, „იმან“ 19-22)

იგივე თანმიმდევრობაა გამოყენებული ეზანშიც. ჯერ შაჰადაა, ხოლო შემდეგ ლოცვისკენ მოწოდება. ამით ნათქვამია, რომ რწმენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება ნამაზია.

ამრიგად, ნამაზი რწმენის ხილული მხარეა და ლოცვისკენ მოწოდება ამ ხილული მხარის დემონსტრირებისკენ მოგვიწოდებს. ნამაზის დროს მლოცველი წარმოთქვამს, „ალლაჰუ ექბერ“ და შემდეგ სიტყვებითა და მოძრაობებით უზენაესის მიმართ თაყვანისცმას გამოხატავს. მორწმუნე თაყვანისცემის საუკეთესო გამოხატვას ნამაზის საშუალებით ახერხებს.

ყურანში ეზანი ნამაზთან ერთადაა მოხსენიებული. ამით ეზნისა და ნამაზის ერთი მთლიანობა დასტურდება. ასევე, მრავალი ჰადისი ნამაზსა და ეზანს ერთად გადმოგვცემს.

ნამაზის აუცილებელი პირობა განბანვაა (აბდესთი). აღნიშნული მდგომარეობა ეზნის მკითხველი მუეზინისთვისაც სუნნეთია. ასევე, ეზნის კითხვის შემდეგ ნამაზის ლოცვამდე მეჩეთიდან გასვლაც სუნნეთის შეუსაბამო ქმედებაა. ამრიგად, ეს ყველაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ ეზანი და ნამაზი ერთი მთლიანობაა.

უშუალოდ ფარზი ნამაზის დაწყების წინ ეზანი ხელახლა იკითხება. ამ უკანასკნელის შემთვევაში კი ეზანს „ყედ ყამეთის-სელაჰ“ ემატება, რაც ნიშნავს, „ნამაზი იწყება“. უშუალოდ ნამაზის წინ წაკითხულ ეზან ყამეთი ეწოდება.

შუამავალმა მუეზინებსა და ზოგადად მლოცველებს უბრძანა, რომ ფარზი ნამაზების დაწყების წინ ყამეთი წაიკითხონ. (იხ. ებუ დავუდ, „სალათ“ 28). ყამეთი ფარზი ნამაზების მუექქედ სუნნეთია. ეზანი ნამაზის დროის მოსვლისთანავე იკითხება, ხოლო ყამეთი უშულოდ ლოცვის შესრულების წინ.

შუამავალი ბრძანებდა, რომ ეზანსა და ყამეთს შორის შესრულებული ვედრება უკან არ ბრუნდება. (იხ.ებუ დავუდ, „სალათ“ 35).

ეზანი არამარტო ნამაზთან, არამედ სხვა ღვთისმსახურებებთანაცაა დაკავშირებული. მაგალითად, ეზანს ახლო კავშირი აქვს მარხვასთან. მარხვა ეზნის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. აქვე ხელმეორედ უნდა აღნიშნოს, რომ ეზნის ნამაზთან კავშირი სულ სხვაა. ეზნის წარმოშობის მიზეზი ნამაზია. ეზანი ნამაზის დროის მოსვლას გვაუწყებს და ლოცვისკენ მოგვიწოდებს. ამრიგად, ნამაზი და ეზანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი განუყოფელი წყვილია.

ეზნის მიმართ პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა მის წესისამებრ მოსმენაში, მუეზინზე მიყოლასა და სალათუსსალამის შემდეგ ეზნის ვედრების აღვლენაში გამოიხატება. ამგვარად მოქცევა შუამავლის სუნნეთია. შუამავალი ეზნის გაგონებისთანავე გულისყურით მოსმენას იწყებდა, სიტყვებს იმეორებდა, ბოლოს კი ვედრებას აღავლენდა. შემდეგ ის ამ მოწოდების შესაბამისად ნამაზზე მიდიოდა და ნამაზს ლოცულობდა. ამრიგად, ეზნის მიმართ პატივისცემა და ზოგადად ამ დროს საჭირო ქცევები თავად შუამავალმა შეგვასწავლა. ეზნის მოსმენის შემდეგ მორწმუნე ნამაზის დასაწყებად სულიერ მზადყოფნას გამოხატავს. შუამავალი ბრძანებს: „ვინც ნამაზის ლოცვის მიზნით აბდესთს აიღებს, შემდეგ ფარზი ნამაზის სალოცავად ჯამეში წავა და ჯამაათთან ერთად ილოცავს, ღმერთი ცოდვებს მიუტევებს“. (იხ. მუსლიმ, „თაჰარე“ 13).

აბდესთი მორწმუნეს ფიზიკური და სულიერი ჭუჭყისგან გაათავისუფლებს, რის შემდეგაც მორწმუნე ღვთის წინაშე წარსდგომის მდგომარეობაში ჩადგება. „ეზნის კითხვის დროს ყველა ეშმაკი გადაიკარგება“- ბრძანებს შუამავალი. (იხ. ებუ დავუდ, „სალათ“ 31).

ეზანი მორწმუნეს ნამაზისთვის განაწყობს. ამ დროს მორწმუნეთა რწმენა ძლიერდება და ისინი ლოცვისათვის მზადებას იწყებენ. მორწმუნე მუსლიმი ეზნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობით ცხოვრობს. ეზნის სიტყვები მხოლოდ კი არ ესმის, არამედ გულით გრძნობს და განიცდის.ეზანი ისმის ყველაგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ეროვნების ხალხში და ის ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ყოველმა ადამიანმა იცის, თუ რა არის ის. ყოველმა მორწმუნემ იცის რას მოგვიწოდებს ეზანი და რა შინაარსის მატარებელია. ეზანი წმინდა მოწოდებაა, სიწმინდისკენ მოწოდებაა, ლოცვისკენ მოწოდებაა.

ეზანი იწყება თექბირებით. თექბირი შემდეგი სიტყვებისგან შედგება: „ალლაჰუ ექბერ!“ ეზნის დასაწყისში თექბირი ოთხჯერ მეორდება. თექბირი ქართულად ნიშნავს „ღმერთი დიადია“. ანუ ეზნის დასაწყისშივე ღმერთის სადიდებელი სიტყვები ოთხჯერ მეორდება. ეს სიტყვები ნიშნავს, რომ ღმერთი ყოვლად დიადია და მის გარდა სხვათა განდიდება გამორიცხულია. ეს არის უზენაესი არსების აღიარება და ამავდროულად გაცხადება იმისა, რომ ის ყველა და ყველაფერზე მაღლა დგას. მისი სიადიადე და ძლიერება ყველაფერს მოიცავს. ეს არის ღმერთის ერთადერთობისა და სიდიადის მკაფიო და ხმამაღალი გაცხადება.

ნამაზზე მდგომი მორწმუნე გამჩენის წინაშეა წარმდგარი. მას სწამს და ქმედებითაც ამ რწმენას განამტკიცებს. ეს არის სიცოცხლის არსი. სარწმუნოება ადამიანს გადარჩენის ერთადერთ გზას სთავაზობს. როგორც სხეულს საკვები სჭირდება, ისეთივე კვება სჭირდება სულსაც. სულის საკვები რწმენაა, ღვთისმსახურებაა. სულიერი საკვების სათავეში ნამაზი დგას.

ლოცვა და რწმენა ადამიანს ყოველგვარი ბოროტებისა და არაადამიანური ქმედებებისგან გვიცავს. თუ ადამიანი ჭეშმარიტი ხსნის ძიებაშია, მაშინ ამ მოწოდებას ყური უნდა დაუგდოს და მიჰყვეს. წამოდით გადარჩენისაკენ, მოგვიწოდებს ეზნის ეს ნაწილი და ეს არის პასუხი ადამიანის ყოველგვარი ძიებისა. ეს არის გზა, რომელიც ადამიანს გადარჩენამდე მიიყვანს.

ნამაზი თაყვანისცემისა და ღვთისმსახურების უმაღლესი ფორმაა.ეს არის მუსლიმობისა და განწმენდის ნიშანი. ისლამს სურს, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს და კეთილდღეობა მოიპოვოს. ამიტომაა, რომ ისლამი ადამიანისგან გულის სიწმინდეს, სინდისის სისუფთავეს, ყოველგვარი სულიერი და ფიზიკური ლაქისაგან გათავისუფლებას ისახავს მიზნად. ამგვარი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება სიმშვიდისა და სტაბლურობის გარანტია. ასეთ საქოგადოებაში მუდმივად სიკეთე მეფობს და ბოროტებას გასაქანი არ ეძლევა. ისლამი ხომ ხსნაა და ეს მოწოდებაც ამის ნიშანია.

ნამაზი ღმერთსა და ადამიანს შორის განსაკუთრებული კომუნიკაციის ფორმაა, რომელიც ადამიანს მანკიერების ჭაობიდან ამოიყვანს და ყოველგვარი უკეთურობისგან დაიცავს. ნამაზი ადამიანის სულიერების მცველია, რომელიც არამარტო განმწმენდია, არამედ პრევენციული ეფექტიც გააჩნია. ნამაზი ადამიანს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურადაც აჯანსაღებს. მოკლედ, ნამაზი ადამიანს ადამიანად აყალიბებს.

როგორც ცნობილია, ისლამის მიხედვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთისმსახურება ნამაზია. მორწმუნე მუსლიმი დღეღამის განმავლობაში ხუთი დროის ნამაზს ლოცულობს.

ხუთი დროის ნამაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება ეზანია, სალოცავად მოხმობა, რომელიც მომლოცველებს ნამაზის დროის მოსვლას ამცნობს და სალოცავად უხმობს. ამრიგად, ნამაზი და ეზანი ერთ მთლიანობაში განიხილება და ფასდება. ნამაზის ასე დისციპლინირებულად, მოწესრიგებულად შესრულებაში ეზანი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ეზანი ლოცვად მოხმობაა. ეზანი სავალდებულო ნამაზის დროის მოსვლის მაუწყებელია. ეზანი შუამავალმა შეგვასწავლა და იმ დროიდან მოყოლებული იგივე ფორმით სრულდება. ეზანი, უპირველეს ყოვლისა, ნამაზისკენ მოხმობაა. ამასთანავე, ეზნის საშუალებით ხმამაღლა გაცხადება ხდება ისლამის საფუძვლებისა; ღმერთი ერთია და მუჰამმედი მისი შუამავალია.

ყველა სარწმუნოებას თავისი სიმბოლო და განმასხვავებელი ნიშნები გააჩნია. ეზანი ისლამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა. ამ თვალსაზრისით ეზნის მნიშვნელობა მუსლიმების მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულებაში ვლინდება.

ადამიანი ნამაზის პროცესს თავისი რწმენის სიღმის მიხედვით გრძნობს და განიცდის. ნამაზის დროს ყოველი მოძრაობისას ღმერთს ადიდებს. ასე ასრულებს სეჯდეს და ასე დგება საწყის პოზიციაში. ამ დროს მის გულსა და სულში ღვთის წყალობა მძლავრობს. ის იმეორებს სეჯდეს და ისევ და ისევ გამჩენთან ყველაზე ახლოს ყოფნის სიტკბოებას გრძნობს. ამიტომაც ნამაზი მორწმუნეთა სასწაულია. ლოცვის დროს მორწმუნე გამჩენის წინაშეა. ეს მასთან ყველაზე ახლოს ყოფნის მომენტია. მორწმუნე უკვე იმ მდგომარეობაშია, რომ რასაც შეევედრება ღმერთ აუსრულებს. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! წელში მოიხარეთ, სეჯდე აღასრულეთ და თაყვანი ეცით თქვენს ღმერთს და სიკეთე აკეთეთ, ეგებ შეიქნათ წარმატებულნი!“ (ჰაჯი 22/77)

მორწმუნე ამგვარი სულიერი ამაღლების განცდებით ნამაზის დასასრულს უახლოვდება. ის ბოლო ჯდომის პოზიციაშია და „ეთთეჰიათუს“ კითხულობს. ის მადლობას სწირავს ღმერთს, რათა ესოდენ მნიშვნელოვანი ვალდებულების კიდევ ერთხელ შესრულების შესაძლებლობა უწყალობა. შემდეგ ახსენებს შუამავალს, ესალმება და ლოცავს მას. მლოცველი ასევე აღავლენს ვედრებას, როგორც საკუთარი თავის ისე თანამორწმუნე ძმებისთვის. ბოლოს ნამაზი სრულდება და მლოცველი ჩვეულ ყოფას უბრუნდება.

ნამაზის შემდეგ ადამიანის სულს საოცარი სიმშვიდის განცდა ეფინება. ეზნის მოწოდების შესაბამისად მორწმუნემ ნამაზი ილოცა და მიიღო ის სიკეთე, რასაც ეზანი მოუწოდებს. მორწმუნემ კიდევ ერთხელ აღიარა ყველა ის ჭეშმარიტება, რაც ეზანშია გახმოვანებული და რწმენა კონკრეტულ ქმედებაში განახორციელა. ყურანში ნაბრძანებია:

„უეჭველად, მე ვარ ალლაჰი! არ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. მაშ, მხოლოდ მე მეცი თაყვანი და ლოცვად დადექი ჩემი გახსენებისათვის!“ (ტაჰა 20/14)

ეზნის მოსმენისას მორწმუნე თექბირებს, შაჰადას და თევჰიდის გამომხატველ ფრაზებს იმეორებს, ხოლო ლოცვასა და გადარჩენისთვის მოწოდებაზე შემდეგ ფრაზას წარმოთქვამს: „ლაა ჰევლე ვე ლაა ყუვვეთე, ილლა ბილლაჰ“. ამგვარი სადიდებლების წარმოთქმა მორწმუნის შესაბამის განწყობას გამოხატავს. ეზანი და ნამაზი განუყოფელი წყვილია და ორივე მათგანი ადამიანს ჭეშმარიტების კარს უხსნის.

ეზნის გზავნილი
და მისი როლი ცხოვრებაში

ეზანი მხოლოდ მსახურებისა
და თაყვანისცემისკენ მოწოდება არ
გახლავთ.
ამ ძირითადი მნიშვნელობის გარდა,
სხვა შინაარსი და ღირებულებებიც
გააჩნია.

"რა საოცარი მოხმობაა,
"ალლაჰუ ექბერ" აცოცხლებს სულებს
ეს ხომ ეზანია ჭეშმარიტი, ეს ხმა შეარხევს სამყაროს."
მეჰმეთ აქიფი, სალაჰათ. *(ეზანი) 81*

ეზანი, თავისი ყველაზე ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით, ნამაზის დროის მოსვლას გვაუწყებს და ლოცვისკენ გვიხმობს. მასში გამოყენებული სიტყვები ისლამის რწმენის ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს და მიზნად მორწმუნეთა რწმენის გაძიერებასა და კეთილი საქმეების კეთებისათვის მოტივაციის გაღვიძებას ისახავს. ამრიგად, ეზანი რწმენის გავრცელების მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ თვალსაზრისით ეზანში სამი ძირითადი პრინციპი მოქმედებს: პირველი, შაჰადას დეკლარირების გზით ეზანი ისლამის რწმენის ფორმულას ახმოვანებს. მეორე, რწმენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ღვთისმსახურებაა და ეზანში სწორედ ღვთისმსახურებისკენ მოწოდებაა გაჟღერებული. რაც შეეხება მესამეს, ეს არის სისტემატიური და ცოცხალი მოწოდება, რომელიც მუდმივად ისმის და ადამიანებს რწმენისა და ღვთისმსახურებისკენ მოუწოდებს.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ სანამ წყალობა მინიჭებული აქვს და ამ წყალობას იღებს, მის ფასს ვერ ხვდება. დროთა განმავლობაში წყალობათა მიმართ დამოკიდებულება უბრალოვდება და ადამიანს მათი მნიშვნელობა ავიწყდება. ეზანი ამ კონტექსტში არ უნდა განიხილებოდეს და აღნიშნული მდგომარეობა ეზანს არ უნდა ეხებოდეს. ეზნის არსი, მისი შინაარსი და მნიშვნელობა ამგვარ დამოკიდებულებას არ იმსახურებს. ეს წმინდა მოწოდება არ უნდა გაუბრალოვდეს.

ეზნის ფასი იმ მუსლიმებს უნდა ვკითხოთ, რომლებიც ისეთ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობენ, სადაც ეზანი არ ისმის. ისინი ნამაზის დროის მოსვლას კალენდრისა და საათის მეშვეობით გებულობენ. ასეთ ადგილებში მარხვის დაწყებაც და დასრულებაც ეზნის გარეშე ხდება. ეზნის გარეშე

ეზანი კონკრეტული დასახლებული
პუნქტის სავიზიტო ბარათია, რომელიც
აჩვენებს, რომ იქ მუსლიმები ცხოვრობენ.
თითქოს ეს დასახლებული ტერიტორიები შაჰადას
წარმოთქვამენ.
ეზანი დასტურია იმისა, რომ იმ ადგილას მუსლიმები
ცხოვრობენ.

იწყება ჯუმისა თუ ბაირამის ნამაზები. მორწმუნეს დანაკლისის განცდა უჩნდება.

ეზანი მხოლოდ რწმენისა და მსახურების შემახსენებელი მოწოდება არ გახლავთ. ამ ძირითად მნიშვნელობასთან ერთად მას ბევრი სხვა შინაარსი გააჩნია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ისლამში ეზანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეზნის შინაარსსა და მნიშვნელობას ემატება კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ ის, რომ სადაც ეზანი ისმის, ეს ნიშნავს, რომ იქ მუსლიმები ცხოვრობენ. აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ შუამავლის სურვილი, რომ მუსლიმების ლოცვაზე მოწოდება ყველასგან განსხვავებული ყოფილიყო და ის არცერთ სხვა სარმუნოების სიმბოლოს არ უნდა გვანებოდა.

ეზნის მადლსა და მის მნიშვნელობას მისი ეს თვისებაც განსაზღვრავს, რაც გამოიხატება იმ ფაქტში, რომ ეზანი ისლამის მნიშვნელოვანი სიმბოლოა. მისი მნიშვნელობისა და როლის გათვალისწინებით ეზნის წაკითხვა შესაბამისი სიტყვების გამოყენებითა და შესაბამისი ფორმით უნდა განხორციელდეს. ამით ეზანი თავის შინაარსსა და უნივერსალურ ღირებულებებს დაიცავს.

ა. ეზანი: მუსლიმთა არსებობის სიმბოლო

სარწმუნოებასა და სიმბოლოებს შორის მჭიდრო კავშირია. რელიგიურ სიმბოლოებს ღვთისმსახურების შესრულების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სიმბოლოები და გამოხატვის ფორმები რწმენის ქმედებაში განხორციელების ფორმებია. ისლამში რწმენა და ამ რწმენის შესაბამისი გამოხატვის ფორმები ყოველთვის ერთი მთლიანობა იყო. ღვთისმსახურების ყველა ფორმა კონკრეტულ დროსა და პირობებზეა დამოკიდებული. ამრიგად, რელიგიაში სიმბოლოები და გამოხატვის ფორმები რომ არ იყოს, მისი ერთი მხარე ნაკლული იქნება.

გარდა ამისა, ზოგიერთი სიმბოლოსა და გამოხატვის ფორმის გარეშე კონკრეტული ღვთისმსახურების არსს სათანადოდ ვერ ჩავწვდებით. მაგალითად, ნამაზის დროს თუ კონკრეტული რიტუალები და მოძრაობები არ იქნება, ნამაზი არ შედგება. ნამაზის ყოველი მოძრაობა კონკრეტულ გზავნილს გამოხატავს და მისი შინაარსი გააჩნია. ამრიგად, ნამაზის შინაგანი და გარეგანი მხარე, მთლიანობაში მორწმუნეთა ამაღლებას უზრუნველყოფს.

ამასთანავე, რელიგიური სიმბოლოები, უმეტესწილად, კონკრეტული რელიგიის მიმდევრების იდენტობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამგვარი სიმბოლოები რელიგიისა და მიმდევრების გარეგნულ ფორმას განასახიერებს. შესაბამისად, ყველა რელიგიას მისთვის მახასიათებელი სიმბოლოები გააჩნია. ისლამის სიმბოლოები სხვა რელიგიებისგან განმასხვავებელი ნიშნებია. ისლამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნები შემდეგია: ყურანი, ქაბა, მეჩეთი, მინარეთი, ნამაზი, მარხვა, ჰაჯი და სხვა. მათ შორისაა ეზანიც. ღვთიური ბრძანების შესაბამისად, ისლამური სიმბოლოების მიმართ პატივისცემა რწმენისეული მოვალეობაა. ყურანში ნაბრძანებია:

„აი ასე! და ვინც განადიდებს ალლაჰის რიტუალურ სიმბოლოებს, ეს ხომ გულითადი ღვთისმოშიშობაა“. (ჰაჯი 22/32)

ისლამური სიმბოლოები ისლამური საზოგადოების საერთო წერტილია. ყველა მორწმუნემ იცის, რომ ნებისმიერი რიტუალი ისლამის სახელით სრულდება. აქ პირადული არაფერია. შესაბამისად, აღნიშნული სიმბოლოების დაცვა და შენარჩუნება ყველა მუსლიმის საერთო ვალდებულებაა. რელიგიური სიმბოლოები სარწმუნოების მოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დაუშვებელია მათი შეცვლა, გაუქმება, რაიმის მომატება ან დაკლება. ისინი ისეთი ფორმითა და შინაარსით უნდა შენარჩუნდეს, როგორიც ნაბრძანებია.

როდესაც მუსლიმი მეომრები სალაშქროდ მიდიოდნენ, შუამავალი მათ უბრძანებდა, რომ ყოველთვის დილას დალოდებოდნენ და თუ ეზნის ხმას გაიგონებდნენ იმ ადგილებში ომი აღარ ეწარმოებინათ, რადგან იქ უკვე მუსლიმთა დასახლება იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჭეშმარიტი რელიგია და სამართლიანობა სუფევდა. (იხ. ბუჰარი, „ეზან“ 6; მუსლიმ, „სალათ“ 9)

ისეთ დასახლებულ ადგილებში, სადაც ეზანი არ იკითხება, ისლამი არ არის გავრცელებული ან იმდენად ნაკლებადაა გავრცელებული, რომ საამისოდ ხელსაყრელი მდგომარეობა არ არის შექმნილი. შუამავალი ბრანებს, რომ დასახლებულ ადგილას სამი მუსლიმი ოჯახიც რომ იყოს ეზნის კითხვა აუცილებელია. (იხ. იბნ ჰანბელი, „მუსლედ“ 6, 445).

როდესაც მუსლიმებმა მექა გაათავისუფლეს და ქააბა კერპებისგან გაწმინდეს, შუამავალმა ბილალს უბრძანა, რომ ეზანი წაეკითხა. ამის შემდეგ, სადაც კი მუსლიმები შევიდოდნენ, უპირველეს ყოვლისა, ეზანს კითხულობდნენ. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იმ ტერიტორიაზე ისლამის მმართველობა იწყებოდა. ეზანი უსამართლობის დასრულებისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების დამკვიდრების სიმბოლო იყო. ფათიჰ სულტან მეჰმედმაც იგივე ტრადიცია გააგრძელა და როდესაც სტამბოლი აიღო, ერთ-ერთი პირველი რაც მოიმოქმედა, ეზნის კითხვა იყო.

ეზანს ასევე „ეზანი მუჰამმედ“ ეწოდება. ეს უკანასკნელიც მუსლიმთა იდენტობის გამოხატულებაა. ეზანს დასაბამი სამყაროს წყალობად მოვლენილმა შუამავალმა დაუდო და

მისი მიმდევრები ეზანს დღეში ხუთჯერ კითხულობენ. ნებისმიერი რასის თუ ეროვნების ადამიანი ეზანს ერთნაირად აღიქვამს და ერთნაირ გზავნილს ღებულობს. ეზნის გაგება მისი შინაარსის, მნიშვნელობისა და ღირებულების გაგებას მოითხოვს. მუსლიმებს ესმით რას მოგვიწოდებს ეზანი, რა მნიშვნელობის მატარებელია და რა ადგილი უჭირავს ცხოვრებაში.

ეზანი მხოლოდ ისლამურ სამყაროს არ მოიცავს. ის ყველამ იცის და სადაც არ უნდა ისმოდეს, ყველა ხვდება, რომ ის ისლამის სიმბოლოა.

ბ. ეზანი და ცხოვრება

მუსლიმისთვის ცხოვრება ეზნით იწყება. როდესაც შუამავლის შვილიშვილი ჰასანი დაიბადა, შუამავალმა ის კალთაში ჩაისვა და ყურში ეზანი წაუკითხა. (იხ. თირმიზი, ედაჰი, 16). ზოგი სწავლულის აზრით ახალდაბადებულ ბავშვს მარჯვენა ყურში ეზანი, ხოლო მარცხენაში ყამეთი უნდა წავუკითხოთ. ჯერ კიდევ ახალდაბადებული ბავშვი ეზნის საშუალებით უზენაეს ჭეშმარიტებას ეზიარება, რომელიც მას ჭეშმარიტ რწმენას, თავისუფლებას და სულიერ დაცულობას შესძენს. ამ ქმედებით ახალდაბადებულის „სულიერი აცრა“ ხდება.

აღნიშნული ქმედება ერთგვარი ვედრებაა, რომელსაც მუსლიმები ბავშვის სულიერი სისპეტაკისთვის აღავლენენ. სადაც ეზანია, იქ ეშმაკის მახე უმოქმედოა და ბოროტება ვერ გაიხარებს. ეზანი წყალობის კარებს ხსნის და სამყაროს სულიერი ჭუჭყისგან იცავს. ამ წმინდა მოწოდების შედეგად ყოველგვარი ბოროტება სუსტდება და მოქმედების უნარს კარგავს. შუამავალი ბრძანებს: „ნამაზის დროს ეზნის კითხვისას ეშმაკი მიბრუნდება და ისე შორს მიდის, სადაც ეზნის ხმას ვეღარ გაიგონებს. ეზნის დასრულებისთანავე უკან ბრუნდება, მაგრამ როგორც კი ყამეთს გაიგონებს, მაშინვე გარბის. ყამეთის დასრულების შემდეგ ისევ ბრუნდება და ცდილობს მლოცველებს სხვა და სხვა, ამქვეყნიური რამეების შესახებ ფიქრები ჩააგონოს. შედეგად მლოცველს ზოგ-

ჯერ ისიც კი ავიწყდება, რამდენი მუხლი ნამაზი ილოცა“. (იხ. ბუჰარი, „ეზან“ 4; მუსლიმ, „სალათ“ 19; ებუ დავუდ, „სალათ“ 31; დარიმი, „სალათ“ 11).

როდესაც მუსლიმი თავის ახალდაბადებულ შვილს ეზანს უკითხავს, ამით ცხოვრების რუკას უდგენს, რომლის მიხედვითაც ბავშვი ჭეშმარიტების, სიკეთის, სიყვარულის, სიმართლისა და მოკლედ ისლამის მიხედვით ცხოვრების დაგეგმვას გულისხმობს. ეზნის წაკითხვით მშობელი ცხოვრების პირველ და მნიშვნელოვან გაკვეთილს უტარებს. ამრიგად, ეზანი ადამიანის ცხოვრებაში დაბადებიდან სიკვდილამდე ყველა ეტაპს ეხმიანება და ყველა ეტაპს სრულად მოიცავს.

მოგვიანებით ბავშვებიც ღმერთის სახელს ეზნის საშუალებით იგებენ. ისინი ხედავენ, რომ უფროსები ეზნის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენენ და ისინიც მსგავსი პატივისცემით განიმსჭვალებიან. მათთვის ეს პირველი რელიგიური გაკვეთილია. ამრიგად, ეზნის როლი ბავშვთა სულიერი აღზრდის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ეზანი ადამიანის მთელ ცხოვრებას მოიცავს და მისი როლი აღმზრდელობითი კუთხითაც დიდია. ადამიანის ცხოვრება ეზნით იწყება, ყოველ დილას ეზანი ისმის, დღეც ეზნით მთავრდება და მთელი ცხოვრება ასე გრძელდება. ეზანი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს არის ყველაზე დინამიური მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენ მუდმივად ღვთისმსახურებაში ვართ.

გ. ეზანი და დრო

ეზანი და დრო მჭიდრო კავშირშია. ეზანი ნამაზის დროის მოსვლას გვამცნობს და მლოცველებს ლოცვისკენ მოუწოდებს. ეზნის წასაკითხად საჭიროა დროის მოსვლა. ნამაზის დროის მოსვლისთანავე ეზანი იკითხება და ეს მლოცველებისთვის ნიშანია იმისა, რომ ლოცვა უნდა აღასრულონ.

ყოველდღიური ცხოვრების მიმდინარეობისას ეზანი დროის ერთგვარ დაყოფას უზრუნველყოფს. მუსლიმის ცხოვ-

რებაში ეზანი მუდმივადაა. ყოველი ნამაზის დროს, ბავშვის დაბადებისას, მარხვისას, მოკლედ როდესაც რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი ხდება, იქ ეზანი ისმის.

ეზანი ყოველდღე, დღე-ღამის განმავლობაში ხუთჯერ ისმის. სასაათო სარტყლების გათვალისინებით ეზანი მთელ დედამიწაზე ყოველთვის, უწყვეტად არის. ეზანი გვახსენებს თუ ვინ ვართ ჩვენ და რა არის ჩვენი ცხოვრების არსი.

პირველი ეზანი მედინაში, შუამავლის მეჩეთში, ჰზ. ბილალმა დილი ნამაზის ლოცვის წინ წაიკითხა. შუამავლისა და მიმდევრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამდენი ხნის ნალოდინები ეს წმინდა მოხმობა უკვე მიგნებული და დამტკიცებული იყო. ლოცვად მოხმობა ზუსტად ისეთი სტილის და შინაარსის იყო, როგორიც მათ სურდათ და როგორიც ისლამის სარწმუნოებას შეეფერებოდა. ისინი უსაზღვროდ მადლიერნი იყვნენ. ღმერთმა აქაც მოუვლინა სასწაული და ზუსტად ის უწყალობა, რაც ესოდენ სურდათ.

ამის შემდეგ შუამავალმა მეჩეთზე შემაღლებული ადგილი მიაშენებინა და ბილალი მუაზინად დანიშნა. ამის შემდეგ ყოველი დღე ბილალის მიერ წაკითხული ეზნით იწყებოდა და მთავრდებოდა. ბილალს საოცარი ხმა ჰქონდა. ეზანი ლოცვად მოხმობა იყო და ამისათვის ხმის ტემბრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეზანი ერთგვარი გზავნილი იყო და მუეზინი ამ გზავნილის ხალხთან მისატანად ელჩის მოვალეობას ასრულებდა. ამიტომ იყო, რომ ეზნის ლამაზი ხმით წაკითხვა შუამავლის სუნნეთად იქცა. მოგიანებით, როდესაც მუსლიმები მოგზაურობაში მიდიოდნენ, შუამავალმა ახლაგაზრდებიდან ებუ მაჰზურა შეარჩია, ეზანი შეასწავლა და მედინაში მუეზინად დატოვა.

ადამიანის ცხოვრება ლიმიტირებულია, ამიტომ მის ცხოვრებაში დროს ეგზისტენციალური მნიშვნელობა გააჩნია. ჰადისებიდანაც ვგებულობთ, რომ დრო უკიდურესად მნიშნელოვანი ხაზინაა და მისი შინაარსიანად მოხმარებაა საჭირო. ეზანი ადამიანს დღეში ხუთჯერ შეახსენებს დროის მნიშნელობას. ეზნის მეოხებით ადამიანს შეუძლია დღეში ხუთჯერ დაფიქრდეს დროის მნიშნელობაზე და დღეში ხუთჯერ გაითვალისწინოს დროს წარმავალობა.

დღევანდელ ცხოვრებაში დროის ფასი მატერიალური სარგებელის მიღების თვალსაზრისით ფასდება. არსებობს გამონათქვამიც, „დრო ფულია“. არადა მორწმუნის ცხოვრებაში ნებისმიერი წამი შეიძლება მომგებიანი იყოს. მორწმუნეს შეუძლია ცხოვრების ყველა წუთი სარგებლიანად აქციოს. საამისოდ კი ეზნის მოწოდებას უნდა მოვუსმინოთ და მივყვეთ. სწორედ ეზნის მოწოდებების მიხედვით ყოველდღიურობის დაგეგმარება შეგვაძლებინებს, რომ ცხოვრების ყველა მომენტი სასარგებლოდ ვაქციოთ.

ეზანი მარტოობისას, სასოწარკვეთილებისას, უბედურების ჟამს მანუგეშებელი ეფექტის მქონეა. ეს არის ძვირფასი ხმა, რომელიც გვანუგეშებს.

ადგილები, სადაც ეზნის ხმა ისმის, მადლის ნათელით იმოსება. გამჩენის სადიდებლის დღეში ხუთგზის აღვლენა კონკრეტული დროისა და ადგილის მადლიანობას უზრუნველყოფს. მსმენელიც დიდი სულიერი მადლით ივსება და თავს დაცულად გრძნობს.

მოკლედ, ეზანი როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ცხოვრებაში ყოველთვის ჩვენთანაა. ის ჩვენს ყოფას აზრს მატებს და მუდმივად გვაფხიზლებს. ჩვენი სიცოცხლე უფრო შინაარსიანი და ბარაქიანი ხდება.

ეზანი თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით ადამიანისა და ზოგადად კაცობრიობის ცხოვრებაში მაცოცხლებელი მნიშვნელობის მატარებელია. ეს არის ხელახალი სიცოცხლის, გადარჩენისა და ბედნიერებისკენ მოწოდება. კაცობრიობის გადარჩენის გზა ეზნის შინაარში გაჟღერებული მოწოდებების მიხედვით ცხოვრებაშია. ისლამი სიცოცხლეს აზრს სძენს. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეისმინეთ ალლაჰისა და მისი შუამავლისა, როცა მოგიწოდებენ იმისკენ, რაც სიცოცხლეს განიჭებთ . და იცოდეთ, რომ ალლაჰი აღწევს ადამიანსა და მის გულს შორის და უეჭველად, მასთან იქნებით შეკრებილნი !“ (ენფალ 8/24)

ეზანი დროის ფასს გვასწავლის და მისი რიგიანად გამოყენებისკენ მოგვიწოდებს. დაბადებისას ყურში მოსმენილი ეზნის ნამაზი სიკვდილის დრომდე ჩვენ გველოდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრება ამ ეზნიდან დაწყებული, გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის ნამაზამდე არსებული დროა. ამასთანავე, მუსლიმისთვის მთელი დედამიწა სალოცავია. ადამიანის ცხოვრება კი ეზნიდან ნამაზამდე არსებული დროით ხანმოკლეა. როგორც შუამავალი ბრძანებს, ადამიანის ცხოვრება მგზავრის მიერ ხის ჩრდილში შესვენებასა და შემდეგ ისევ გზის გაგრძელებას გავს. გამომდინარე აქედან, ეს ხანმოკლე ცხოვრება ეზნის მოწოდების შესაბამისად, მის ჩრდილქვეშ გავატაროთ და შემდეგ სამუდამო ცხოვრებაში გარდავიცვალოთ.

დ. ეზანი მოწოდებაა რწმენისკენ

ეზნის, როგორც ლოცვად მოწოდების ფორმა და შინაარსი სრულიად განსხვავებულია და ის სხვა რელიგიებში არსებულ მეთოდებს არაფრით გავს. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ეზანს ადამიანი, ცოცხალი შესრულებით კითხულობს. ეზნის ყველა დეტალში ადამიანი მონაწილეობს. მისი ჩამოყალიბება, გახმოვანება ადამიანს ევალება და ადრესატიც ადამიანია. ამ თვალსაზრისით ეზანი უფრო პრაქტიკული და ადამიანურია.

წარმოშობის დღიდან დღემდე ეზანმა უნივერსალური გზა გაიარა. ის გასცდა ეპოქებს, გაუძლო ყველა გამოწვევას და ისლამის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი სიმბოლოს სტატუსი შეინარჩუნა. ვინც მას მოისმენს, იცის, რომ ეს არის ჭეშმარიტი რწმენისა და ღვთისმსახურებისკენ მოწოდება. მისი მოსმენით ყველა გრძნობს მის ეფექტს, რადგან ეზნის სიტყვები ადამიანურია და ამავდროულად უნივერსალურია.

ზოგადად კომუნიკაციის პრინციპი ორ მხარეს შორის კავშირის ურთიერთგაცვლაა. კომუნიკაციის მიზანი ერთის მხრიდან მეორე მხარის მიმართ კონკრეტული მიზნით ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღებაა. შესაბამი-

სად, კომუნიკაცია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. ამ თვალსაზრისით ისლამი ადამიანის ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს, რათა ადამიანმა სხვა ადამიანებთან, ოჯახთან, საკუთარ თავთან და გამჩენთან სწორი კომუნიკაცია დაამყაროს. ეზანი კი ამ პროცესში მნიშნელოვან როლს ასრულებს. ადამინის მხრიდან, ასე ცოცხლად შესრულებული მოწოდება ინფორმაციის გადასაცემად ყველაზე ეფექტური გზაა. ბუნებრივია ის არ ჰგავს სხვა რელიგიებში დამკვიდრებულ სიმბოლოებს, როგრიცაა ზარის დარეკვა, საყვირზე ჩაბერვა, ცეცხლის დანთება და სხვა.

ეზანი წარმოშობის დღიდან დღემდე ინარჩუნებს იმ ფორმასა და შინაარსს, რაც მას გააჩნდა. ის ყველა მუსლიმისთვის თანაბრად გასაგები და მნიშვნელოვანია, მიუხედავად მათი განსხვავებული ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა. ის მთელ მსოფლიოში მუდმივად ისმის და წმინდა მოწოდებას ახმოვანებს. ის საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ეზნის ამგვარი ფორმა და შინაარსი, მისი ეფექტურობა და უნივერსალურობა ადამიანთა გულებს იოლად იპყრობს. იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებმაც ისლამი მიიღეს, აღიარებენ, რომ მათზე გავლენა ეზანმა მოახდინა. ცნობილი ფაქტია, რომ ეზნის მოწოდების გავლენით წარსულიდან დღემდე მრავალმა ადამიანმა ისლამი მიიღო და ჭეშმარიტ რწმენას ეზიარა.

ეზნის სახით წამოსული ზეციური მოწოდება ადამიანთა გულებში არსებულ რწმენის ნაპერწკალს აალებს. შუამავალი ბრძანებს, რომ ყოველი ადამიანი მუსლიმად იბადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანში ისლამის რწმენის მისაღებად ბუნებრივი მზაობაა ჩადებული.

ეზანი არამარტო ღვთისმსახურების, არამედ რწმენისკენ მოწოდებაცაა. ის ისლამის სიმბოლო და ერთ-ერთი ყველაზე დინამიური ეფექტის მქონე გზავნილია. ის ყველა ადამიანს, ყველა ადამიანის გულს ეხმიანება. ის არის გაფრთხილება და მოწოდება. ყურანში ნაბრძანებია:

„აი, ესაა გაკვეთილი (განმარტება) კაცობრიობისთვის (ადამიანებისათვის) და გზა ჭეშმარიტი, და შეგონება ღვთისმოშიშთათვის“. (ალი იმრან 3/138)

დიახ, ის წმინდა მოწოდებაა, რომელიც ჭეშმარიტების გარებს გვიხსნის. ამრიგად, ეზანი ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელების საშუალებაცაა. ამდენად, მისი შინაარსისა და ფორმის უცვლელად შენარჩუნება აუცილებელია.

ყველა წესის დაცვით შესრულებული ეზანი მორწმუნეთა გულებში რწმენას აძლიერებს და ლოცვის სურვილს აღვიძებს. ეზნის ხმაზე ეშმაკი იქაურობას შორდება, ხოლო მეორეს მხრივ ეზანი ადამიანს ლოცვისკენ იზიდავს. ეზნის მეოხებით მორწმუნე რწმენის განახლებას და სულიერი აღმავლობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას ახერხებს.

ამრიგად ეზანი ის წმინდა მოწოდებაა, რომელიც მსმენელთა გულებს ეფერება და სულებს სიხალვათით ავსებს. ეზანი კაცობრიობას მიმართულებას აძლევს, ჭეშმარიტ გზას უჩვენებს და არსებობის მიზანს აცნობს. ამდენად, ეზანი არამარტო ლოცვად მოხმობაა, არამედ ეს არის მოწოდება რწმენის, ისლამის და ჭეშმარიტების აღიარებისაკენ. ეზანი ყველა ადამიანს მოუწოდებს იწამონ ერთადერთი სარწმუნოება, იწამონ ერთადერთი ღმერთი და მისი გზავნილები. ყველა შუამავალი იგივეს გადაგებდა, ერთი ღმერთის რწმენას. ამდენად ეზანი არა მხოლო მუსლიმებს, არამედ მთელ კაცობრიობას მიმართავს.

მორწმუნე მუსლიმი ეზნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობით ცხოვრობს. ეზნის სიტყვები მხოლოდ კი არ ესმის, არამედ გულით გრძნობს და განიცდის.ეზანი ისმის ყველაგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ეროვნების ხალხში და ის ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ყოველმა ადამიანმა იცის, თუ რა არის ის. ყოველმა მორწმუნემ იცის რას მოგვიწოდებს ეზანი და რა შინაარსის მატარებელია. ეზანი წმინდა მოწოდებაა, სიწმინდისკენ მოწოდებაა, გადარჩენის გზისკენ მოხმობაა. ამიტომაა, რომ მორწმუნე მის გასაგებად სხვა ენას არ საჭიროებს. ის ყველამ იცის. ეზანი ისეთივე შინაარსსა და ფორმას ინარჩუნებს, როგორიც ის

პირველად შესრულდა. ის ისეთივეა, როგორიც შუამავლის ბრძანებით ბილალმა პირველად შეასრულა. იმ დღიდან მოყოლებული ეზანი მუდმივად ისმის და მუდმივად მორწმუნეთა წმინდა მოწოდების ფუნქციას ასრულებს. ეზანი, რომელიც დედამიწის ზურგზე ყოველთვის ისმის, ისეთივე ახალი და ეფექტურია, როგორიც იმ პირველი დაძახებისას, როდესაც შუამავლის ბრძანებით ბილალმა ის პირველად წაიკითხა.

ყველა ამ მიზეზიდან გამომდინარე, ეზნის მსგავსი მაღალი მნიშვნელობის სიტყვების გაგონებაზე, მორწმუნე უნდა ეცადოს რომ ეზნის მიერ შექმნილი მადლიანი ატმოსფერო შეიგრძნოს და ამისათვის მუეზინის ნათქვამი უნდა გაიმეოროს, წარმოთქმულ მოწოდებებს შინაგანად დაეთანხმოს და ეზნის დასრულების შემდეგ ვედრება აღავლინოს. ისლამის სწავლულებიც გვასწავლიან, რომ ეზანს გულისწყურით უნდა მოვუსმინოთ.

ეზნის პირველივე ფრაზის გაჟღერებისთანავე მორწმუნე მუსლიმი შინაგანად მობილიზდება და სმენასთან ერთად გულსაც ეზნისკენ მიაპყრობს ხოლმე. მორწმუნე მთელი მღელვარებით, მონდომებითა და გულისხმიერებით უსმენს ამ წმინდა მოწოდებას. მისი მდგომარეობა მოკრძალებულია და ეზნის მიმართ პატივისცემითაა განმსჭვალული. მორწმუნე მოსმენისას ეზნის სიტყვებს გულითადად ეთანხმება და იგივეს იმეორებს. შემდეგ შუამავლისათვის ღმერთს შეევედრება. მორწმუნე ეზნის მოწოდებებს ითავისებს, იაზრებს, აღიარებს და მოწოდებისამებრ ნამაზისკენ მიიჩქარის. ამგვარი ქცევით ის ეზნის მიმართ სათანადო პატივისცემას გამოხატავს.

ეზნის მიმართ პატივისცემა, უპირველეს ყოვლისა მის წესისამებრ მოსმენაში, მუეზინზე მიყოლასა და სალათუსსალამის შემდეგ ეზნის ვედრების აღვლენაში გამოიხატება. ამგვარად მოქცევა შუამავლის სუნნეთია. შუამავალი ეზნის გაგონებისთანავე გულისყურით მოსმენას იწყებდა, სიტყვებს იმეორებდა, ბოლოს კი ვედრებას აღავლენდა. შემდეგ ის ამ მოწოდების შესაბამისად ნამაზზე მიდიოდა და ნა-

მაზს ლოცულობდა. ამრიგად, ეზნის მიმართ პატივისცემა და ზოგადად ამ დროს საჭირო ქცევები თავად შუამავალმა შეგვასწავლა. ეზნის მოსმენის შემდეგ მორწმუნე ნამაზის დასაწყებად სულიერ მზადყოფნას გამოხატავს. შუამავალი ბრძანებს: „ვინც ნამაზის ლოცვის მიზნით აბდესთს აიღებს, შემდეგ ფარზი ნამაზის სალოცავად ჯამეში წავა და ჯამაათთან ერთად ილოცავს, ღმერთი ცოდვებს მიუტევებს“. (იხ. მუსლიმ, „თაჰარე“ 13).

აბდესთი მორწმუნეს ფიზიკური და სულიერი ჭუჭყისგან გაათავისუფლებს, რის შემდეგაც მორწმუნე ღვთის წინაშე წარსდგომის მდგომარეობაში ჩადგება. „ეზნის კითხვის დროს ყველა ეშმაკი გადაიკარგება“- ბრძანებს შუამავალი. (იხ. ებუ დავუდ, „სალათ“ 31).

ეზანი მორწმუნეს ნამაზისთვის განაწყობს. ამ დროს მორწმუნეთა რწმენა ძლიერდება და ისინი ლოცვისათვის მზადებას იწყებენ. მორწმუნე მუსლიმი ეზნის ყოველი სიტყვის მნიშვნელობით ცხოვრობს. ეზნის სიტყვები მხოლოდ კი არ ესმის, არამედ გულით გრძნობს და განიცდის.ეზანი ისმის ყველაგან, დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ეროვნების ხალხში და ის ყველასათვის ერთნაირად გასაგებია. ყოველმა ადამიანმა იცის, თუ რა არის ის. ყოველმა მორწმუნემ იცის რას მოგვიწოდებს ეზანი და რა შინაარსის მატარებელია. ეზანი წმინდა მოწოდებაა, სიწმინდისკენ მოწოდებაა, ლოცვისკენ მოწოდებაა.

ამრიგად, ეზანი ყველა მუსლიმისთვის საერთო რწმენა, საერთო ენა, საერთო ისტორია და ზნეობაა.

ეზანი მუსლიმთა იდენტობას გამოხატავს. ის მუსლიმთა ერთობას, ერთიანობას, ერთ მთლიანობას გამოხატავს.

ეზანი შეხსენებაა, გაფრთხილებაა, დროისა და ვალდებულების შეხსენებაა.

ეზანი გადარჩენისკენ მოწოდებაა, სიყვარულის, შემწყნარებლობის, გადარჩენისა და მსახურების ხმამაღალი გაცხადებაა.

ეზანი შუქურაა, რომელიც გზააბნეულ ადამიანებს გზას უნათებს და თავისკენ იხმობს.

ეზანი მორწმუნეთა ნავსაყუდელია, სადაც ბედნიერება და სიმშვიდე სუფევს.

მუეზინი

ეზანი ყველგან და ყოველთვის
იმ ფორმას, მნიშვნელობასა და
შინაარსს ინარჩუნებს, რომელიც
პირველადვე ჰქონდა. ის ისეთივეა,
როგორიც პირველად ბილალმა წაიკითხა.
ყოველი მუაზინი ერთად, ერთხმად
ამ ღვთიურ მოწოდებას გვაცნობს და
ჩვენს გულებში ისლამის, შუამავლისა და
ბედნიერების ხანის მოგონებებს აღვივებს.

ეუეზინი ისლამის წმიდა მოწოდების, ეზნის მედროშეა.

მუეზინი ყველას, სულიერსა და უსულო არსებებს ღვთის წინაშე წარსადგომად მოუწოდებს. ადამიანი გაჩენილთა შორის ყველაზე ღირსეულ ადგილს იკავებს და ამ უდიდეს წყალობას ღვთის განდიდებითა და მისდამი მადლიერებით გამოხატავს.

მუეზინი რწმენისკენ მომწოდებელია, რომელიც დედამიწაზე შაჰადას ჭეშმარიტებას ახმოვანებს.

მუეზინი გამჩენისა და მისი შუამავლის რწმენის ნიშნად ეზანს კითხულობს და ის ჩვენი გულების თარჯიმანია.

მუეზინი ისლამის გზავნილს ახმოვანებს და ეს გზავნილს ადამიანები სულიერად ამაღლებისა და გადარჩენისაკენ მიყავს.

მუეზინი ადამიანთა თავისუფლებისა და გადარჩენის მახარობელია. ის ამ თავისუფლების შესახებ ხმამაღლა ამბობს.

მუეზინი ის ხელოვანია, რომელიც ეზნის წაკითხვით ჭეშმარიტი რწმენისკენ მოგვიწოდებს. მისი სიტყვები გულიდან მომდინარეობს, რადგან ის წმინდა მოწოდების შემსრულებელია.

მუეზინის ხმასთან ერთად დედამიწას ნათელი ეფინება. გარემოში საოცარი სიმშვიდე ისადგურებს და სულიერი სიხალვათე იგრძნობა. ზოგი ეზანს უსმენს და მუეზინის ნათქვამს ადასტურებს, შემდეგ კი ლოცვისთვის მზადებას იწყებს. სამწუხაროდ ზოგი ადამიანი ეშმაკის გავლენის ქვეშაა, ეზნის ხმას გაურბის და ეშმაკთან ერთად ცდილობს ეზნისგან შორს იყოს.

მუეზინი თითქოს ჰზ. ადამის დაბადების ადგილას, სამოთხეში გვეძახის.

მუეზინები ნათელი განთიადის მახარობლები არიან.

ისინი ალიონთან ერთად მარტოსულების ნუგეშად

გვევლინებიან. ისინი ერთგული მეგობრებივით მხარში გვიდგანან.

„ღმერთი დიადია!“ -მოგვიწოდებენ ისინი და ღვთიური სიმშვიდის,

განწმენდისკენ გვეპატიჟებიან.

მუეზინი ბედნიერების ხანის ნოსტალგიას აღძრავს და იმ პირველი ეზნის, რომელიც ბილალმა წაიკითხა, მოგონებებს აცოცხლებს. მუეზინის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა იმ ბედნიერების ხანის სიტკბოს გვიტოვებს. მუეზინის ხმას ბედნიერების ხანაში მივყავართ. გვახსენდება თუ რა სიძნელეები გამოიარეს იმ დიდმა ადამიანებმა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება დაეცვათ. მაშინ ვხვდებით, რომ ეს რწმენა ჩვენ ძალიან იოლად გვერგო და ამ წყალობის ფასი უნდა ვიცოდეთ. ეზნის ხმას ზოგჯერ მექაში მივყავართ, ზოგჯერ- მედინაში, ხანაც ბედირსა და უჰუდში... დიახ, როდესაც მუეზინი ეზანს კითხულობს და ჩვენ ეს გვესმის, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თავისუფლები ვართ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მუეზინი ერთი და იგივე სიტყვებს წარმოთქვამს, თითოეული მათგანის მიერ წარმოთქმული სიტყვების ეფექტურობა და ადამიანებზე ზემოქმედების ხარისხი განსხვავებულია. ყოველი მუეზინი საკუთარი გულის მიხედვით ემოციას გასცემს. ყოველი მათგანის ხმა განსაკუთრებულად მოქმედებს მსმენელებზე. ვისთვის რწმენის გაძიერების მიზეზი ხდება, ვისთვის გადარჩენის მახარობელი. ეზნის მომლოდინე მორწმუნეებისთვის ღამე უსასრულოდ იწელება. მათთვის დილა ეზანთან ერთად მოდის. ბნელი ღამეები ეზნის ხმაზე იფანტება და არემარეს ნათელი ეფინება. თითქოს მუეზინის ხმას ამოჰყავს მზეც.

მუეზინები ნათელი განთიადის ამაგდარი მახარობლები არიან. ისინი ალიონის მაცნენი და საღამოს ერთგული მეგობრები არიან. ისინი ერთგული მეგობრებივით მხარში გვიდგანან.

„ღმერთი დიადია!“ -მოგვიწოდებენ ისინი და ღვთიური სიმშვიდის,

განწმენდისკენ გვეპატიჟებიან.

ა. მუეზინის მნიშვნელობა

მუეზინი ის ადამიანია, რომელსაც ადამიანთა ჭეშმარიტებასა და ღვთისმსახურებაზე მოპატიჟება ხვდა წილად. ჰადისებით ცნობილია, რომ ეზანი და მუეზინობის მოვალეობა დიდად დასაფასებელია.

ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ მუეზინები ყურანის აიათში მოხსენიებული მქადაგებლების რიგებში შედიან:

„ვინც ალლაჰისკენ მოუხმო, ჰქმნა სიკეთე და თქვა: უეჭველად, მე მუსლიმთაგანი ვარ, განა არის მასზე უკეთესი ვინმე სიტყვით?“ (ფუსსილეთი 41/33)

სწავლულები მიიჩნევენ, რომ ალლაჰისკენ მოხმობა ეზანსაც გულისხმობს. ეზანი ჭეშმარიტი რწმენისკენ მოწოდებაა. ის ხომ ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგების ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა. ეზნის მკითხველი კი ის ადამიანია, რომელსაც ესოდენ დიდი წყალობა და პატივი ერგო.

მუეზინის მოვალეობის მნიშნელობაზე მრავალი ჰადისი არსებობს. შუამავალი ბრძანებს, განკითხვის დღეს მუეზინები ყველაზე ტანმაღალი იქნებიანო. (იხ.მუსლიმ, „სალათ“ 14).

მუეზინის მოვალეობის მნიშნელობას გამოხატავს კიდევ ერთი ჰადისი:

„მუეზინის ხმა სადამდეც გასწვდება, წყალობას ეზიარება. იქ კი სველი და მშრალი რაც არის, მისი შეწყალებისთვის ღმერთს შეევედრება“. (იხ. იბნ მაჯე „ეზან“ 5; ნესაი, „ეზან“ 14)

გამომდინარე აქედან, მუეზინმა ეზანი ხმამაღლა უნდა იკითხოს, რათა მისი ხმა რაც შეიძლება შორს გასწვდეს. ცნობილია, რომ შუამავალმა ბილალს უბრძანა, ეზნის კითხვისას თითები ყურებზე აეფარებინა, რათა მისი ხმა უფრო ამაღლებულიყო. (იხ. იბნ მაჯე, „ეზან“ 3)

ამასთანავე, ზემოთ მაგალითად მოყვანილი ჰადისებით ცხადი ხდება, რომ ეზნის ხმა ადამიანებს გარდა სხვა არსებებზეც მოქმედებს. სადაც ეზანი ისმის, იმ ტერიტორიაზე არსებული ყველაფერი, სულიერი იქნება თუ უსულო, ამ ხმას ისმენს. ამრიგად, მუეზინი ყველა და ყველაფერს ჭეშმარიტი რწმენისა და ღვთისადმი თაყვანისცემისკენ მოუწოდებს.

მუეზინის მოსმენითა და მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორებით იგივე მადლს მივღებთ, რასაც მუეზინი იღებს. როდესაც ერთ-ერთი მორწმუნეთაგანი შუამავალთან მივიდა და უთხრა, რომ მასაც სურდა მუეზინის მსგავსად მადლის მიღება, შუამავალმა მას ურჩია გაემეორებინა ის სიტყვები, რასაც მუეზინი წარმოთქვამდა. (იხ.ებუ დავუდ, „სალათ“ 36).

ლოცვის მომლოდინე მორწმუნეები ეზნის ხმას ელოდებიან, რათა ღვთის წინაშე წარსდგნენ და ლოცვა აღავლინონ. ეზანს ელოდებიან მარხულებიც, რათა იმ დღის მარხვა დაასრულონ და საკვები მიიღონ. ეზნის მომლოდინე მორწმუნეები ეზნის სიტყვებს მთელი გულით იმეორებენ. ისინი ეთანხმებიან წარმოთქმულს, აღიარებენ და ადასტურებენ. მუეზინი სანდო ადამიანია. ადამიანები მას ენდობიან. ის ცოდნით, ღირსებით, ზნეობითა და მორწმუნოებით გამორჩეული პიროვნებაა.

ბ. მუეზინის მახასიათებლები

მუეზინი მხოლოდ ნამაზის დროის მოსვლის მაცნე არ არის, მას სხვა მნიშნელოვანი ადგილი და მოვალეობა გააჩნია. რადგანაც ეზანი ისლამის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიმბოლოა, მუეზინიც ამ სიმბოლოს ადამიანებამდე მიმტანია და ეს უკანასკნელი დიდ პასუხიმგებლობას მოითხოვს.

მუეზინი ისლამური რწმენის, მისი ცივილიზაციის მედროშეა. მის მიერ შესრულებული საქმიანობის შინაარსი და მნიშვნელობა დიდია. სწორედ ამიტომაა, რომ მუეზინის მადლი და ღრსება განსაკუთრებულია.

ამდენად მნიშვნელოვანი მოვალეობის შემსრულებელ მუეზინს გარკვეული თვისებები უნდა ახასიათებდეს. უპირველეს ყოვლისა, მან თავად უნდა გაიაზროს ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა და მის მიერ წარმოთქმული სიტყვების არსი გულით უნდა ესმოდეს. ამდენად, მისი პასუხიმგებლობის გრძნობა განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვს.

მუეზინი შესრულებული მოვალეობის შესაბამისი ცოდნითა და უნარებით უნდა იყოს დაჯილდოებული. ის ისლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლოს გამხმოვანებელი და ისლამის ღირებულებების დამცველია. როდესაც შუამავალმა მუეზინად ბილალი აირჩია, სწორედ მისი მორწმუნეობა და პიროვნული თვისებები გაითვალისწინა. ამასთანავე, შუამავლმა ბილალის განსაკუთრებულ ხმასაც მიანიჭა მნიშვნელობა.

მუზინმა ეზანი უმეტესწილად გულით უნდა იკითხოს, ვიდრე ენით. ეზანი სიყვარულის, ხოლო სიყვარულიც ეზნის გამოძახილი უნდა იყოს.

მუეზინი, როგორც ყველა მომწოდებელი, მოკრძალებული, ლმობიერი და მომთმენი უნდა იყოს.

მუეზინს ისლამით შთაგონებული მაღალი ზნეობა უნდა გააჩნდეს. მისი სიტყვა და ცხოვრების სტილი აბსოლუტურ თანხვედრაში უნდა იყოს. მუეზინმა თავისი მოვალეობის შესაბამისად,მთელი ცხოვრება ყურანისა და სუნას მოძღვრების შესაბამისად უნდა გაატაროს. მოწოდება, რომელიც მომწოდებლის ცხოვრებაში არ აისახება, ეფექტური ვერ იქნება.

მუეზინი პატიოსანი და ღირსებით აღსავსე ადამიანია. ის მუდმივად თვითკონტროლის რეჟიმშია და ცდუნებებს ეფექტურად უმკლავდება. ის ზნეკეთილია და მუდმივად მორალის სადარაჯოზე დგას. შუამავლის ბრძანების შესაბამისად, მუეზინი ამქვეყნიურ ჯილდოს არ ელოდება, მისი საქმიანობის საზღაუს საიქიოში მიიღებს. (იხ. თირმიზი, „სალათ“ 41)

მუეზინმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრია და აქედან გამომდინარე საზოგადოებაში სიყვარული და პატივისცემა უნდა დაიმსახუროს. ის ლოცვის ერთ-ერთი წინამძღოლია, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში ლიდერის ფუნქცია უნდა შეასრულოს.

შუამავალი მუეზინებად ისეთ ადამიანებს არჩევდა, რომლებიც საზოგადოების თვალსაჩინო წევრები იყვნენ. „ყველაზე სიკეთიანმა მუეზინობა, ხოლო ყურანის საუკეთესოდ მკითხველმა იმამობა გასწიოს“. (იხ. ებუ დავუდ, „სალათ“ 60). აღნიშნული ჰადისი მუეზინის შერჩევის თვალსაზრისით თვალსაჩინო მაგალითია. თანამედროვე პირობებში, როცა ისლამი ფართოდაა გავრცელებული, მუეზინისა და იმამის შერჩევა კონკრეტული ორგანიზაციის პრეროგატივაა. საბოლოოდ კი, ამ ჰადისიდან გამომდინარე, მუეზინის შერჩევისას პიროვნების მახასიათებლებს ენიჭება მნიშვნელობა. მუეზინი საზოგადოების გამორჩეული პიროვნება და ღირსეული ადამიანი უნდა იყოს.

ეზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭეშმარიტი რწმენისა და ღვთისმსახურებისაკენ მოწოდების უანალოგო მეთოდია და ის ისე უნდა შესრულდეს, რომ ადამიანებზე დიდი გავლენა იქონიოს. დღეში ხუთჯერ ეზნის ლამაზი ფორმით შესრულება მსმენელებზე დიდ გავლენას ახდენს. ამ გზით ეზნი საშუალებით გაჟღერებული გზავნილი მსმენელებამდე აღწევს.

გ. „შუამავლის მუეზინი“ ჰზ. ბილალი

როდესაც ეზანზე და მუეზინებზე ვსაუბრობთ, პირველი მუეზინის, ჰზ. ბილალის შესახებ რომ არ ვისაუბროთ, არ შეიძლება. სწორედ ბილალი იყო ის მუეზინი, რომელმაც შუამავლის ბრძანებით პირველი ეზანი წაიკითხა.

ისლამის მოვლინებამდე ბილალის მშობლები, როგორც მონები, ეთიოპიიდან მექაში ჩამოიყვანეს. შესაბამისად ბილალიც მონად დაიბადა. თუმცა არც თ ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგ უდაბნოს ღვთიური წყალობა მოევლინა და მექაში ისლამის შუამავლმა ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგება

დაიწყო. მექას წარჩინებულთა კლასი სასტიკად დაუპირისპირდა ისლამს და მუსლიმების დევნა დაიწყო. მექას მაცხოვრებლების ნაწილი მიხვდა, რომ ისლამი ჭეშმარიტი სარწმუნოება იყო და ამავდროულად ის რეალურ თავისუფლებას მოუტანდა მათ. მონა ბილალიც ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას და დაინახა, რომ ეს იყო ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისა და თავისუფლების გზა. ბილალი მეშვიდე ადამიანი იყო, რომელმაც აშკარად აღიარა, რომ მუსლიმი გახდა.

ბილალი ისედაც უთვისტომო იყო. მარტო უწევდა ძალადობას წინ აღდგომოდა. მისი პატრონი უმეიე წარმოუდგენლად სასტიკი იყო. ის ყოველგვარ სასტიკ მეთოდს მიმართავდა, რომ ბილალი გაეტეხა და ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან ჩამოეშორებინა. უმეიემ ბილალი უდაბნოს ცხელ ქვიშაში ჩააწვინა, ზედ უზარმაზარი ლოდი დაადო და ასე მცხუნვარე მზის ქვეშ საწამებლად გაწირა. ამის მიუხედავად ბილალი არ გატყდა და გაუჩერებლად შაჰადას წარმოთქვამდა.

ბილალის ესოდენ ძლიერი რწმენა უპასუხოდ არ დარჩენილა. მშველელად ჰზ. აბუ ბაქარი მოევლინა, უმეიეს გამოსასყიდი გადაუხადა და ბილალი გაათავისუფლა. ბილალი უკვე თავისუფალი ადამიანი იყო. ის რწმენისა და თავდადების მაგალითად წამოდგა უდაბნოს მცხუნვარე ქვიშიდან. ის სამშობლოში არ წავიდა და შუამავლთან დარჩენა არჩია. შუამავალი მისი რწმენის სიმტკიცის შესახებ ხშირად საუბრობდა და ბრძანებდა, რომ ბილალი სამოთხის მკვიდრი იყო.

როდესაც მუსლიმებს მექაში აღარ დაედგომებოდათ, ბილალიც, სხვა მუსლიმებთან ერთად, მედინაში გადასახლდა. მედინაში მუსლიმებმა პირველი სალოცავი ააგეს, შემდეგ ლოცვის მიმართულებაც დაუდგინდათ და ბოლოს ლოცვად მოხმობის, ეზნის ჯერიც დადგა. შუამავლის ბრძანებით პირველი ეზანი ბილალმა შეასრულა. ის უკვე „შუამავლის მუეზინად“ იწოდებოდა. ბილალი თავისი მტკიცე რწმენით, ზნეობით, თავდადებითა და შუამავლისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. ამასთანავე, მისი ხმაც განსაკუთრებული იყო. მისი მოსმენისას მორწმუნეები საოცარ სულიერ სიმშვიდეს განიცდიდნენ.

ბილალი არამარტო შუამავლის მუეზინი, არამედ მისი დაცვაც იყო. ის ყოველთვის შუამავლის გვერდით იდგა და ბევრ საკითხი ეხმარებოდა. ბილალი, როგორც ყველა სხვა ბრძოლაში, მექას გათავისუფლებაშიც მონაწილეობდა. მექას გათავისუფლების შემდეგ, შუამავლის ბრძანების შესაბამისად, ქააბას სახურავზე ავიდა და ამ წმინდა ქალაქის გათავისუფლების აღსანიშნავად ეზანი წაიკითხა. ეს უკანასკნელიც კიდევ ერთი ღურსეული მომენტი იყო მის ცხოვრებაში და ისლამის ისტორიაში ეს ფაქტი მუდმივად იარსებებს. მექაში ყოფნისას ცხოვრება მონობაში ჰქონდა გატარებული, მაგრამ ახლა უკვე პირველი მუეზინის სტატუსით დაბრუნდა. ის უკვე შუამავლის მუეზინი იყო.

ბილალი გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზეც იმყოფებოდა. იქ ყოფნისას მიხვდა, რომ შუამავალი, როგორც ადამიანი, თავის ამქვეყნიურ ყოფას ასრულებდა და მუდმივ სამყოფელში უნდა წასულიყო. ბილალის გული უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა. მთელი მისი გული და სხეული დარდმა მოიცვა. შუამავალთან განშორება ვერ აიტანა ბილალმა. უკვე ეზანსაც ვეღარ კითხულობდა. სადაც შუამავალი არ იყო იქ ეზანს ვერ კითხულობდა. ბილალისთვის მედინა აღარ იყო ის ქალაქი. მედინა ობლად იყო დარჩენილი. მედინა უმწეობას განიცდიდა და ყოველი კუთხე მწუხარების ბურუსში იყო გახვეული. სადაც არ უნდა გაეხედა ბილალს, ყველაგან შუამავალს ხედავდა. ყველაფერი მას ახსენებდა. ბილალმა გადაწყვეტილება მიიღო. მედინადან უნდა წასულიყო. ყველაზე შორს უნდა წასულიყო, ბილალი. შამში მიდიოდა. მან მეგობრის, აბუ ბაქარისგან ნებართვა ითხოვა, ეხვეწა, ემუდარა, რომ გაეშვა. შუამავლის შემდეგ ეზანს ვეღარ წავიკითხავო, ეუბნებოდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ბილალმა აბუ ბაქარის თხოვნაც ვერ გაითვალისწინა. ჰზ. აბუ ბაქარმა გაუგო მას და წასვლის ნება მისცა. ბილალი მედინას დაემშვიდობა.

დ. შეწყვეტილი ეზანი

ბილალისა და ეზნის შესახებ საუბრისას, აუცილებელია გავიხსენოთ მისი მედინაში დაბრუნება და უკანასკნელი ეზა-

ნი. მისი ეს უკანასკნელი ეზანი ისლამის ისტორიაში ცნობილია, როგორც „შეწყვეტილი ეზანი“. ეს ამბავი ისლამის წყაროებშია შემონახული და გვასწავლის, რა არის ეზანი, როგორ უნდა წავიკითხოთ და როგორ უნდა მოვუსმინოთ. შეწყვეტილი ეზანი, უფრო სწორად გულში, ცრემლებთან ერთად დასრულებული ეზნის ამბავს გადმოგვცემს.

ბილალი შამში აგრძელებდა მოღვაწეობას. ის ჯიჰადში იყო ჩართული და ისლამის გავრცელებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. ის ერთი ბრძოლიდან მეორეში ერთვებოდა. ის მტკიცედ იცავდა შუამავლის მიერ მოტანილ ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ისლამმა მას მიწიერი და ამავდროულად ჭეშმარიტი თავისუფლება არგუნა და ისიც ცდილობდა თავისუფლების ეს წყალობა ყველგან გაევრცელებინა. მას სურდა, რომ კაცობრიობა ამ დიდ სასწაულს ღირსებოდა და ადამიანებს ჭეშმარიტი რწმენა მიეღოთ.

ბილალი შუამავლისადმი განუზომელი სიყვარულისა და უსაზღვრო მონატრების შემსუბუქებას ღვთის გზაზე ბრძოლით ცდილობდა, თუმცა ესოდენ ძლიერი სიყვარულის განქარვებას ვერაფერით ახერხებდა. უსაზღვრო მონატრებას არაფერი შველიდა. რამდენადაც ცდილობდა გაქცევას, უფრო და უფრო მეტი სიმძლავრით იწვოდა.

ბილალის სიყვარული, მონატრება და ამით გამოწვეული დარდი დღითიდღე მატულობდა. ერთ დღესაც სიზმარი ნახა, სადაც შუამავალი მოსანახულებლად ეძახდა. ამის შემდეგ ბილალმა იქ გაჩერება ვეღარ შეძლო. ის მაშინვე გზას დაადგა და მედინასკენ გაეშრა. ერთი სული ჰქონდა როდის ჩავიდოდა იმ ადგილებში, სადაც შუამავალი დადიოდა, სადაც სუნთქავდა, სადაც ყველა ადგილს მისი კვალი ეტყობოდა. გზაში მიმავალი ბილალის გული მღელვარებით იყო აღსავსე. თითქოს იქ შუამავლს ხელახლა შეხვდებოდა. ბილალი თითქოს მიფრინავსო, ისე სწრაფად გაიარა ესოდენ დიდი მანძილი. როდესაც მედინაში შევიდა დილის ლოცვის დრო იყო მოახლოებული. მაშინვე შუამავლის საფლავთან მივიდა და აცრემლებული მიწაზე დამხო. ამ უსაზღვრო მონატრების ცრემლებით ჩახშობას ცდილობდა. ამ დროს შუამავლის შვილიშვილები, ჰასანი და ჰუსეინი მოვიდნენ. ბილალმა გულში ჩაიკრა ისინი და მოეფერა. მა-

თაც მთელი გულით სთხოვეს ბილალს, რომ ეზანი ეკითხა. მთელ მედინას ენატრებოდა მისი ხმა. ბილალმა ხათრი ვეღარ გაუტეხა და ეზნის კითხვას დათანხმდა.

როგორც მაშინ, ახლაც მეჩეთის სახურავზე ავიდა და იმ განუმეორებელი ხმით „ალლაჰუ ექბერ!“ - დაიძახა. მთელი ქალაქი გაოცებისა და მღელვარებისაგან გაშრა. ეს ხომ ბილალის ხმა იყო, ესოდენ ნალოდინები და ესოდენ ნაცნობი ხმა. მათთვის ეს სასწაულის ტოლფასი იყო. „ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ“-დაიძახა ბილალმა და მედინამ თითქოს ფრთები შეისხა. ყველანი სალოცავში გარბოდნენ. „ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ!“- წარმოთქვა ბილალმა და მედინა უკვე ქუჩებში აღარ ეტეოდა. ყველამ სალოცავში მოიყარა თავი. ყველანი უსაზღვრო მღელვარებას განიცდიდნენ. ყველას საოცარი გრძნობა დაუფლებოდათ. ყველანი ფრთაშესხმული მოჰქროდნენ.

თუმცა, შუამავლის სახელის ხსენებაზე ბილალს ისე მოაწვა გრძნობები, ისე აუდუღდა გულში დარდი, რომ კითხვა ვეღარ გააგრძელა. ყელში უზარმაზარი ბურთი გაეჩხირა და სიტყვა ვეღარ წარმოთქვა. უკვე ვეღარ უმკლავდებოდა მღელვარებას, რომელმაც თავშეკავების ჯებირები გაარღვია და ცრემლების ნიაღვარად წამოვიდა. ვეღარ გააგრძელა ბილალმა. ვეღარ შეძლო. ეზანი ვეღარ დაასრულა.

ბილალი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ შუამავლის გარეშე აქ ვერ იცხოვრებდა. ის ისევ დაემშვიდობა მედინელებს და ის შეწყვეტილი ეზანი ამანათად დაუტოვა. ის ისევ შამში წავიდა და ისევ ჯიჰადის გზას დაადგა.

ეს არის ისლამის ისტორიაში დაფიქსირებული „შეწყვეტილი ეზნის“ მოკლე ისტორია. ეზანი თავისი პირველივე შესრულებიდან დღემდე, ყოველი შესრულებისას მთელი გულისა და სულის მიძღვნას საჭიროებს. ის ასეთი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც მკითხველისთვის, ისე მსმენელისთვის. ყოველი მუეზინი უნდა ცდილობდეს დაასრულოს ის შესწყვეტილი ეზანი და იგივე სიყვარული და მღელვარება განიცადოს. ყოველი მსმენელიც არანაკლები განცდებით უნდა ეგებებოდეს ეზანს და მუეზინის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას იმეორებდეს.

ეზანი და ისლამური ცივილიზაცია

ეზანი ესთეტიური, მელოდიური მოწოდებაა,

რომელიც ხელოვნების ნიმუშია. ის ისლამის

სილამაზესა და სინატიფეს გამოხატავს.

ეზანი გვაჩვენებს, რომ ისლამური ცივილიზაცია

ჭეშმარიტ რწმენასა და მსახურებაზეა დამყარებული.

ყოველ ცივილიზაციას თავისი ძირითადი დინამიკა გააჩნია. ცივილიზაცია ამ საფუძვლებზე მყარდება და ვითარდება. ისლამური ცივილიზაციის საფუძველი სალოცავი და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორებია. ის ამავდროულად წარმოადგენს თვისებას, რომელიც აჩვენებს, რომ ისლამური ცივილიზაცია ადამიანზეა მორგებული. დედამიწაზე აგებული პირველი სახლი, ამავდროულად პირველი სალოცავი ქააბაა. ის სიწმინდისა და ხსნის სიმბოლოა. (იხ. ალი იმრან, 3/96). ქააბა კაცობრიობის წინაპარმა, ჰზ. ადამმა ააგო. გამომდინარე აქედან, კაცობრიობის ისტორია სალოცავით იწყება. ისლამის ისტორიის დასაწყისიც სალოცავთანაა დაკავშირებული. როდესაც შუამავალი მედინაში ჩავიდა, პირველი რაც მოიმოქმედა, სწორედ სალოცავის აგება იყო. უფრო მეტიც, შუამავალმა მედინაში მიღწევამდე, ქუბაში როცა შეჩერდა იქაც სალოცავი ააგებინა.

ჩვენი რწმენის მიხედვით ყოველი სალოცავი ქააბას ფილიალს წარმოადგენს. შუამავლის მიერ მედინაში ჩარგული ცივილიზაციის ნერგი მეჩეთი იყო. ყველა სხვა განვითარება ამ სალოცავიდან მომდინარეობდა. შუამავალმა თავიდანვე ჩამოაყალიბა მონახაზი, რის მიხედვითაც ისლამური ცივილიზაცია უნდა განვითარებულიყო. აღნიშნული ფაქტორი მოქმედებდა ზოგადი განაშენიანების კუთხითაც. ისლამური ქალაქების ცენტრში ყოველთვის მეჩეთი იყო და მის გარშემო იქმნებოდა სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები.

მეჩეთი არამარტო ღვთისმსახურების ადგილი, არამედ უფრო ფართო ფუნქციის მქონე ცენტრს წარმოადგენდა. ღვთისმსახურების გარდა აქ იღებდნენ განათლებას, იმართებოდა თათბირები, უსახლკაროებისთვის ის იყო კვებისა და თავშესაფრის ადგილი და სხვა. მეჩეთები ასევე დიდ როლს თამაშობდა განაშენიანების თვალსაზრისით. მოსახლეობა როგორც წესი მეჩეთების ირგვლივ სახლდებოდა. დასახლებულ პუნქტებში ჯერ მეჩეთი შენდებოდა, ხოლო შემდეგ მის ირგვლივ ხდებოდა განაშენიანება იქმნებოდა უბნები, რაიონები, ქალაქები. მეჩეთები იქცა ისეთ ცენტრე-

> ლოცვად მოხმობა და მეჩეთი თაყვანისცემის და ლოცვისთვისაა. მხოლოდ ღვთისმოსაობით გადარჩენას ნაზიარები მსახურები შეძლებენ ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას. მხოლოდ მათ შეუძლიათ ხელახლა გააცოცხლონ და აღადგინონ დიდებული ისლამური ცივილიზაცია.

ბად, სადაც ადამიანები ღვთისმსახურების გარდა მრავალი მიმართულებით იყვნენ გაერთიანებულნი.

საბოლოო ჯამში, მეჩეთები და მათი მინარეთებიდან წამოსული ხმა ის ფაქტორებია, რომლებიც ადამიანის ცხოვრებასთან უკიდურესად ახლო კავშირშია. ჩვენი ცხოვრება დაბადებისას ყურში წაკითხული ეზნით იწყება და სიკვდილსაც მინარეთიდან ნაკითხი სელათი ამცნობენ ყველას და გასვენებაც მიცვალებულის ნამაზით სრულდება.

ჩვენ, საიქიოში მუდმივი ცხოვრების ბედნიერებისთვის ამქვეყნად გამოსაცდელი სიცოცხლე გვებოძა და ამ სიცოცხლის უფრო შინაარსიანად და სასარგებლოდ გატარებისათვის მეჩეთები უნდა შევავსოთ და აქ მიღებული სულიერი საზრდოთი ჩვენი სულები მუდმივად ცოცხლად შევინახოთ, ამ გზით გარემოსა და სხვათა მიმართაც სასარგებლონი ვიქნებით.

დედამიწა მუჰამმედის მიმდევრებისთვის სალოცავადაა დადგენილი. ეს ნიშნავს, რომ მუჰამმედის მიმდევრები, სადაც არ უნდა იყონ, ყველაგან სალოცავი უნდა შექმნან და ერთად აღასრულონ ლოცვა. ის შენობები, რომლებიც მეჩეთებადაა აშენებული ამ სულისა და მისწრაფების გარეგნული მხარე და სიმბოლოა. რა თქმა უნდა, სანამ ამ წმინდა ადგილებს, რასაც მეჩეთები ჰქვია, მრევლი ეყოლებათ და იქ ნამაზი შესრულდება, თავიანთ ნამდვილ ფუნქციას შეასრულებენ და იქნებიან ნამდვილი სალოცავები.

მეჩეთი ადამიანებს ერთად კრებს და ისინი ერთად აღავლენენ ლოცვას. ისლამის საფუძველსაც ხომ ერთიანობა წარმოადგენს, ამდენად მეჩეთებს ამ თვალსაზრისით დიდი მნიშნელობა ენიჭებათ. მეჩეთში ხდება ადამიანთა სულიე-

რი დაახლოება და ერთიანი სულიერი განცდების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.

მეჩეთებს გააჩნიათ თვისება, რომ შეკრიბონ ყველა რანგის, ყველა პროფესიის თუ მდგომარეობის ადამიანები და მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური, ფინანსური, კულტურული თუ სხვა სტატუსისა, ყველანი თანაბარ პირობებში მხარდამხარ დგებიან და ლოცვას აღარვლენენ. განა სხვას რას შეუძლია ასე განამტკიცოს საზოგადოებრივი ერთიანობა, შემწყნარებლობა და სიყვარული.

მეჩეთების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს მინარეთი წარმოადგენს. მინარეთი გამჩენს, შუამავალს, ისლამს, ყურანსა და ეზანს გვახსენებს. სადაც მინარეთს ვხედავთ, ვხვდებით, რომ იქ მუსლიმები ცხოვრობენ. მინარეთ ეზანს გვახსენებს, ეზანი მეჩეთს, მეჩეთი კი გვაფიქრებინებს, რომ აქ მუსლიმი ჯაამაათი იკრიბება. ამრიგად, მინარეთები მხოლოდ არქიტექტურული ნაგებობები არ გახლავთ, ისინი უფრო ღრმა შინაარსისა და მნიშნელობის მატარებელია. ისინი მუსლიმთა იდენტობის გამომხატველია. ისინი გზააბნეულთათვის გზის მაჩვენებელი შუქურებია. ზოგჯერ ობოლს თბილი გარემოს გზას ასწავლიან. ზოგჯერ უსახლკაროთათვის თავშესაფრის მაჩვენებლები არიან.

ეზანი ლოცვისაკენ მოწოდების გარდა სხვა სფეროებშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეზანმა გავლენა იქონია ცივილიზაციის ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა მუსიკა, ხელოვნება და ლიტერატურა. ეზანი მუსიკად, ესთატიკად და ხელოვნებად გვევლინება. ის მიმართულებას აძლევს თითოეულ მათგანს და შთაგონების წყაროს წარმოადგენს. ამასთანავე, ეზანი თავისი შესრულების ფორმით, სრულიად განსხვავებული რელიგიური მუსიკის შედევრია.

მოგესხენებათ ეზანი დღეში ხუთჯერ სრულდება. ამათგან თითოეულ მათგანს თავისთვის მახასიათებელი შესრულების სტილი გააჩნია. თუმცა, დღეისათვის ამას დიდ მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ეზნის სხვა და სხვა სტილში შესრულების ტრადიცია, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, იმდროინდელი ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შედეგია.

ასევე ცნობილია, რომ აღნიშნულ საკითხზე ცნობილი სასულიერო ხელოვანები მუშაობდნენ. ისინი დღის განმავლობაში ადამიანთა სულიერ მდგომარეობას ითვალისწინებდნენ და ეზნის შესრულების სტილს ამის გათვალისწინებით ქმნიდნენ. მაგალითად, დილის ნამაზის ეზანი ისეთ სტილში სრულდება, რომ გათვალისწინებულია ახალგაღვიძებული ადამიანის მდგომარეობა და ა.შ.

ეზნის ამგვარად შესრულება აუცილებლობა ან რელიგური ბრძანება არ გახლავთ. ის უბრალოდ ისლამური ცივილიზაციის კვალდაკვალ ჩამოყალიბებული ტრადიციაა.

როგორც ცნობილია, ეზანი პირველად აბდულლაჰ ბ. ზეიდმა სიზმარში ნახა და ტექსტი დაისწავლა. ამის მიუხედავად შუამავალამ ეზანი მას კი არა, ბილალს წააკითხა, რადგან ბილალს უფრო ლამაზი და მაღალი ხმა ჰქონდა. ეს ადასტურებს, რომ შუამავალი სილამაზეს, ესთეტიკას და ზოგადად ხელოვნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქედან გამომდინარე, შემდეგ საუკუნეებშიც ეზნის შესრულების ფორმა და სტილი ამ ყველაფერის გათვალისწინებით განვითარდა. მუეზინები ხელოვანებად ჩამოყალიბდნენ. ყურადღება ექცეოდა მუეზინის ბუნებრივ მონაცემებს, როგორიცაა მუსიკალური სმენა, ხმის სილამაზე და სხვა.

ამ თვალსაზრისით, ეზანი ადამიანის ცხოვრებას განსხვავებულ სილამაზეს სძენს. ის ესთეტიკით სავსე, მელოდიური შესრულებაა, რომელიც რწმენისა და ღვთისმსახურებისკენ მოგვწოდებს. ეზანი ისლამის სილამაზესა და სინატიფეს გამოხატავს.

ეზანმა დიდი გავლენა იქონია აღმოსავლურ პოეზიასა და ლიტერატურაზე. ის მრავალი მწერლისა და პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა და ამ გზით მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნილა.

ამრიგად, ეზანს ჩვენი კულტურული განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. ის ჩვენი ცივილიზაციის ჩამოყალიბების ეპიცენტრში იდგა, რადგან ეზანში გაჟღერებული ჭეშმარიტება ისლამის რწმენის ქვაკუთხედია.

წყარო

აბდურრეზზაქ ბ. ჰემმამი. (ვ. 211/826) ელ-მუსანნეფ, I-XI, ჰაბიურრაჰმან ელ აზამი, ბეირუთი 1403/1983

ამედ ჯევდეთ ფაშა. ქისას-I ენბია, სტამბოლი 1331.

ბ. ჯარრა დე ვაუქსი. "ჰიჯრა" ისლამის ენციკლოპედია, გამომცემლობა "მებ" სტამბოლი 1977, V, 477.

ბეიათლი, იაჰია ქემალი, სტამბოლი 1962.

აზიზ ისტამბოლ, სტამბოლი 1964

ელ- უჰარი, მუჰამმედ ბ. ისმაილი. (ვ. 256/869) ელ- ჯამიუს-საჰიჰ, სტამბოლი 1992.

ჩაქანი, I. ლუტფი. "ბდულლაჰ ბ. ზეიდი" დია, I, 144.

ედ-დარიმი, ებუ მუჰამმედ ბდულლაჰ ბ. აბდურრაჰმანი. (ვ. 255/ 869) ეს-სუნენ, I-II, სტამბოლი, 1992.

ედ-დიჰლევი, შაჰ ველიულლაჰ. (ვ. 1176/1762) ჰუჯჯეთულლაჰილ-ბალიღა, I-II, თარგმნა: მეჰმეთ ერდოღანი., სტამბოლი 1994.

ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ელ-ეშას ეს-სისიტანი (ვ. 275/888)

ეს-სუნენ, I-V, სტამბოლი 1992.

ებუ ნუაიმი, აჰმედ ბ. აბდულლაჰ ელ-ისბეჰანი (ვ. 430/1038)

ჰილიეთუულ ევლია და თაბაქათულ ასფია. I-IX, დარულ ქითაბილ -არაბი,

ბეირუთი 1405.

ერსოი, მეჰმეთ აქიფი, საფაჰათი, გამომცემლობა "დიბ", ანკარა 1990.

იბნ ჰაჯერი, შიჰაბუდდინ აჰმედ ბ. ალი ელ-ასქალანი. (852-1448) ფეთჰულ ბარი. I-XIII, მ. ფუად აბდულბაქი- მუჰიბბუდინ ელ- ჰათიბი. დარულ მარიფე, ბეირუთი 1379.

იბნ ქაიმ ელ ჯევზიე (ვ. 751/1350) ზადულ მეად. შუამავლის კვალდაკვალ. თარგმნა: შუქრუ ოზენი. ა. აჰმეთ ოზდემი-

რი, ჯუსტაფა ერქექლი, გამომცემლობა იქლიმი, სტამბოლი 1989.

იბნ მაჯე, ებუ აბდულლაჰ მუჰამმედ ბ. იეზიდ ელ-ქაზვინი (ვ. 273/886) ეს-სუნენ, I-II, გამომცემლობა "ჩაღრი" სტამბოლი 1992.

იბნ ჰანბელი, აჰმედ (ვ. 241/855), ელ-მუსნედი, გამომცემლობა ჩაღრი.

სტამბოლი 1992

იბს სადი, მუჰამმედ (ვ. 230/844) ეთ-თაბაქათულ-ქუბრა. I-IX,

დარუ სადირ, ბეირუთი.

ქარამანი, ჰაირეთთინ, "ჯუმა" დია, VIII, 85-86.

ქისაქურექ, ნაჯიფ ფაზილი, ჩილე, გამომცემლობა ბ. დ. სტამბოლი 1983.

ქოქსალი, მ. ასიმი, ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) და ისლამი. გამომ-ცემლობა ირფანი. სტამბოლი 1981, I-II.

მევლანა, შიბლი, ასრი საადეთ, (ისლამის ისტორია) I-V, თარგ-მნა: ომერ რიზა დოღრული. გამომცემლობა ესერი. სტამ-ბოლი 1977.

მუბარექფური, მუჰამმედ ბდურრაჰმან ბ. აბდურრაჰიმ. (ვ. 1353/1934) თუჰფეთულ აჰვეზი ბიშერჰი ჯამიით-თირმიზი. I-IX.

აბდულვაჰჰაბ ბდულლატიფ, დარულ ფიქრ. ბეირუთი

ელ მუნავი, აბდურრაუფ, (ვ. 1031/1622) ფეიზულ ქადირი, შერ-ჰულ ჯამიის-საღირ. I-VI, ეგვიპტე 1356/1938.

მუსლიმი, ებულ ჰუსეინ იბნულ ჰაჯჯაჯ ელ ქუშეირი (ვ. 261/874)

ელ ჯამიუს-საჰიჰ. I-III, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1992.

ენ-ნედვი, ებულ ჰასენ ალი ელ ჰასენი, ეს-სირეთუნ-ნებევიე. (შუამავალი (ს.ა.ვ) მორალი და ცხოვრება) თარგმნა: Ჰსმან ქესქიოღლუ, ისლამი ნეშრიათი, სტამბოლი 1981.

ენ-ნესაი, ებუ ბდურრაᲰმან აᲰმედ ბ. შუაიბი. (ვ. 303/915)

ეს-სუნენ, სტამბოლი 1992.

რაგიბ ელ-ისფეᲰანი. Ჰუსეინ ბ. მუᲰამმედი. (ვ. 502/ 1108),

ელ-მუფრედათ ფი გარიბილ ყურან. სტამბოლი, 1986)

ეთ-თირმიზი, ებუ ისა მუᲰამმედი (ვ. 279/892) ელ-ჯამიუს საᲰიᲰ.

(სუნენ) სტამბოლი 1992.

იავუზი. ადილ. მექა და მედინა Ჰადისებში. ანკარა, 2007.

ეზ-ზეᲰები, შემსუდდინ მუᲰამმედ ბ. აᲰმედ (ვ. 748/ 1347),

სიერუ ალამინ-ნუბელა, I-XXV, შუაიბ ელ-არნავუთ-ქამილ ერ-Ჰარრათ. ბეირუთი 1402/1982.

ელ იბერი, ფიი Ჰაბერი მენ გაბერ. I-IV, ებუ Ჰავჯირი.

მუᲰამმედ ეს-საიდ ბ. ბესიუნი ზაგლული. ბეირუთი. 1405/1985.